

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# „ეკონომიკა და ფინანსები“

თბილისი

Institute of Economic Research and Development  
Georgian Technical University

„Economics and Finance“

Tbilisi

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი  
სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“  
გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-  
ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და  
განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refereed and reviewed scientific journal „Ecinimics and  
Finance“ published by the decision of Georgian Technical  
University’s Faculty of Business Technologie and Institute of  
Economic Research and Development

**ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ**

**The magazine has been published since 2018, four times a year**

გამომცემლობა: „დანი“



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

# სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“-ს

## ზოგადი დებულება:

ჟურნალის დამფუძნებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის თანადამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს საქართველოს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი.

## კონცეპცია

ჟურნალი შინაარსობრივად არის სრულტექსტიანი;

ჟურნალი გამოიცემა მხოლოდ ელექტრონული სახით ისე ნაბეჭდი ვერსიის ფორმით.

გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა მასალა რეცენზირდება და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში.

რეცენზირება დაფარულია, ანუ ავტორისათვის უცნობი რჩება რეცენზენტის ვინაობა.

ჟურნალის ყველა მასალა გადაიწერება CD-დისკზე და ინახება განუსაზღვრელი დროით. შენახვას უზრუნველყოფს “ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი“ როგორც მისი

დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, რითაც დაცული იქნება ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ავტორთა საავტორო უფლება.

ჟურნალი ორიენტირებულია უპირველესად იმ სამეცნიერო მასალებზე, რომლებიც არსად გამოქვეყნებულა (სტატიები, გამოკვლევათა შედეგები, ანგარიშები და ა.შ.) და ავტორთა მიერ ჟურნალს გადაეცემა, გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის და ამ მასალებზე დაცული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

ავტორები პასუხისგებელნი არიან სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე. ავტორებისათვის პუბლიკაცია ფასიანია.

ჟურნალის რედაქცია არ აგებს პასუხს სტატიის პუბლიკაციის შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ მასალების გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების, საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევა, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული მასალა ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ჟურნალის მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის შექმნისათვის და ორიენტირებულია იმ კრიტერიუმებზე, რაც მოეთხოვება სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიურ ჟურნალებს.

ჟურნალის მისამართია: [www.facebook.com/economics.finance.ge/](http://www.facebook.com/economics.finance.ge/)

## სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე - გიორგი ცაავა

მთავარი რედაქტორი – დავით ჩახვაშვილი

ლ. ბახტაძე, რ. ბურდიაშვილი, ნ. გრიგოლაია, ს. გოგჩე (თურქეთი), მ. ვანიშვილი, ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), მ. კედზიერსკი (პოლონეთი), ტ. ლიპაი (ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი, მ. ნარსია, ჯ. რედელშეიმერი (აშშ), ნ. სამჭკუაშვილი, მ. ტროჯაკი (პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (ელ. ვერსიის ტექნიკური რედაქტორი), რ. ქუთათელაძე, ნ. ჭიკაიძე.

### **Editorial Staff**

Head of the editorial board – Giorgi Tsaava

Editor-in-Chief – David Cakhvashvili

L. Bakhtadze, R. Burdiashvili, N. Grigolaia, C. Gokce (Turkey), M. Vanishvili, N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), M. Kedzierski (Poland), T. Lipai (Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili, M. Narsia, J. Redelsheimer (USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Poland), A. Kutateladze, R. Kutateladze, N. Chikaidze.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის

14 ივლისი, 2018წ.  
ქარელი, საქართველო

კონფერენციის მიმართულებები:

- ეკონომიკა
- ფინანსები
- მენეჯმენტი
- მარკეტინგი
- ბიზნესი
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული
- სწავლება და განათლება
- მედიცინა
- მეცნიერება
- ტექნოლოგია

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური,  
გერმანული, რუსული.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალში „ეკონომიკა  
და ფინანსები“ ISSN: 2587-5000

კონფერენციაში მონაწილეობის საფასური: 60 ლარი (დღგ-ს  
გარეშე) დაუსწრებელი მონაწილეობა: 50 ლარი

სარეგისტრაციო მოსაკრებელში შედის: სტატიის რეცენზირება,  
ჟურნალში „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოქვეყნება,  
კონფერენციის პროგრამა, სერტიფიკატი, ბეიჯი, ქოფი-ბრეიქი,

ტრანსფერი: თბილისი - ქარელი - თბილისი, ექსკურსია, პიკნიკი.

კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი

კონფერენციაში მონაწილეობის თანხის გადახდის ბოლო ვადაა 30 მაისი

საბანკო რეკვიზიტები სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისათვის მონაწილეებს გადაეგზავნებათ განაცხადების განხილვის შემდეგ. ერთი სტატიის ავტორთა მაქსიმალური რაოდენობა - 2

სტატიები გამოაგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:  
[economics.finance@outlook.com](mailto:economics.finance@outlook.com)

რეგისტრაციისა და კონფერენციის შესახებ უახლესი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საიტს:  
[www.bpengi.com](http://www.bpengi.com)

საკონტაქტო პირები:

ვალერი მოსიაშვილი (+995)577 643 485

დავით ჩახვაშვილი (+995) 571 222 737

**გელთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე  
„მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“**



# International Scientific Conference Science for Practice and Development

July 14, 2018  
Kareli, Georgia

We are happy to announce the Call for the International Scientific Conference „Science for Practice and Development“

## Topics

- Economics
- Finance
- Management
- Marketing
- Business
- Social Sciences
- Humanities
- Teaching and Education
- Medicine
- Science
- Technology

Including Guided tour in Khareli

Conference proceedings

Journal "Economics and Finance", ISSN: 2587-5000

Paper template 2018

- [click here to download the conference paper template](#)

International Scientific Conference in Khareli is an important international gathering of scholars, educators and PhD students.

Fees

- Publishing Full paper/Abstract + presentation: 50 EUR

- Publishing full paper, without attending: 30 EUR

Attending fee includes admission to all sessions, conference kit (including the Scientific Book of Proceedings on CD), admission to the lunch or/and dinner, plus coffee breaks, according to the conference program.

### Payment

Bank Institution: -----

Bank/Branch Institution Address: -----

S.W.I.F.T. (BIC):-----

Acc. Holder Name: -----

Acc Holder Address: -----

IBAN: -----

Purpose: 'Participant's Name - Conference City Name'

### Deadlines

- Submission of complete/full papers for the proceedings: June 1, 2018
- Notification of full paper acceptance: June 10, 2018
- Conceiving and finalizing the Conference program: June 15, 2018
- Conference sessions: July 14, 2018

Please send articles on the e-mail: [economics.finance@outlook.com](mailto:economics.finance@outlook.com)

For information on registration and conference information, please visit the site: [www.bpengi.com](http://www.bpengi.com)

Contact persons:

Valeri Mosiashvili (+995) 577 643 485

Davit Chakhvashvili (+995) 571 222 737

**We are waiting for you at international scientific conference  
"Science for Practice and Development"**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ნათია ახალკაცი, მერაბ ვანიშვილი</b> - ფისკალური დეცენტრალიზაციის კანონზომიერებანი და ეკონომიკურ გარემოზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის თეორიული ასპექტები .....	15
<b>მანანა ალფაიძე</b> - ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ტედენციები .....	27
<b>გია გოგრიჭიანი, თორნიკე შიომშვილი</b> - სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სრულყოფის საკითხები .....	38
<b>ნიკოლოზ დარჩიაშვილი, ალექო ქუთათელაძე</b> - საქართველოსა და წამყვანი ქვეყნების საბანკო სისტემის თანამედროვე მოდელები .....	55
<b>ანა დვალი</b> - ბანკის მოზიდული რესურსების მოცულობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დადებითი შედეგი .....	63
<b>ბექარ კილასონია</b> - ეკონომიკური ზრდის მიმართულებები და ფაქტორები .....	75
<b>ეთერ მამაცაშვილი</b> - სისტემური ფინანსური რისკების თანამედროვე გაგებისათვის .....	88
<b>ნინო სამჭკუაშვილი, თამარ დუდაური</b> - ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში .....	99
<b>ნატო ჩიკვილაძე, ნაზიბროლა იაკობაძე</b> - მაღალი ტექნოლოგიების როლი ეკონომიკის განვითარებაში .....	114

<b>დავით ჩახვაშვილი</b> - აუთოსორსინგის განვითარების პერსპექტივები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზრარზე .....	123
<b>ინგა გიგაური</b> - მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზები, მაშტაბები და მისი დაძლევის გზები საქართველოში .....	135
<b>მედეა ჭელიძე, ვალერი მოსიაშვილი</b> - ბანკები, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები .....	148
<b>ზურაბ გარაყანიძე, ნატა გარაყანიძე</b> - „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პერსპექტივები საქართველოსთვის .....	160
<b>გიორგი ცაავა, ვალერი მოსიაშვილი</b> - საბანკო ბიზნესზე ერდროულად მოქმედი რისკების ურთიერთზემოქმედების ფაქტორის დადგენა და მისი რაოდენობრივად გაანგარიშების ავტორისეული ფორმულის ჩამოყალიბება .....	169
<b>თეიმურ ბერიძე, დავით ჩახვაშვილი</b> - ფულის გაყალბების მიზეზები და ასპექტები ანტიკურ და შაუასაუკუნეების ეპოქაში .....	178
<b>ნინო მაზიაშვილი</b> - ამერიკის ეკონომიკის ისტორია მე-18 საუკუნიდან დღემდე .....	194
<b>ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში</b> .....	209

# Contents

<b>Natia Akhalkatsi, Merab Vanishvili</b> - Regulation of fiscal decentralization and theoretical aspects of fiscal policy influence on economic environment .....	15
<b>Manana Alfidze</b> - The Banks as the Participants of the Securities Market .....	27
<b>Gia Gogrichiani, Tornike Shioshvili</b> - Issues of improving the financial and monetary policy of the state .....	38
<b>Nikoloz Darchiashvili, Aleko Kutateladze</b> - Modern models of banking system of Georgia and leading countries .....	55
<b>Ana Dvali</b> - The Banks as the Participants of the Securities Market .....	63
<b>Bekar Kilasonia</b> - Trends and Factors of Economic Growth .....	75
<b>Eter Mamatsashvili</b> - For modern understanding of Systemic Financial Risks .....	88
<b>Nino Samchkuashvili, Tamar Dudaury</b> - Tendencies of Development of the Export Potential of the Country in the Conditions of Globalizations .....	99
<b>Nato Chikviladze, Nazibrola Iakobadze</b> - The role of high technologies in the economy .....	114
<b>Davit Chakhvashvili</b> - Prospects for the development of outsourcing in the information technology market .....	123
<b>Inga Gigaury</b> - The reasons for macroeconomic instability, scale and the ways of its overcoming in georgia .....	135
<b>Medea Chelidze, Valeri Mosiashvili</b> - The Banks as the Participants of the Securities Market .....	148

<b>Zurab Garakanidze, Nta Garakanidze</b> - Prospects of "South Gas Corridor" for Georgia .....	160
<b>Giorgi Tsaava, Valeri Mosiashvili</b> - Determining the factor of interaction of the risks in banking business and the establishment of the author's formula for its quantitative calculation .....	169
<b>Тимур Беридзе, Давид Чахвашвили</b> - Причины и аспекты мошенничества с деньгами в эпоху античности и средневековья .....	178
<b>Nino Maziashvili</b> - History of American economics from 18th century till the present day .....	194
<b>Nobel laureates in economics</b> .....	209

ფისკალური დეცენტრალიზაციის კანონზომიერებანი და  
ეკონომიკურ გარემოზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის  
თეორიული ასპექტები

**Regulation of fiscal decentralization and theoretical aspects of fiscal  
policy influence on economic environment**

ნათია ახალკაცი – დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მერაბ ვანიშვილი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Natia Akhalkatsi**, PhD student  
Georgian Technical University  
**Merab Vanishvili** – PhD, Professor  
Georgian Technical University

---

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს წარმოადგინოს, ერთი მხრივ, ფისკალური დეცენტრალიზაციის თავისებურებანი საქართველოში; მეორე მხრივ კი, ასახოს ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკურ გარემოზე გავლენის თეორიული ასპექტები, საერთაშორისო კვლევების შედეგები და გამოცდილება ფისკალური პოლიტიკის გავლენისა და გასათვალისწინებელი რისკების კუთხით მოკლე- და გრძელვადიან პერიოდში. დასახული მიზნის შესაბამისად, სტატიის პირველი ნაწილი ეხება ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემებსა და მათი დაძლევის გზებს საქართველოში; მეორე ნაწილი კი ასახავს ფისკალური პოლიტიკის გავლენის თეორიულ ასპექტებს მოკლე- და გრძელვადიან პერიოდში, ემპირიული კვლევებისა და საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის, გამოყენების შედეგებზე.

**Abstract:** The present article aims to present the peculiarities of fiscal decentralization in Georgia on one hand; On the other hand, to reflect the

theoretical aspects of fiscal policy on fiscal policy, the results of international research and the experience of fiscal policy influencing and taking into consideration the short-term and long-term. According to the aim set, the first part of the article deals with the problems of fiscal decentralization and ways to overcome them in Georgia; The second part reflects the theoretical aspects of fiscal policy influence in the short and long term, the brief overview of empirical research and international experience on the use of fiscal policy as a macroeconomic stabilization instrument.

---

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი, ეკონომიკა, საბანკო სისტემა, ევროპული საბანკო მოდელი, ამერიკული საბანკო მოდელი

**Key Words:** Bank, Economy, Banking system, European banking model, American banking model

**შესავალი:** სახელმწიფოში თვითმმართველობის აქტივიზაცია ორ ძირითად მიზანს ემსახურება: საჯარო ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის ბა-ლანსი სახელმწიფოში, ერთი მხრივ, მმართველობის ურთიერთქმედების სტანდარტს და შესაბამის შედეგს განაპირობებს, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის ინტერესებთან ხელისუფლების ზემდგომი ინსტანციების საქმიანობის დაახლოებასა და ადგილობრივი ინიციატივის საჯარო ინტერესებთან შერწყმას უზ-რუნველყოფს<sup>1</sup>.  
**ძირითადი ტექსტი:** დეცენტრალიზაცია სამ - პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფისკალურ - კომპონენტს მოიცავს: *პოლიტიკური დეცენტრალიზაცია* ნიშნავს ადგილობრივ დო-ნეზე

---

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები უზრუნველყოფს მის სამეურნეო საქმიანობას და ემსახურება თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყო-ფილებას. ამასთან, მისი განმტკიცება და განვითარება გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ მდგომა-რეობაზე მთლიანად.



წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევას და ამ წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის, მათი კომპეტენციების ფარგლებში, პოლიტიკურ და საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა მიღების უფლების მინიჭებას. *ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია* გულისხმობს თვითმმართველობის ორგანოებისთვის ფართო უფლებამო-სილებათა გადაცემას, მათ შორის, სახელმწიფო საქმეების მართვისა და საჯარო მომსახურების სფეროში. *ფისკალური დეცენტრალიზაცია* თვითმმართველობისთვის კომპეტენციათა განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების განკარგვის უფლების გადაცემას გულისხმობს.

უფრო კონკრეტულად, ფისკალური დეცენტრალიზაცია ხელისუფლების დონეებს შორის სახელმწიფო ხარჯების მართვის უფლებათა განაწილება, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის საკუთარი ბიუჯეტების განკარგვისა და გადასახადების შემოღების უფლებათა მინიჭებაა.

ფისკალური ჩარჩო შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინსტიტუციური პოლი-ტიკის შექმნა, რომელიც აყალიბებს ფისკალურ პოლიტიკას ეროვნულ დონეზე. იგი აერთიანებს გარკვეულ ღონისძიებებს, პროცედურებს და საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვისა და დანერგვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.

შიდა ფისკალური ჩარჩოს ძირითადი კომპონენტებია: ძირითადი ფისკალური წესები; დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები; საბიუჯეტო პროცედურები, რის მიხედვითაც ხორციელდება ბიუჯეტის მომზადება, დამტკიცება და დანერგვა; ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა მრავალწლიანი საბიუჯეტო დაგეგმვისთვის გამოიყოფა ცალკე, როგორც ფისკალური პოლიტიკის საშუალოვადიანი დაგეგმვის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად ფისკალური წესების დანერგვა მნიშვნელოვანია, რათა შემცირდეს პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მიერ პროციკლური პო-ლიტიკა, ფისკალური დაგეგმვა იყოს გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული და თავიდან იქნეს არიდებული მოკლევადიან შედეგებზე გათვლილი პოლიტიკა. ამასთან, ფისკალური მართვა მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის უკეთესი კოორდი-ნაციის საშუალებას იძლევა.

ფისკალური დეცენტრალიზაციის უმთავრესი პირობა ის არის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჰქონდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების უფლება (როგორც მომსახურებაზე, ასევე სხვადასხვა სახის ნებართვების გაცემაზე). თუმცა, ისიც ნიშანდობლივია, რომ ძალზე მაღალი გადასახადები მმართველ პარტიას ამომრჩეველთა ხმების დაკარგვით ემუქრება.

ფისკალური დეცენტრალიზაციის უმთავრესი დანიშნულება არის თვითმმარ-თველობის ორგანოების საკუთარი კომპეტენციის გასატარებლად აუცილებელი ფი-ნანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ადგილობრივი თვითმმართველობა მაშინ არის ეფექტიანი, როცა იგი, უფლებებსა და პასუხისმგებლობასთან ერთად, მნიშვნე-ლოვან რესურსებსაც ფლობს.

თვითმმართველობის განვითარებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნე-ლოვანი ნაწილი ადგილობრივი გადასახადებიდან უნდა შემოდის. იმ შემთხვე-ვაში, თუ ადგილობრივი გადასახადები არ იქნება საკმარისი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ცენტრალური ხელისუფლება გამოიყენებს მიზნობრივი და გამოთანაბრებითი ტრანსფერების (გრანტების) ინსტიტუტს, რათა

უზრუნველყოს ცხოვრების თანაბარი პირობები და საჯარო მომსახურების მაღალი ხარისხი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ფისკალური დეცენტრალიზაცია რთული პროცესია საქართველოსთვის და მას გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს, კერძოდ:

- მმართველობის ძველი პრაქტიკა და წარსულის ინერცია, რომელიც მენ-ტალობასთან და ძველი ინსტიტუტების დაბალ ეფექტიანობასთან არის დაკავშირებული;

- ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის ნაკლებობა;

- თვითმმართველობას ესაჭიროება მოქმედების თავისუფლება, რაც ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას - ცენტრალური ხელისუფლების ნე-ბართვის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ პრობლემებზე;

- აუცილებელია ფისკალური დეცენტრალიზაციის გაღრმავება, რაც მხოლოდ ფინანსური რესურსების გადაცემას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ მიზნად ისახავდეს ადგილობრივი ბიუჯეტების, გადასახადების და ფინანსების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების გაზრდას;

- ასევე აუცილებელია შესაბამისი ქონების სხვა მატერიალური რესურსების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.

ქართული სახელმწიფო აშკარად საჭიროებს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების არსებობას. აუცილებელია არსებობდეს ვერტიკალური

კოორდინაცია ხელისუფლების სხვადასხვა - ნაციო-ნალურ, რეგიონულ და ადგილობრივ - დონეებს შორის<sup>2</sup>.

თვითმმართველობის ორგანოებს მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა ჰქონდეთ ჰორიზონტალური კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს საერთო სტანდარტების, ურთიერთმხარდაჭერის და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას. ჰორიზონტალური კოორდინაცია ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმატება.

*ფისკალური დეცენტრალიზაციის მთავარი პრინციპებია:*

- სამართლიანობა და თანაბარუფლებიანობა ეროვნული დოვლათის შექმნასა და განაწილებაში;
- ანგარიშგება მოსახლეობის მიმართ, რათა გარანტირებული იქნეს საჯარო ფუ-ლის ხარჯვა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად;
- მოქალაქეთა მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში, რაც საშუალებას აძლევს მო-სახლეობას - გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვე-ტილებებზე;
- ტექნიკური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა მან შეი-ძინოს ფინანსური რესურსების მართვის ცოდნა და გამოცდილება;
- საბიუჯეტო დანახარჯების ოპტიმიზაცია ხარისხიანი და იაფი საჯარო მომ-სახურების მისაღწევად.

ფისკალური დეცენტრალიზაციის პრინციპების რეალიზაციის საფუძველია გამართული და სისტემური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული ხელისუფლების

---

<sup>2</sup> მაგალითად, ადგილობრივ დონეზე მშენებლობის ნებართვის გაცემა კოორდინირებული უნდა იქნეს მიწის მართვის ეროვნულ პოლიტიკასთან.

თითოეული რგოლის საბიუჯეტო და ფისკალური უფლებამოსილებანი.

ლიბერალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ორი ფუნქცია ენიჭება: 1. *სერვისების მიწოდება*: ყოველდღიური საჭიროებების (ადმინისტრირება ადგილობრივ დონეზე, კომუნალური სამსახურები, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება, მინიმალური სოციალური გარანტიები) დაკმაყოფილება ბევრად უფრო ეფექტურად ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ<sup>3</sup>. 2. *მოსახლეობასთან სიახლოვე*: ცენტრალური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველდღიურ შეხებაშია მოქალაქეებთან და გამოხატავს უშუალოდ მათ ინტერესებს<sup>4</sup>.

საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური ტენდენციების, კერძოდ, კი საგარეო და შიდა ფაქტორების გავლენით გაცვლითი კურსის გაუფასურებისა და ინფლაციური რისკების ზრდის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის გამ-კაცრების პარალელურად, არსებითი გახდა მთავრობის მიერ ფისკალური პოლიტიკის გადახედვის საკითხი. კერძოდ, დისკუსიის მთავარ ასპექტად იქცა ფისკალური პოლიტიკის მოსალოდნელი

---

<sup>3</sup> საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ გზით მიიღწევა მოსახურების მიწოდების რო-გორც ეფექტურობის (სწორი საქმის კეთება), ისე ეფექტიანობის მაღალი ხარისხი.

<sup>4</sup> მაგალითად, თუ ცენტრალური ხელისუფლების ხელმძღვანელებთან ყოველდღიურ შეხვედრა რიგი-თი მოქალაქისათვის შეუძლებელია, მას შეუძლია მუდმივი კონტაქტი იქონიოს მის მიერვე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, აკონტროლოს ამ უკანასკნელთა საქმია-ნობა და უშუალოდ ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიმართულება: არსებული ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას ან/და გადასახადების ზრდას, ან პირიქით, პოლიტიკის შემსუბუქება, რაც გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების ზრდას ან/და გადასახადების შემცირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი სტატია მიზნად ისახავს წარმოადგინოს, ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკურ გარემოზე გავლენის თეორიული ასპექტები; მეორე მხრივ, კი ასახოს საერთაშორისო კვლევების შედეგები და გამოცდილება ფისკალური პოლიტიკის გავლენისა და გასათვალისწინებელი რისკების კუთხით მოკლე- და გრძელვადიან პერიოდში.

ფისკალური პოლიტიკის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე მოსა-ლოდნელი გავლენის შეფასება, განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის კუთხით, როგორც ეკონომიკურ თეორიაში, ასევე პრაქტიკაში განსხვავებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დებატების საგანია. აქ განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი მომენტი: ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გავლენა მოკლე- და გრძელვადიანი პერიოდისთვის, ასევე მონეტარული პოლიტიკის განსხვავებულ მიმართულებებთან კოორდინაციისას. მეორე მხრივ, საყურადღებოა, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის კავშირი მის კომპოზიციასთან (ანუ იმ ინსტრუმენტებთან, რომლებზეც ხდება ფოკუსირება პოლიტიკის შესაბამისი მიმართულების განხორციელებისას).

მოკლევადიან პერიოდში, ფისკალური პოლიტიკის ცვლილება ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენას ძირითადად საქონელსა და მომსახურებაზე შინამეურნეო-ბების, ბიზნესის და მთავრობის მოთხოვნაზე ცვლილების არხით ახდენს, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს გამოშვებაზე (მშპ-ზე) პოტენციურ გამოშვებასთან<sup>5</sup> მიმართებით. ასე მაგალითად, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა (გადასახადების შემცირება ან/და სახელმწიფო ხარჯების ზრდა) ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც წარმოების და დასაქმების ზრდის სტიმულს ქმნის ბიზნესისათვის. ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაზე საპირისპირო ეფექტი აქვს მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას (გადასახადების ზრდა ან/და სახელმწიფო ხარჯების შემცირება).

გრძელვადიან პერიოდში კი ფისკალური პოლიტიკის პოტენციურ მშპ-ზე გავლენა შემდეგ არხებს უკავშირდება: სახელმწიფოს ვალის ოდენობის ცვლილება, ფი-ზიკური პირებისა და ბიზნესის სტიმულების ცვლილება მუშაობასთან, დანაზოგებ-თან და ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით და ასევე სახელმწიფოს ინვესტიციების ცვლილება, რომელსაც, თავის მხრივ, გავლენა აქვს სამუშაო ძალისა და კერძო კაპიტალის მწარმოებლურობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეული კვლევების მიხედვით, ფის-კალური პოლიტიკის ცვლილება გულისხმობს კომპრომისს გრძელ- და მოკლევადიან პერიოდში მშპ-ზე გავლენასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფისკალურ პოლიტიკაში უმეტეს ცვლილებებს, რომელსაც ხელსაყრელი ეკონომიკური

---

<sup>5</sup> გამოშვების მაქსიმალური ოდენობა, რაც ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს რესურსების მაქსიმალური უტილიზაციის პირობებში.

გავლენა აქვს მოკლე-ვადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში გამოშვებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

აღნიშნული ფენომენის მიზეზად მოიაზრება ის ფაქტი, რომ ექსპანსიური ფის-კალური პოლიტიკა (სახელმწიფო ხარჯების ზრდა ან გადასახადის განაკვეთის შემცირება) მოკლევადიან პერიოდში განაპირობებს მოთხოვნაზე ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, გამოშვებას და შემოსავალს ზრდის და, შესაბამისად, საგადასახადო შემო-სავლებს, მაგრამ, როგორც წესი, არა იმ მასშტაბით, რომ განეიტრალეზულ იქნას დე-ფიციტის ზრდა. შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკა სახელმწიფოს ვალს ზრდის, რაც, თავის მხრივ, ამცირებს დანაზოგებსა და კაპიტალის მარაგს და შესაბამისად გამოშვებას (სხვა თანაბარ პირობებში). თუმცა გარკვეულ პირობებში, მოკლე- და გრძელვადიან პერიოდებს შორის აღნიშნული ალტერნატივის თავიდან აცილება შესაძლებელია<sup>6</sup>.

რაც შეეხება გავლენას მოკლევადიან პერიოდში, ზემოაღნიშნული თეორიული ასპექტების გათვალისწინებით, როგორც წესი, მიიჩნევა, რომ ანტიციკლურ დისკრე-ციულ ფისკალურ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას ეკონომიკური ბუმის დროს, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნებისათვის.

თუმცა, არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის განხორციელება

---

<sup>6</sup> აღნიშნულს ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფისკალური პოლიტიკის ცვლილება, რომელიც მოკლევადიან პერიოდში ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ასევე პოზიტიურად იმოქმედებს ეკონომიკის გრძელვადიან პოტენციალზე, რათა განეიტრალეზულ იქნას სახელმწიფო ვალის ზრდის უარყოფითი ეფექტები.



(მაგალითად, სახელმწიფო ხარჯების ზრდა ეკონომიკური აქტივობის შენელებისას) ეკონომიკური აქტივობის შემცირებისას მიზან-შეწონილად არ მიიჩნევა. მაგალითად, ცალკეული კვლევების მიხედვით, ფისკალური პოლიტიკის შერბილება შესაძლებელია შეუსაბამო იყოს დიდი საგარეო დისბალანსის არსებობის დროს. ასეთ დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკონომიკური აქტივობა შენელებულია, შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ფისკალური კონსოლიდაცია ზრდადი ინფლაციის შეზღუდვისა ან/და მიმდინარე ანგარიშის დისბალანსის შემცირების ან კაპიტალის არსებითი გადინების დასაძლევად.

ამასთან, სტანდარტული კეინზიანური თეორიის საპირისპიროდ (რომლის მიხედვითაც ფისკალური გამკაცრება აისახება ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ეკონომიკურ ზრდას შეამცირებს და უმუშევრობას გაზრდის, სულ მცირე მოკლევადიან პერიოდში) არსებობს მოსაზრებები, რომ ფის-კალურ გამკაცრებას შეუძლია სახელმწიფო ვალის შემცირების შედეგად საპროცენტო განაკვეთებზე „სანდოობა“ გაზარდოს, რაც რისკის პრემიუმს შეამცირებს და ინვესტორების მოლოდინებს გაზრდის. აღნიშნულის შედეგი კი შეიძლება იყოს კერძო ინვესტიციების მოზიდვა ("crowding in"), რომელიც დააკომპენსირებს ერთობლივი მოთხოვნის კლებას, რომელიც მთავრობის ხარჯების შემცირების და გადასახადების ზრდის შედეგია. ამდენად, ასეთ შემთხვევაში ფისკალურმა კონსოლიდაციამ შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში გამოშვების ზრდა და არა შემცირება გამოიწვიოს.

**დასკვნები:** ამრიგად, ჩვენი სტატიის პირველი ნაწილი ეხება ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემებსა და მათი დაძლევის გზებს საქართველოში; მეორე ნაწილი კი ასახავს ფისკალური პოლიტიკის გავლენის თეორიულ ასპექტებს მოკლე- და გრძელ-

ვადიან პერიოდში, ემპირიული კვლევებისა და საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზა-ციის ინსტრუმენტის, გამოყენების შედეგებსა და აღნიშნული შედეგების კავშირზე განხორციელებული პოლიტიკის ძირითად მახასიათებლებთან.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა/ავტორი ა. სვანიშვილი. - თბ., 2009.
2. გოცირიძე ლ., ვანიშვილი მ. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება: არსი, თავისებურებანი, მექანიზმი //ეკონომიკა. თბილისი, 2011, #7-8,
3. ვანიშვილი მ., ბადაგაძე ი., მუნიციპალური საბიუჯეტო სისტემა და ფინანსური მენეჯმენტი. – თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006.
4. ვანიშვილი მ., ვანიშვილი ნ., საჯარო ფინანსები თბ., 2017.
5. მახარობლიშვილი გ., გოცირიძე ლ., ვანიშვილი მ. ფისკალური დეცენტრალიზა-ციის პრობლემები საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი, 16-17 აპრილი, 2010 წ. თბილისი: უნივერსალი, 2010, გვ. 361-365.

# ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ტედენციები

## The Banks as the Participants of the Securities Market

მანანა ალფაიძე - ეკონომიკის დოქტორი,  
საქართველო ეროვნული უნივერსიტეტი  
Manana Alfidze - PhD of Economics. Professor  
Georgian National University

**რეზიუმე:** კომპანიათა უმრავლესობა აცნობიერებს, რომ ბაზარზე და მყიდველებზე ნაკლებადაა ორიენტირებული, ვიდრე პროდუქტზე და გაყიდვებზე. ჭეშმარიტად მყიდველებზე ორიენტირებულ კომპანიად გარდაქმნისათვის აუცილებელია: მყიდველებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბება კომპანიაში; პროდუქტის ნაცვლად მყიდველთა სეგმენტზე ორიენტაცია; მყიდველების შესწავლა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების გამოყენებით. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიის სამოქმედო მიზნების, პოლიტიკის და ამოცანების განსაზღვრას შემდეგი მიმართულებით: თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაძლიერება; გარემო, რაც გულისხმობს ნარჩენების უტილიზების, ენერგოეფექტიანობის, კლიმატის ცვლილების, ბიოდივერსიფიკაციის, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის, ინოვაციებისადმი დამოკიდებულებას; აქტიური თანამშრომლობა პერსონალთან, საზოგადოების ლოკალურ თემთან, კანონმდებლებთან, ადმსრულებლებთან და NGO-ებთან. ყველა ეს პარამეტრი თავს იყრის კორპორაციის მწარმოებლურობის შეფასებისა და მონიტორინგის მაჩვენებლებში, რაც საფუძვლად უდევს სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კორპორაციის საბოლოო ანგარიშს. კაუზალურ მარკეტინგულ პროგრამებს შუძლია სრულყოფილი სოციალური კეთილდღეობა, მოახდინოს ბრენდის დიფერენცირებული პოზიციონირება, განამტკიცოს კავშირი მყიდველებთან, აამაღლოს კომპანიის იმიჯი, შექმნას დამატებითი კეთილდღეობა საზოგადოებაში, გაზარდოს კომპანიის თანამშრომელთა მოტივაცია და მორალური დონე, შეინარჩუნოს საქმიანი რეპუტაცია, გააუმჯობესოს გაყიდვები და კომპანიის საბაზრო ღირებულება.

**Abstract:** Many companies realize that it is less oriented on market and buyers than products and sales. To be truly a sell-oriented company is essential for: Establishing vision-oriented vision in the company; Instead of product orientation on the segment of buyers; Learning the buyers using qualitative and quantitative research.

Social responsibility of the corporation implies defining company's objectives, policies and tasks in the following directions: Empowerment of health and safety of employees; Environment, which means dependence on waste utilization, energy efficiency, climate change, biodeverification, life cycle, innovations; Active cooperation with staff, local community community, legislators, executives and NGOs. All these parameters are in the performance and evaluation of the corporation's performance estimates, which is based on the CSR's Final Report on Social Responsibility.

Easy marketing programs can better social well-being, to differentiate the brand's brand position, strengthen the relationship with buyers, enhance company image. Create additional welfare in society, increase motivation and moral level of employees, maintain business reputation, improve sales and market value of the company.

---

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა, კორპორაცია, ქველმოქმედება, პასუხისმგებლობა, სოციალური

**Key Words:** economy, business, management, corporation, charity, responsibility, social

**შესავალი:** თანამედროვე პირობებში აქტუალური ხდება საზოგადოების წინაშე ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხები. კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) კონცეფცია განსაზღვრავს ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას, რომლის თანახმად ხელმძღვანელობის მოვალეობას წარმოადგენს მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, დაგეგმონ და განახორციელონ სამუშაო პროცესები, რომლებიც შეესაბამებიან, როგორც კორპორაციის, ასევე საზოგადოების ინტერესებს. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს

მიმდინარე პროცესების დინამიურობას და ინტერესთა თანხვედრისათვის დაბალანსებული გზების ძიებას. აღნიშნულ საქმიანობაში დაინტერესებულ პირებს მიეკუთვნებიან: მომხმარებლები, პარტნიორები, ინვესტორები, მომწოდებლები, აქციონერები, თანამშრომლები, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მაკონტროლებელი სახელმწიფო დაწესებულებები და ა.შ.

**ძირითადი ტექსტი:** კომპანიებისათვის სოციალური პასუხისმგებლობა ყოველთვის ღირებული არ იყო. ადამ სმიტმა განაცხადა: „არასოდეს მინახავს ბევრი სიკეთე იმათგან ვინც ცდილობს საზოგადოებისათვის განკუთვნილი საქონლით ივაჭროს..“. ლეგენდარულმა ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა სოციალური ინიციატივები „დამაქცევრად“ შერაცხა. მისი აზრით, ისინი კომპანიების მოგებაზე ორიენტირებულ მიზნებს ძირს უთხრიან და აქციონერთა ფულს ფლანგავენ. ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ სოციალურ პასუხისმგებლობაზე კომპანიის ფოკუსირების გამო ბიზნესისათვის აუცილებელი ინვესტიციების კვლევებსა და განვითარებაში მიმართვამ, შეიძლება კომპანია დააზარალოს. მაგრამ ეს კრიტიკოსები მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ.

დღეს ბევრი კომპანია აცნობიერებს, რომ ის ბაზარზე და მყიდველებზე ნაკლებად ორიენტირებულია, ვიდრე პროდუქტზე და გაყიდვებზე. ჭეშმარიტად მყიდველებზე ორიენტირებულ კომპანიად გარდაქმნისათვის აუცილებელია: მყიდველებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბება კომპანიაში; პროდუქტის ნაცვლად მყიდველთა სეგმენტზე ორიენტაცია; მყიდველების შესწავლა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების გამოყენებით.

ორგანიზაციების პასუხისმგებლობების პირამიდა ასეთია: ეკონომიკური პასუხისმგებლობა; სამართლებრივი პასუხისმგებლობა; ეთიკური პასუხისმგებლობა; სოციალური

პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობა - გულისხმობს კონკრეტული კანონებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების დაცვას. სოციალური პასუხისმგებლობა - გულისხმობს ორგანიზაციის ნებაყოფლობით ვალდებულებებს საზოგადოების ფართო ფენებისა და დაინტერესებულ პირთა ჯგუფების წინაშე.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიის სამოქმედო მიზნების, პოლიტიკის და ამოცანების განსაზღვრას შემდეგი მიმართულებით: თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაძლიერება; გარემო, რაც გულისხმობს ნარჩენების უტილიზების, ენერგოეფექტიანობის, კლიმატის ცვლილების, ბიოდივერსიფიკაციის, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის, ინოვაციებისადმი დამოკიდებულებას; აქტიური თანამშრომლობა პერსონალთან, საზოგადოების ლოკალურ თემთან, კანონმდებლებთან, ადმასრულებლებთან და NGO-ებთან. ყველა ეს პარამეტრი თავს იყრის კორპორაციის მწარმოებლურობის შეფასებისა და მონიტორინგის მაჩვენებლებში, რაც საფუძვლად უდევს სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კორპორაციის საბოლოო ანგარიშს.

მიუხედავად ამოცანის სირთულისა, შედეგი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ამიტომ, ორგანიზაციის მენეჯმენტმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს არა მხოლოდ მოგების უზრუნველყოფაზე, არამედ იმ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასა და დაცვაზე, რომელშიც მოქმედებს მისი ორგანიზაცია. მიზნის მისაღწევად აუცილებელია მყიდველებზე ორიენტაცია და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, დაკვირვება საბაზრო ტენდენციებზე და მზადყოფნა გამოვლენილი შესაძლებლობის მისაღებად.

პრაქტიკაში არსებობენ ფაქტორები, რომლებიც კომპანიებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის უფრო მაღალი

დონის დანერგვისაკენ უბიძგებს. ასეთია: მყიდველთა მოლოდინის ზრდა, თანამშრომლების მიზნებისა და ამბიციების გაძლიერება, მთავრობის მხრიდან მეტ ზეწოლასთან გამკლავება, საკანონმდებლო ბაზასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სოციალური კრიტერიუმებით ინვესტორების დაინტერესება, მედიის ჩართვის ამაღლება და ბიზნესპრაქტიკის შეცვლა.

სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები მუშაობენ სამართლებრივი, ეთიკური და სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ქცევების გათვალისწინებით. კომპანიის თითოეული თანამშრომელი ფლობს და ითვალისწინებს კანონების მოთხოვნებს. მენეჯმენტი ქმნის ეთიკური ქცევის სტანდარტებს. ბიზნესის წარმართვის ზოგიერთი მეთოდი, ცალსახად, არაეთიკური ან არაკანონიერია. ასეთია: მოქრთამვა, კომერციული საიდუმლოებების მოპარვა, რეკლამის საშუალებით არასწორი ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება, საიდუმლო შეთანხმებები და გარიგებები, ხარისხობრივი ან უსაფრთხოების დეფექტები, არასწორი გარანტიები, არასათანადო იარლიყები, საფასო დისკრიმინაცია, ბაზარში შესვლისათვის უკანონო ბარიერების შექმნა და დანაშაულებრივი კონკურენცია. რაც შეეხება სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ქცევას ცალკეულმა მარკეტოლოგებმა მყიდველებთან და დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობისას უნდა გამოიჩინონ სოციალური კეთილსინდისიერება. ადამიანები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კომპანიების აქტივობებით, რაც ეხმარება მათ, მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი კომპანიის პროდუქტი იყიდონ, სად ჩადონ ინვესტიციები ან რომელ კომპანიაში იმუშაონ.

მსხვილი კომპანიები სოციალური პროგრამების განხორციელების ანგარიშებში დეტალურად განმარტავენ, თუ როგორ ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობის გრძელვადიანი

გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე, რათა დააკმაყოფილონ კაცობრიობის მოთხოვნილებები მომავალი თაობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. როგორც მდგრადობის ერთ-ერთი კონსულტანტი აღნიშნავს: „არსებობს სამი ძირითადი ასპექტი - ადამიანი, პლანეტა და სარგებელი, სადაც ადამიანი მნიშვნელობით პირველ ადგილზეა. მდგრადობა იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ გარემოზე ზრუნვა. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ბუნებისადმი ასეთი დამოკიდებულება მომავალი სამოქმედო პროგრამის განუყოფელი ნაწილია. კომპანიათა მდგრადობის რეიტინგის დადგენისათვის ჩატარებულ კომპლექსურ კვლევაში, რათა შეედგინა მსოფლიოს ასი ყველაზე მდგრადი კორპორაციის სია, გამოიყენეს 11 ფაქტორი: ენერჯის მოხმარება, წყლის მოხმარება, ნახშირორთქანგის გამოყენება, ნარჩენების კვლავწარმოება, მართვის თავისებურებები, კომპანიის უმაღლესი და დაბალი რგოლების ხელფასების თანაფარდობა, გადასახადების გადახდა, მდგრადობის ლიდერობა, მდგრადობისათვის გაღებული ხარჯები, ინოვაციური უნარები და შედეგების გამჭირვალობა.

მდგრადობისადმი მზარდმა ინტერესმა, სამწუხაროდ გამოიწვია ნეგატიური მოვლენა როგორცაა „მწვანე ფერად გადაღება“, რაც ნიშნავს პროდუქტისათვის ეკოლოგიური ფორმის მიცემას მაშინ, როცა რეალურად ეს პირობა შესრულებული არაა. ამიტომ, ზოგჯერ არაკეთილსინდისიერი ფორმების მწვანე მოძრაობასთან მიკედლების გამო, მომხმარებლები საქონლის ეკოლოგიურობის შესახებ განცხადებებს სკეპტიციზმით უყურებენ.

ბიზნესსაქმიანობაში სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ბუნებრივი ძალების ჩართვა დიდ შესაძლებლობებს იძლევა. შესაბამისად, სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით მიღებული ინოვაციური გადაწყვეტილებები წარმატებას მოუტანს კომპანიებს. ერთ-ერთი ასეთია კორპორაციული ფილანტროპია ანუ



საზოგადოების სასარგებლოდ გაწეული პირადი ღვაწლი, რომელიც მიმართულია საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, შემოწირულობების მთლიანმა მოცულობამ 2012 წელს 14.2 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც მომდევნო წლებში შენარჩუნებული და გაზრდილია. ორგანიზაციების მსგავსი საქმიანობა კაუზალური (causalis - მიზეზობრივი) მარკეტინგის სახელწოდებითაა ცნობილი.

კაუზალური მარკეტინგი კორპორაციული სოციალური მარკეტინგის (corporate societal marketing - CSM) ნაწილია. განვითარებული ქვეყნების წარმატებულ კომპანიებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები მარკეტინგულ ღონისძიებებში ერთიანდება. კაუზალურს უწოდებენ ისეთ მარკეტინგს, რომლითაც საქველმოქმედო საქმიანობაში კომპანიის მონაწილეობა მისი საქონლის ან მომსახურების შეძენას (გაყიდვას) უკავშირდება. ამერიკელი მეცნიერები მ. დრამრაითი და პ. მერფი მას განსაზღვრავენ, როგორც მარკეტინგულ ძალისხმევას, რომელსაც საზოგადოების კეთილდღეობასთან დაკავშირებული, ერთი არაეკონომიკური (არაკომერციული) მიზანი გააჩნია და მის მისაღწევად კომპანიის ან პარტნიორების რესურსები გამოიყენება. დრამრაითმა და მერფიმ CSM-ში ასევე ტრადიციული და სტრატეგიული ქველმოქმედება და მოხალისეობაც შეიტანეს.

კაუზალურ მარკეტინგს გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები. კერძოდ კაუზალურ მარკეტინგს შეუძლია: გაზარდოს ბრენდის ცნობადობა; გააუმჯობესოს ბრენდის იმიჯი; უზრუნველყოს ბრენდის საიმედოობა; გამოიწვიოს გარკვეული შეგრძნებები ბრენდის მიმართ; შექმნას ბრენდის გულშემატკივართა შორის ერთიანობის განცდა; მიიზიდოს ადამიანები ბრენდებისადმი. შესაძლოა მას ცუდი შედეგი მოჰყვეს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაექვედება კომპანიის პროდუქტსა და

ქველმოქმედებას შორის კავშირში ან ფირმა საკუთარი ინტერესების გამტარებლად აღიქმება.

კაუზალური მარკეტინგის პროგრამების შემუშავება და დანერგვა მოითხოვს მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის იმის განსაზღვრას, თუ რამდენი და რომელი მოვლენა უნდა შევარჩიოთ და როგორ მოვახდინოთ შესაბამისი პროგრამის წინსვლა. კაუზალური მარკეტინგის საქველმოქმედო კამპანიის ჩატარების ერთ-ერთი მაგალითია „სახლი სახლიდან შორს“ - როცა ავდემყოფი ბავშვების მშობლებს კომპანია სთავაზოს სივრცეს, რათა შვილებთან ახლოს იცხოვრონ.

მსგავსი სამუშაოს ჩატარებისას ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ერთი რომელიმე ღონისძიებით შემოფარგვლა იწვევს იმ მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების რაოდენობის შემცირებას, რომლებსაც ფირმის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო პროგრამებიდან გამომდინარე, დადებითი გრძნობები უჩნდებათ და შესაბამისად პოპულარულ საქველმოქმედო ღონისძიებას მრავალი სპონსორიც ჰყავს. მაგალითად, 300-ზე მეტი კომპანია მკერდის კიბოს საწინააღმდეგო აქციაში გაერთიანდა. ასეთ ერთიანობას კომპანიები სიმბოლურად „ვარდისფერი ლენტით“ გამოხატავენ. თუმცა ჯერ კიდევ, კორპორაციული სპონსორების ყურადღების მიღმა დარჩენილი ისეთი მომაკვდინებელი დაავადებები როგორცაა: კანის, ფილტვის, პანკრეასის, პროსტატის კიბო, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, თუმცა ამ სიცარიელის შევსება მაინც შეინიშნება. მაგალითად კარდიოლოგიურმა ასოციაციამ ქალებისათვის შეიმუშავა ე.წ. „წითელი კაბის“ პროგრამა.

კომპანიების ნაწილი ისეთ ქველმოქმედებას მიმართავს, რომელიც მათ კორპორაციულ ან ბრენდის იმიჯს შეესაბამება. მაგალითად ოპტიკის კომპანიამ შეიმუშავა ე.წ. „მხედველობა საჩუქრად“ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა თვალის უფასო

გამოკვლევას და უფასო სათვალეს. პროგრამა „თითო თითოსთვის“ ითვალისწინებდა ფეხსაცმელების აქციას არგენტინაში. კერძოდ ერთი წყვილი კლასიკური ფეხსაცმლის გაყიდვით ერთი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი უფასოდ გაიცემოდა. ქველმოქმედების კარგ მაგალითს იძლევა ერთ-ერთი კომპანიის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და მათ დაცვას.

კაუზალურ მარკეტინგს კომპანიები ატარებენ იმისათვის, რომ სხვადასხვა ღონისძიებას მხარი დაუჭირონ. სოციალურ მარკეტინგს კი არაკომერციული ან სახელმწიფო ორგანიზაციები ახორციელებენ უშუალოდ ღონისძიების ფარგლებში, როგორცაა: „უარი უთხარი ნარკოტიკს“ ან „ივარჯიშე მეტი და იკვებე უკეთესად“ , „შეიკარი ღვედი“ და სხვა.

ბოსტონში დაფუძნებული სტრატეგიული კომუნიკაციების სააგენტო ახალშექმნილი კომპანიებისათვის (დამწყები ბიზნესისათვის) იძლევა რჩევებს საიმედო და რეალური სოციალური პროგრამების შესადგენად: შეარჩიეთ ფოკუსირების სფერო; შეაფასეთ თქვენი ინსტიტუციური სურვილები და რესურსები; გაანალიზეთ თქვენი კონკურენტების საქველმოქმედო პოზიციონირება; გულდასმით შეარჩიეთ პარტნიორები; ყურადღება მიაქციეთ საკუთარი პროგრამის სახელწოდებას; მდგრადი და ეფექტიანი პროგრამის შემუშავება დაიწყეთ სტრატეგიული გუნდის შექმნით; გამოიყენეთ თქვენი და თქვენი პარტნიორების აქტივები პროგრამის განსახორციელებლად; გამოიყენეთ კომუნიკაციის ნებისმიერი ხელმისაწვდომი არხი; იმოქმედე ლოკალურად; დანერგეთ ინოვაციები.

აშშ-ში სოციალური საკითხებით სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები ინტერესდებიან. სამთავრობო დაწესებულებებს შორის შეიძლება დავასახელოთ: დაავადებათა კონტროლისა და

პრევენციის ცენტრები; ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტი; სატრანსპორტო დეპარტამენტი და აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო. ამას ემატება სოციალური მარკეტინგით დაკავებული ასობით არაკომერციული ორგანიზაცია. სოციალური მარკეტინგის პროგრამის განხორციელებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიზნის სწორად განსაზღვრა. მაგალითად, რაზე უნდა აკეთებდეს აქცენტს ოჯახის დაგეგმვის კამპანია: შობადობის კონტროლზე თუ თავშეკავებაზე? რაზე უნდა ფოკუსირდებოდეს ჰაერის დაბინძურებაზე ბრძოლის კამპანია: მგზავრების გადაყვანის რაოდენობაზე თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებაზე? და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მარკეტინგი თავისი მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ტაქტიკას იყენებს, მისი დაგეგმვის პროცესი ტრადიციულ მარკეტინგს ბევრი რამით ჰგავს. სოციალური მარკეტინგული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში წარმატების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია:

- ისეთი მიზნობრივი ბაზრების შერჩევა, რომლებიც სოციალური მიმართვის აღქმისათვის ყველაზე უფრო მზად არიან;
- მოქმედებების წარმოჩენა მარტივი და გასაგები ტერმინებით;
- უპირატესობების გასაგები ფორმით წარმოჩენა;
- ქცევის შეცვლის პროცესის გამარტივება;
- საყურადღებო შეტყობინებების მიწოდება მედიისათვის;
- სწავლა - გართობის მიდგომის გამოყენება.

სოციალური მარკეტინგის პროგრამები საკმაოდ კომპლექსურია. ისინი ბევრ სამოქმედო პროგრამებისა და ქმედებების ეტაპობრივად განხორციელებას საჭიროებენ. მაგალითად შეგვიძლია გავისხენოთ თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო კამპანიის არაერთი ქმედება: კიბოთი დაავადების შესახებ ანგარიშები, სიგარეტის შეფუთვაზე არსებული წარწერა მოწევის მავნებლობის შესახებ. თამბაქოს

ნაწარმის რეკლამის აკრძალვები, პასიური წევის მავნებლობის შესახებ ინფორმაციები, რესტორნებში და თვითმფრინავებში მოწვევის აკრძალვა, გაზრდილი გადასახადები სიგარეტზე და სამთავრობო საჩივრები თამბაქოს მწარმოებელი კომპანიების წინააღმდეგ.

**დასკვნები:** სოციალური მარკეტინგის ორგანიზაციებმა თავიანთი პროგრამების წარმატება უნდა შეაფასონ დასახულ მიზნებთან მიმართებაში. შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს შემდეგი: კამპანიის აღქმის დონე, კამპანიის აღქმის სისწრაფე, კამპანიის აღქმის ხანგრძლივობა, აღქმის „ერთეულზე“ დაბალი დანახარჯები და არაპროდუქტიული შედეგების უქონლობა და სხვა.

წარმატებულ კაუზალურ მარკეტინგულ პროგრამებს შუძლია სრულყოფილი სოციალური კეთილდღეობა, მოახდინოს ბრენდის დიფერენცირებული პოზიციონირება, განამტკიცოს კავშირი მყიდველებთან, აამაღლოს კომპანიის იმიჯი, შექმნას დამატებითი კეთილდღეობა საზოგადოებაში, გაზარდოს კომპანიის თანამშრომელთა მოტივაცია და მორალური დონე, შეინარჩუნოს საქმიანი რეპუტაცია, გააუმჯობესოს გაყიდვები და კომპანიის საბაზრო ღირებულება. მომხმარებლებს ეძლევათ შესაძლებლობა დაამყარონ ფირმასთან ძლიერი, უნიკალური კავშირები, რომლებიც მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საბაზრო გარიგება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კოტლერი ფ., დალინ კ. - მარკეტინგის მენეჯმენტი თბ. 2015
2. მაჭავარიანი შ. - მენეჯმენტის საფუძვლები თბ. 2014
3. ფენენკო ი. ვ. - მართვის /მმართველობითი/ სოციოლოგია თბ. 2012
4. შენგელია თ. - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები თბ. 2012
5. ჯაში ჩ. - სოციალური მარკეტინგის საფუძვლები თბ. 2012

სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის  
სრულყოფის საკითხები  
**Issues of improving the financial and monetary policy of the state**

გია გოგრიჭიანი - ეკონომიკის დოქტორი  
საქართველო  
თორნიკე შიოშვილი - ეკონომიკის მაგისტრი  
საქართველო

**Gia Gogrichiani** - PhD of Economics  
Georgia

**Tornike Shioshvili** – Magister of Economics  
Georgia

---

**რეზიუმე:** სტატიაში გამოკვლეულია, რომ სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის პრობლემებთან მიმართებაში მეცნიერ-ეკონომისტებსა და მეურნე პრაქტიკოსებს შორის ფინანსური პოლიტიკის არსის განმარტებასთან მიმართებაში დღენდე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. შეთავაზებულია, რომ ფინანსური პოლიტიკა-არის ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ გამოყენებაზე და რაციონალურ გამოყენებაზე მომართული სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობა. მითითებულია, რომ ფინანსური პოლიტიკის მოდელი განხილული უნდა იქნას როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მათემატიკური ინტერპრეტაცია.

ბოლო პერიოდში ქვეყნებში განვითარებულ ფინანსურ კრიზისებზე ფინანსური სისტემის მართვის ორგანოები და მისი ფინანსური ინსტიტუტები უძღვრები აღმოჩნდნენ მათზე სწორი განმარტება გაეკეთებიათ და აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები შემოეთავაზებიათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ობიექტურად წარმოიშვა ფინანსური პოლიტიკის არსის კონკრეტიზაციისა და მისი კომპონენტების სტრუქტურირებისადმი მიდგომის დასაბუთების აუცილებლობა, რაც მოცემული სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გავრცობით შეიძლება შემდეგი სახის დასკვნები იქნას გაკეთებული:

დაუხსტებულისა, რომ ფინანსური პოლიტიკა თავისთავად სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფოს და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ განაწილებაზე და რაციონალურ გამოყენებაზეა მიმართული.

შეთავაზებულია, რომ ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს და იგი საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე და მის სოციალურ-ეკონომიკურ დონეზეა დამოკიდებული. ფინანსური პოლიტიკის პრინციპები და მიზნები ფორმირდება შესაბამისად იმისა, თუ მოცემულ სახელმწიფოში ეკონომიკური სისტემის რომელი მოდელია მიღებული და ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ როგორი ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანია განსაზღვრული.

ჩამოყალიბებულია, რომ ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილი უნდა იქნას ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა- საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკის სფეროში, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი - ფულადი ემისიის, ფასების, სავალუტო ოპერაციების, კრედიტისა და საპროცენტო განაკვეთის ძალისხმევებს აერთიანებს. გარდა ამისა, დაზღვევის, სოციალურ სფეროში, ფინანსური ბაზრის დარგში სახელმწიფოებრივი საქმიანობის გარკვეული მიმართულებებიც უნდა იქნას გამოყოფილი.

მითითებულია, რომ ფინანსური პოლიტიკის მოდელი განხილული უნდა იქნას როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მათემატიკური ინტერპრეტაცია. ამასთან საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ, უპირველეს ყოვლისა, სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათ

მიზნებიდან მხოლოდ ერთის მიღწევა შეუძლიათ; მეორეს მხრივ, ინსტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხებადა მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ – „ნულოვანი ინფლაციის“ მიღწევის მიზანს ემსახურება. მოცემული ფუნქციის მაქსიმიზაცია გამოყენებადი ღონისძიებების ოპტიმალური მასშტაბის არჩევისა და პოლიტიკური ძალების კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

**Abstract:** Clarified that fiscal policy is a set of government measures aimed at mobilizing financial resources, their optimal allocation and management in order to ensure the implementation of state and local government functions assigned to them. Proposals that fiscal policy is an integral components of the economic policy of the state depends on the institutional structure and the level of Society its socio-economic development. Principles and objectives of fiscal policy are formed in accordance with which model of the economic system adopted in this country and what the ultimate goal of economic activities defined by its political forces, the seat of power.

The proposal that the composition of fiscal policy should be allocated two areas: fiscal policy combines the efforts to implement measures in the field of tax and investment policies, and the policies of public expenditure management and public debt and monetary - monetary EMIS, prices, currency transactions, credit and interest rate. You should also emphasize certain areas of government activity in the insurance industry, the social sphere, the sphere of financial and other sectors. Set the model of financial policy should be seen as a mathematical interpretation function social welfare. It should be taken into account. that, firstly, governments have only one independent tool by which they can achieve only one of the targets; secondly, a tool "financial policy" more contact with the purpose of "full employment" and ensures its implementation, and the tool "monetary policy" - with "zero inflation". Maximizing this function allows you to select the optimal scale of existing measures and achieve consensus political forces.

---

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა; ფინანსური ინვესტიციები (დაბანდებები); ფინანსური რესურსები.



**Key Words:** Statement financial policy; Financial activity; Financial investment; Sources of financing.

**შესავალი:** ბოლო პერიოდში ქვეყნებში განვითარებულ ფინანსურ კრიზისებზე ფინანსური სისტემის მართვის ორგანოები და მისი ფინანსური ინსტიტუტები უძღვრები აღმოჩნდნენ მათზე სწორი განმარტება გაეკეთებინათ და აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები შემოეთავაზებინათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ობიექტურად წარმოიშვა ფინანსური პოლიტიკის არსის კონკრეტიზაციისა და მისი კომპონენტების სტრუქტურირებისადმი მიდგომის დასაბუთების აუცილებლობა, რაც მოცემული სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს.

**ძირითადი ტექსტი:** სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის პრობლემასთან მიმართებაში ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ მეცნიერ-ეკონომისტებსა და მეურნე პრაქტიკოსებს შორის ფინანსური პოლიტიკის არსის განმარტებასთან დაკავშირებით დღემდე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ასე, მაგალითად, ბაბიჩი ა.ი. და პავლოვა ლ.ნ. ფინანსურ პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც „...რეალურ ფულად ბრუნვასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე რეგულირებადი ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას“ [1, გვ. 46]. მათგან განსხვავებით, ბალაბანოვი ა.ი. და ბალაბანოვი ი.ტ. [2] თვლიან, რომ ფინანსური პოლიტიკის ზემოქმედების ობიექტს არა მარტო ფულადი ბრუნვა, არამედ მთლიანად ფინანსური სისტემა წარმოადგენს.

დრობოზინა ლ. ა., კონსტანტინოვა უ. ნ. და ოკუნიევა ლ. პ.-ს თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა - არის სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ განაწილებაზე და გამოყენებაზე მიმართული სახელმწიფო ღონისძიებების ერთობლიობა“ [3, გვ. 26]. აღნიშნულ

თვალსაზრისს უჭერენ მხარს შულიაკო პ.ს. და ბელოტელოვა ნ.პ. [4], რომანენკო ო.რ., ოგოროდნიკი ს.ია., ზალიუკი მ.ს. და სლავკოვა ა.ა. ამასთან ისინი ხაზს უსვამენ, რომ ფინანსური რესურსების მობილიზაცია, განაწილება და გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიზნობრივ ფუნქციასთან მიმართებაში რაციონალური უნდა იყოს [5, გვ. 42-43].

ვასილიკი ო. დ., აღნიშნავს რა ფინანსური პოლიტიკის ნორმატიულ-სამართლებრივ მიმართულობას, მას განსაზღვრავს როგორც „ ... საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, რომელიც მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის ფინანსების ორგანიზაციისა და გამოყენების ღონისძიებებს, მეთოდებსა და ფორმებს მოიცავს. ფინანსური პოლიტიკა თავის კონკრეტულ გამოხატულებას მოქმედ სისტემაში ფინანსური რესურსების მობილიზაციაში და სახელმწიფოს, მეწარმე სტრუქტურებისა და მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მათ გამოყენებაში პოულობს“. ფინანსური პოლიტიკა - არის „...შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების გონივრული საქმიანობის ფორმა, მაგრამ მისი პროცესები და მიზნები ფორმირდება შესაბამისად იმისა, თუ მოცემულ სახელმწიფოში როგორი სისტემის მოდელი არის მიღებული და ეკონომიკური საქმიანობის როგორი საბოლოო მიზანი არის ხელისუფლებაში არსებული მისი პოლიტიკური ძალის მიერ განსაზღვრული“ [6, გვ. 57-59].

კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა.-ს მოსაზრებით „ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და დამატებითი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა კეთილგონივრული ფისკალური პოლიტიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი გახდება როგორც ხარჯები,

ისე შემოსავლები. ამით შეიქმნება ოპტიმალური პირობები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად“ [7, გვ. 68].

ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ.-ს თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს. ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ მასში ვლინდება ეროვნული მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებები. განისაზღვრება ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა, მათი წყაროები და გამოყენების კონკრეტული გზები, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფინანსური მეთოდებით რეგულირებისა და სტიმულირების მექანიზმი“ [6.გვ. 60].

მესხია ი.-ს მოსაზრებით „სახელმწიფოს საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ამ სფეროში შემუშავებულ მეცნიერულ კონცეფციებს, წინა პერიოდის პრაქტიკის ანალიზს და როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიოს მიმდინარე და სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხივებს. საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა არის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. წარმატებული ფინანსური პოლიტიკა ხელს უწყობს ნაციონალური ეკონომიკის განვითარებას, ხოლო პირიქით-შეცდომები საერთაშორისო ფინანსებში ანელებს ნაციონალური ეკონომიკის წინსვლას“ [9. გვ. 31].

ხანთაძე გ., ცაავა გ.-ს თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა არის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტაზეა მიმართული საზოგადოებრივი სიმდიდრის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესი, რომ უწყვეტი კვლავწარმოების პროცესისა და კვლავწარმოების

ცალკეული კონკრეტული მოთხოვნის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა იქნას დაკმაყოფილებული“ [6, გვ. 41].

ჩატარებული ანალიზის შედეგების შეჯერებით შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება: ფინანსური პოლიტიკის არსის განხილული განმარტებები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან, რამდენადაც მათი ავტორები ყურადღების აქცენტირებას სხვადასხვა ასპექტებზე - ფინანსური პოლიტიკის როლზე, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების თანაფარდობაზე ახორციელებენ.

ჩვენი მოსაზრებით ფინანსური პოლიტიკა - არის ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ განაწილებაზე და რაციონალურ გამოყენებაზე მიმართული სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობა. ფინანსური პოლიტიკის მთავარ მიზანს - წარმოადგენს სახელმწიფოს და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შესაბამისი ფინანსური რესურსებით მათზე დაკისრებული ფუნქციების უზრუნველყოფა, ხოლო ძირითად ამოცანებს კი - ფინანსური რესურსების მინიმალურად საჭირო მოცულობით მობილიზაციისათვის პირობების უზრუნველყოფა; ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება და რაციონალური გამოყენება; საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფინანსური მეთოდებით რეგულირება და სტიმულირება; ფინანსური მექანიზმის რეალური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად შემუშავება; ფინანსების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა. ფინანსური პოლიტიკის პრინციპები და მათი მოკლე დახასიათება ცხრილი 1-შია წარმოდგენილი.

ფინანსური პოლიტიკა, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ნორმატიული თეორიის შემადგენელი, პასუხობს კითხვებზე: როგორ შეიძლება კონკრეტულ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ

პირობებში კონკრეტული მიზნები იქნას მიღწეული; ღირს კი და როგორ შეიძლება მოქმედი ფინანსური მექანიზმის მეშვეობით საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა იქნას შეცვლილი; როგორ შეიძლება ფინანსური განვითარების მიზნები და ამოცანები ოპტიმალურად იქნას შეხამებული და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური წარმატება მიღწეული; როგორია სიმდიდრის გადიდების შიდა ზამბარები ეროვნული ფინანსების სხვადასხვა სფეროებში და რგოლებში, რომლებზეც დაყრდნობა არის საჭირო და აღნიშნული რა სახით შეიძლება იქნას გაკეთებული. ფინანსური პოლიტიკა, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის შემადგენელი, ცდილობს ახსნას, ფინანსური სისტემის მართვის ორგანოები და ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა ხელშია თავმოყრილი ძალაუფლება, რატომ მოქმედებენ სწორედ ასე, და არა სხვაგვარად. აღნიშნული სფეროს თეორეტიკისეტი ცალკეული ქვეყნების შიგნით ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პრაქტიკას შეისწავლიან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამისი ორგანოებისა და ინსტიტუტების ქმედებების შედარებით ანალიზს ახორციელებენ.

**ფინანსური პოლიტიკის პრინციპები**

ცხრილი 1.

პრინციპები:	პრინციპების შინაარსი:
1. დაუყვანებლობა	ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოში სახელმწიფო პრაქტიკასთან არ დაიყვანება; ტარდება მეურნეობის მართვის ყველა დონეების მიერ, პირველადი რგოლების (საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები) ჩათვლით
2. მთლიანობისა და ერთიანობის	სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის მთლიანობისა და ერთიანობის დარღვევა - არის ფინანსების განვითარების ობიექტური კანონზომიერება და

	ფინანსური რეფორმების განხორციელების პირობების ფორმირების საფუძველი
3.დამოუკიდებლობის	სახელმწიფო შიდა და საგარეო პოლიტიკის პრიმატი მის შემადგენელზე - არის ობიექტური კანონზომიერება, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკის ყველა შემადგენელს ურთიერთდამოკიდებულების მუდმივობისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელია
4.ცენტრალიზაციის	ფინანსური პოლიტიკა არის ზემოდან ქვემოთ ზემოქმედების ხელოვნება, ანუ იგი სახელმწიფოს ხელში შემოსავლების ცენტრალიზაციის არსებული მექანიზმის შენარჩუნებაზე უნდა იყოს მიმართული
5.წარმოებულობის	ფინანსური ღონისძიებების ეკონომიკის მდგომარეობიდან წარმოებულობა ეფექტური ფინანსური პოლიტიკის განხორციელების საფუძველში ჩადებულ ფუნდამენტალურ პრინციპს წარმოადგენს
6.სისტემურობის	მიკრო-, მეზო- და მაკროეკონომიკურ დონეებზე შედგენადი საფინანსო-საკრედიტო ბალანსებისა და პროგნოზების მაქსიმალურად შესაძლო დაკავშირების უზრუნველყოფის აუცილებლობა; ღირებულებითი ფორმების მოძრაობის კვლავწარმოებითი პროცესის საერთოეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან შეთანხმება
7.კომპლექსურობის	ითვალისწინებს, რომ ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებში შესწორებების შეტანისას, საჭიროა მუდმივად იქნას შეფასებული, ღირს კი აღნიშნული ეკონომიკის განვითარებაზე მათი პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გათვალისწინებით გაკეთდეს

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ მეცნიერებას, ფინანსურ პოლიტიკასა და ფინანსების მართვას შორის ურთიერთკავშირის დაზუსტება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. ფინანსური პოლიტიკა ფინანსების მართვის სისტემაში ფუძემდებლურ ელემენტს წარმოადგენს, მისი რეალიზება ეკონომიკის მართვის მეშვეობით ხორციელდება და ფინანსების მართვის პრიცესის საფუძველია. აღნიშნული თავისი არსით როგორც ფინანსების მართვის პროცესისადმი და ასევე ფინანსური მეცნიერებისადმი მიმართებაში ფინანსური პოლიტიკის როლის საყოველთაობას ნიშნავს. ფინანსების მართვა არა თვით მართვისათვის, არამედ ფინანსური პოლიტიკით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით ხორციელდება. ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსების მართვა ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს. ამავე დროს ფინანსური მეცნიერება და ფინანსური პოლიტიკა - არის ობიექტური და სუბიექტური ფინანსების მართვაში. ფინანსების როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ფინანსური პოლიტიკა ფინანსური ცოდნის ფორმირების წყაროდ გამოდიოდა. ფინანსური პოლიტიკის ზემოქმედების ქვეშ იცვლებოდა არა მარტო ფინანსების მართვა, არამედ ფინანსური მეცნიერების შინაარსიც გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ფინანსური პოლიტიკა ფინანსური მეცნიერების საგნის შემადგენელი ფინანსური ურთიერთობების შემადგენლობასა და შინაარსს კი არ შეისწავლის, არამედ მეცნიერებისადმი მიმართებაში ფინანსების შესახებ სპეციფიკური საკუთარი ამოცანების შესრულებისათვის სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობებისა და კანონმდებლურად გაფორმებული მათი პრაქტიკული რეალიზაციის როგორც საბაზისო ინსტრუმენტარიის არსებულ პირობებს იყენებს.

ამასთან, უთუოდ, ფინანსური პოლიტიკა ფინანსებისა და მართვის თეორიაზე დაფუძნებული.

თინბერგენი ია.-ს მიერ 1969 წელს შემუშავებული ნორმატიული კონცეფციის თანახმად [6, გვ. 641-647], ფინანსური პოლიტიკა წარმოადგენს, ერთის მხრივ, სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ სფეროს, ხოლო მეორეს მხრივ - მისი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტს. ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის სამთავრობო ორგანოებს ესაჭიროება, პირველ რიგში, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზნების შერჩევა. მეორე, შეფასება თუ რა სახის პოლიტიკურ ინსტრუმენტებს - ან ფისკალურ ან მონეტარულ პოლიტიკას ფლობენ ისინი. მესამე, მათი მიღწევის მიზნობრივი მაჩვენებლებისა და ინსტრუმენტების შემაკავშირებელი მოდელის აგება, რაც გამოყენებადი პოლიტიკური ღონისძიებების ოპტიმალური მასშტაბის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ: 1) სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათ მხოლოდ ერთი მიზნის მიღწევა შეუძლიათ; 2) ინსტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხება და მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ - „ნულოვან ინფლაციასთან“ არის დაკავშირებული.

გადასაწყვეტი ამოცანების რეალიზაციისა და ხასიათის პერიოდის ხანგრძლივობიდან დამოკიდებულებაში ფინანსური პოლიტიკა დაიყოფა - ფინანსურ სტრატეგიად და ტაქტიკად, ამასთან ტაქტიკა მეორადია სტრატეგიასთან მიმართებაში. ფინანსური სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებები ფინანსური პოლიტიკის მიმართულობით და სახეობით არის განპირობებული. მაგრამ



მოცემულ საკითხთან მიმართებაში ასევე ერთიანი მოისაზრება არ არსებობს. ასე, მაგალითად, ბაბიჩი ა.მ. და პავლოვა ლ.ნ. [7, გვ.46] გამოყოფენ ფინანსური პოლიტიკის ექვს მიმართულებას - საგადასახადო, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სოციალური, საინვესტიციო, პოლიტიკას საერთაშორისო ფინანსების სფეროში.

<b>ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა</b>	
<b>საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა</b>	<b>საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა</b>
საგადასახადო პოლიტიკა	საემისიო პოლიტიკა
საინვესტიციო პოლიტიკა	ფასობრივი პოლიტიკა
სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკა	სავალუტო პოლიტიკა
სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკა	საკრედიტო პოლიტიკა
	საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკა

ნახაზი 1. ფინანსური პოლიტიკის მიმართულობები და სახეობები საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ტიპები ნახ. 2-ზეა წარმოდგენილი.

<b>საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა</b>	
<b>დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა</b>	<b>არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა</b>
აქტიური ფისკალური პოლიტიკა	პასიური ფისკალური პოლიტიკა
გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შეგნებულად მანიპულირება	გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ავტომატური ცვლილება

ნახაზი 2. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ტიპები ვასილიუკი  
ო.ლ. [4, გვ.57]

აღნიშნავს, რომ ფინანსური პოლიტიკა - არის მრავალგეგმიური და, განსაზღვრული ზომიერებით, ინტეგრირებული მოვლენა. იგი თავისთავში მოიცავს როგორც დამოუკიდებელ (საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად, სავალუტო და საინვესტიციო პოლიტიკას), დაზღვევის, სახელმწიფო ვალის, საფონდო ბაზრის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და სხვა.

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილი უნდა იყოს ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა (ნახაზი 1).

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა - არის სახელმწიფოს ხარჯებისა და შემოსავლების მეშვეობით ეკონომიკის რეგულირების სისტემა, გადასახადებით დაბეგვრაზე და სახელმწიფო ხარჯებზე ზემოქმედების სახელმწიფოებრივი მეთოდების ერთობლიობა. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას მიეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტთან ისეთი მანიპულაციები, რომლებიც მიმოქცევაში ფულის მასის რაოდენობას არ ცვლიან.

დისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა თავისთავად სამთავრობო შესყიდვების, გადასახადების განაკვეთებისა და სატარიფო გადახდების სიდიდეების გონივრულ მანიპულირებას წარმოადგენს. ამასთან დისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: საზოგადოებრივი სამუსაოების პროგრამები, საზოგადოებრივი დასაქმების პროექტები, სატრანსფერტო პროგრამები, საგადასახადო განაკვეთების ცვლილება.

არადისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა თავისთავად გადასახადების განაკვეთებისა და სატრანსფერტო პროგრამების უცვლელობის პირობებში თვით ეკონომიკის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლით გამოწვეულ სამთავრობო შესყიდვებში და გადასახადებში ცვლილებებს წარმოადგენს. ამასთან არადისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს ჩაშენებული სტაბილიზატორები (შემწეობები უმუშევრობასთან დაკავშირებით, შემწეობები სიღარიბესთან მიმართებაში, პროპორციული საშემოსავლო გადასახადი, სუბსიდიები ფერმერებზე) წარმოადგენენ, რომლებსაც საგადასახადო შემონატანებისა და სახელმწიფო ტრანფერტების ეკონომიკის მდგომარეობაზე დამოკიდებულებაში ცვლილების ტენდენცია გააჩნიათ.

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ქვეშ გაიგება ემისიის მართვის მეშვეობით ფულადი მიმოქცევის მდგრადობის უზრუნველყოფა, ინფლაციისა და ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის რეგულირება; საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირების მეშვეობით ეროვნულ მეურნეობაში და ფინანსური სისტემის სხვადასხვა რგოლებში ანგარიშსწორებების თავისდროულობისა და უწყვეტადობის უზრუნველყოფა და სხვა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს - საზოგადოებრივი წარმოების მდგრადი ზრდის, ფასების სტაბილური დონის, დასაქმების მაღალი დონისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბალანსის მიღწევა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: ოპერაციები ღია ბაზარზე, სავალდებულო რეზერვების ნორმატივების ცვლილება, საალრიცხვო განაკვეთის ცვლილება, კრედიტების კონკრეტული სახეობებისა და ცალკეული დარგების ან მსხვილი ფირმების დაკრედიტების

რეგულირება, საბანკო ოპერაციების რისკებისა და ლიკვიდურობის რეგულირება.

ბოლო წლებში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (მსფ, რგმბ, რგებ, ბანკები-კრედიტორების ლონდონის კლუბი, ქვეყანა-კრედიტორების პარიზის კლუბი და სხვები) მიერ განხორციელებადი საერთაშორისო პოლიტიკა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკის საფუძველში დევს საერთაშორისო ფონანსების სფეროში სავალუტო-ფინანსური და საკრედიტო ურთიერთობების მართვა, ფინანსური კრიზისის გადატანილი ან ფინანსური სიძნელეების განცდადი სახელმწიფოებისათვის ფინანსური დახმარებების განხორციელება. დახმარება, როგორც წესი, კრედიტების მიწოდების ან უკვე არსებული საგარეო სახელმწიფო ვალის რესტრუქტურისაციის ფორმით ხორციელდება. ასეთი ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება არა უსასყიდლოდ და თან რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ახლავს, რომელთა დაუცველობით ქვეყანა-დამრღვევს სერიოზული სანქციები ემუქრება.

**დასკვნები:** დაზუსტებულია, რომ ფინანსური პოლიტიკა თავისთავად სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფოს და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ განაწილებაზე და რაციონალურ გამოყენებაზეა მიმართული.

შეთავაზებულია, რომ ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს და იგი საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე და მის სოციალურ-ეკონომიკურ დონეზეა დამოკიდებული. ფინანსური

პოლიტიკის პრინციპები და მიზნები ფორმირდება შესაბამისად იმისა, თუ მოცემულ სახელმწიფოში ეკონომიკური სისტემის რომელი მოდელია მიღებული და ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ როგორი ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანია განსაზღვრული.

ჩამოყალიბებულია, რომ ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილი უნდა იქნას ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა-საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკის სფეროში, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი - ფულადი ემისიის, ფასების, სავალუტო ოპერაციების, კრედიტისა და საპროცენტო განაკვეთის ძალისხმევებს აერთიანებს. გარდა ამისა, დაზღვევის, სოციალურ სფეროში, ფინანსური ბაზრის დარგში სახელმწიფოებრივი საქმიანობის გარკვეული მიმართულებებიც უნდა იქნას გამოყოფილი.

მითითებულია, რომ ფინანსური პოლიტიკის მოდელი განხილული უნდა იქნას როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მათემატიკური ინტერპრეტაცია. ამასთან საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ, უპირველეს ყოვლისა, სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათ მიზნებიდან მხოლოდ ერთის მიღწევა შეუძლიათ; მეორეს მხრივ, ინსტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხებადა მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ – „ნულოვანი ინფლაციის“ მიღწევის მიზანს ემსახურება. მოცემული ფუნქციის მაქსიმიზაცია გამოყენებადი ღონისძიებების

ოპტიმალური მასშტაბის არჩევისა და პოლიტიკური ძალების კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა. - საჯარო ფინანსები: სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დარბეგი“, 2010.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები, თბილისის გამომცემლობა „დანი“ 2016.
3. ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, (სახელმძღვ.), თბილისი. გამ. „დანი“ 2013.
4. Бабич А.М.- Финансы: Учебник. – Москва: ИД ФБК-ПРЕСС, 2014. – 760 с.
5. Балабанов А.И.- Финансы. – СПб: Издательство «Питер», 2014. – 192 с.
6. Общая теория финансов: Учебник. Под ред. Л.А. Дробозина. – Москва: Банки и биржи, ЮНИТИ, 2005. – 416 с.
7. Шуляк П.Н.- Финансы: Учебное пособие. – Москва: Издательский дом «Дашков и К», 2012. – 452 с.
8. Финансы: Учебник. Под ред. О.Р. Романенко, С.Я.Огородник, М.С. Зязюк, А.А. Славкова. – Киев: Знания, 2014. – 611 с.
9. Сакс Дж. Д., ЛарренФ.Б. – Макроэкономика: Глобальный подход: Пер. с англ. – Москва: Дело. 2006. – 848 с.

საქართველოსა და წამყვანი ქვეყნების საბანკო სისტემის  
თანამედროვე მოდელები

Modern models of banking system of Georgia and leading  
countries

ნიკოლოზ დარჩიაშვილი – დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალეკო ქუთათელაძე – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Nikoloz Darchiashvili**, PhD student

Georgian Technical University

**Aleko Kutateladze** – PhD, Professor

Georgian Technical University

---

**რეზიუმე:** ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღესდღეობით მსოფლიოში ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ორი ძირითადი ტიპი (მოდელი): ამერიკული და ევროპული. თითოეულ მოდელს გააჩნია თავისებური კავშირი ქვეყნის ფინანსურ განვითარებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ბანკებს შორის ეტაპობრივად მცირდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას.

ისევე როგორც ევროპულ საბანკო მოდელში, საქართველოშიც გვაქვს რამოდენიმე ძლიერი ბანკი, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკების რაოდენობის კლების პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა.

**Abstract:** Banks are a part of modern economics and society. Today is the world's two main types of banking system (model): American and European. Each model has a peculiar connection with the country's financial development.

It should be noted that the difference between European and American banks is gradually decreasing, which contributes to the growing international cooperation.

Just like in the European banking model, Georgia has some strong bank that plays a major role in the development of the country's economy. The number of bank branches and service centers increases in parallel with the number of banks.

---

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი, ეკონომიკა, საბანკო სისტემა, ევროპული საბანკო მოდელი, ამერიკული საბანკო მოდელი

**Key Words:** Bank, Economy, Banking system, European banking model, American banking model

**შესავალი:** ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ცნობილია, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც გარდამავალ ეტაპზე განვითარების თავისებურებით ხასიათდება და მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ევოლუციურმა პროცესმა ბუნებრივია გამოიწვია ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობის ბანკის წარმოშობა და შეიძლება ითქვას, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ბანკების კლასიფიკაციისას არ უნდა დაგვავიწყდეს ნაციონალური ხასიათი, სადაც ერთი და იმავე ტიპის ბანკები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

**ძირითადი ტექსტი:** დღესდღეობით მსოფლიოში ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ორი ძირითადი ტიპი (მოდელი): ამერიკული და ევროპული. თითოეულ მოდელს ქვეყნის ფინანსურ განვითარებასთან გააჩნია თავისებური კავშირი.

ამერიკული მოდელი ასახავს ნაციონალური ფინანსური ბაზრის განვითარების თავისებურებებს. ამერიკულ ეკონომიკაში კორპორაციები ძირითადად ეყრდნობიან შიდა დაფინანსების წყაროებს, ამიტომ მათი ურთიერთობა ბანკებთან უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აშშ-ის ეკონომიკა უფრო ორიენტირებულია



საფონდო ბაზარზე, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ეკონომიკის კორპორატიული სექტორის ობლიგაციების გაყიდვით მიღებული ნასესხები სახსრების წილი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და აქციები, შეადგენს დაფინანსების 50-75%-ს, ხოლო მხოლოდ დანარჩენი წილი მოდის საბანკო კრედიტებზე.

ასეთი მიდგომა ავიწროებს საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობას და ზღუდავს დიდი საბანკო დაწესებულებების ფორმირების შესაძლებლობას. შედეგად, ამერიკულ ბაზარზე ძირითადად გვხვდება მცირე და საშუალო ზომის ბანკები. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ფინანსური სისტემა დაფუძვნებული ძლიერ საფონდო ბაზარზე, უფრო მოქნილია და უფრო შეეფერება მაღალი რისკის მქონე პროექტებს. ასეთი მოდელის შემთხვევაში ბანკები არაფინანსურ კორპორაციებზე ვერ ახდენენ ზეგავლენას, შედეგად ფინანსირების საკითხში არ ხდება საბანკო მონოპოლია. თუკი ბანკი უარს ამბობს კონკრეტული პროექტის დაფინანსებაზე, მისი განხორციელება შესაძლებელია აქციების ან ობლიგაციების გაცემის საშუალებით.

ამერიკული მოდელის მთავარი უპირატესობაა დიდი კონკურენცია საბანკო სისტემაში. ამას გარდა, ამერიკული მოდელი არის „ღია ბაზრის“ მოდელი, რაც განაპირობებს ბანკისა და კლიენტის თავისუფალ ურთიერთობას, განსაკუთრებით კი სამრეწველო კომპანიებთან.

გარკვეულწილად ამას განაპირობებს ბანკების საქმიანობის შეზღუდვა კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. შესაბამისად, ბანკსა და კლიენტს შორის საბაზრო ურთიერთობა ყალიბდება ორმხრივი სარგებლის საფუძველზე.

მთლიანობაში, ამერიკის საბანკო სისტემა საკმაოდ რთულია. ეკონომიკაში ფუნქციონირებენ, როგორც ნაციონალური საკრედიტო ინსტიტუტები, ასევე სახელმწიფო ბანკები. ამას გარდა საბანკო

ორგანიზაციები იყოფა ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრ ბანკებად და ბანკებად, რომლებიც არ არიან ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები.

ევროპული საბანკო მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება აშშ-ის საბანკო მოდელისაგან. პირველ რიგში, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ვრცელდება ბიზნესის დაფინანსების სხვა პრინციპები.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის უფრო დამახასიათებელია რამდენიმე ძირითადი აქციონერის სააქციო კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია( აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში აქციები დანაწევრებულია). ხშირად, არასაფინანსო კორპორაციის მთავარ აქციონერად ბანკები გვევლინება. რაც გულისხმობს მის მონაწილეობას ორგანიზაციის ფულადი ნაკადების წარმოებაში. შედეგად კონტინენტური ევროპის ქვეყნებში საბანკო კრედიტების წილი მთლიანი მოზიდული რესურსებიდან შეადგენს 70 % -ს (დარჩენილი წილი მოდის ფასიან ქალაქებზე). ბანკსა და კორპორატიულ სექტორს შორის მჭიდრო კავშირი ღრმად ინტეგრირებული, ეროვნული და მსოფლიო ობშორული სეგმენტის მაკონტროლირებელი, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის საშუალებას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული საბანკო სისტემა დაფუძნებულია ეროვნული ეკონომიკის მთლიანი ფინანსური სექტორის ხერხემლის შემქმნელ სამ უმსხვილეს ბანკზე.

შესაბამისად, ევროპული საბანკო მოდელი ხასიათდება მცირე რაოდენობის მსხვილი ბანკების არსებობით, რომელთაც გააჩნიათ ვრცელი ფილიალების ქსელი და შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ არაფინანსური კომპანიების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

ამ მოდელის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის საკრედიტო ინსტიტუტების სტაბილურობა. ბანკის სტაბილურობა,

ძირითადად გამომდინარეობს იქედან, თუ რამდენად დიდი რისკის დაფარვა შეუძლია მას საკუთარი კაპიტალით. კონტინენტური ევროპის ბანკებს მნიშვნელოვნად დიდი რესურსების გათვალისწინებით საკმაოდ დიდი რისკის აღება შეუძლიათ საკუთარ თავზე. ასევე შეუძლიათ მეტად გააფართოონ საკრედიტო პორტფელი. დანაკარგების გაჩენის შემთხვევაში ბანკი მას ფარავს საკუთარი რესურსებით ისე, რომ არ დააზარალოს მენაზრეები. ევროპული მოდელის კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ ძირითადად წარმოდგენილია უნივერსალური საბანკო სისტემა, რომელიც კლიენტებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის ფასიანი ქაღალდების წარმოებასთან დაკავშირებულ ოპერაციებშიც. უნივერსალური ბანკების კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა ერთი საკრედიტო ინსტიტუტის საშუალებით განახორციელონ ბევრი ფინანსური ოპერაცია. ასევე უნივერსალურ ბანკებს სხვადასხვა ფინანსურ საკითხებში შეუძლიათ კვალიფიციური კონსულტაციები გაუწიონ თავის კლიენტებს, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლობის ხარისხს ბანკსა და კლიენტს შორის. ამ მოდელის მიწის მდგომარეობს მასში, რომ იგი ბევრად უფრო კონსერვატიულია ამერიკულ მოდელთან შედარებით. ასევე, ნაკლებად კონკურენტუნარიანი ბაზრის გათვალისწინებით ევროპული მოდელის შემთხვევაში საკომისიო მომსახურების საფასური არის უფრო მაღალი.

ევროპული საბანკო მოდელის ამგვარი განვითარების მიზეზი გახდა ევროპული ბანკების უპირობო უპირატესობა მსოფლიოს უმსხვილესი საკრედიტო ინსტიტუტების სეგმენტში.

სტატისტიკური მონაცემებით, 1997-1998 წლებში ყოველწლიურად ხდებოდა ბანკების გაერთიანების 100 –მდე შემთხვევა. ერთიანდებოდნენ არა მხოლოდ ერთ სეგმენტზე მომუშავე ბანკები, არამედ ისეთებიც, რომლებიც ასრულებდნენ განსხვავებული

სეგმენტის მომსახურებას, ასევე ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ბანკებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ბანკებს შორის ეტაპობრივად მცირდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას.

მსხვილ ევროპულ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ფინანსირების წყაროების დივერსიფიცირება საერთაშორისო მასშტაბების გაერთიანებით. მაგალითად, რიგ ქვეყნებში მიიღონ საბანკო კრედიტები, ხოლო რიგ ქვეყნებში აწარმოონ ოპერაციები ფინანსურ ბაზრებზე. ამას გარდა, ამ შემთხვევაში კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია არ დაუშვას მათზე კონტროლის შესუსტება ინსტიტუტების სახსრების უზრუნველყოფის მიზნით.

დღესდღეობით, საქართველოს საფინანსო ბაზარი მსოფლიო ფინანსური ბაზრის შესაბამისად ვითარდება და ჩნდება ახალი ფინანსური ინსტიტუტები. აქედან გამომდინარე იცვლება საბანკო წესებიც. საქართველოს საბანკო სისტემის ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მოდელი თავისი არსით და რაობით უფრო ახლოს არის ევროპულ მოდელთან, ვიდრე ამერიკულთან.

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის ორ ათეულზე მეტი წლის რეფორმირებისა და ინსტიტუციონალური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ქვეყანაში ყველაზე წარმატებული სექტორი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ისევე როგორც ევროპულ საბანკო მოდელში, საქართველოშიც გვაქვს რამოდენიმე ძლიერი ბანკი, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკების რაოდენობის კლების

პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა.

**დასკვნები:** საქართველოს ეროვნულ ბანკს წლების მიხედვით აქვს გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ბანკების რაოდენობის შესახებ. 1995 წელს 102 ბანკი იყო. შემდეგ მათი რიცხვი სწრაფად მცირდებოდა და მინიმუმს, 17 ბანკს, 2006 წელს მიაღწია. ამის შემდეგ ბანკების რაოდენობა უმნიშვნელოდ იკლებდა ან მატულობდა და დღეის მდგომარეობით საქართველოში 18 კომერციული ბანკია. თუმცა უკვე დადასტურებულია, რომ წლის ბოლომდე “ბანკი რესპუბლიკა” ცალკე ფუნქციონირებას შეწყვეტს და სრულად თიბისი ბანკის საკუთრება გახდება. გამოდის, რომ, თუ ახალი ბანკი არ დაემატა ბაზარს, 2017 წლიდან საქართველოში 17 კომერციული ბანკი იქნება.

2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. მარტში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 710.8 მილიონი ლარით, ანუ 2.1 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 3.6 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი აპრილისათვის 34.3 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.4 პროცენტია. ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინდიკატორია საბანკო აქტივების ცვლილების ტენდენცია. საბანკო აქტივებზე ინფორმაცია 2004 წლიდან მოვიპოვეთ. ამ მხრივ ბოლო 12 წელიწადში ძალიან დიდი პროგრესია მიღწეული, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ 2004 წელს ბანკების ჯამური აქტივები 1,7 მილიარდი ლარი იყო. 2016 წლის

ივლისის მონაცემებით 26.7 მილიარდი ლარია, ანუ გაზრდილია 15,7-ჯერ. აქტივების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბანკების სააქციო კაპიტალიც. ეს ნიშნავს, რომ ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება.

თუმცა, ამას აქვს უარყოფითი მხარეებიც, ვინაიდან ჩვენს ბანკებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკმარისი კაპიტალი და კრიზისის შემთხვევაში დგება დანაკარგების საფრთხე, რამაც შეიძლება დააზარალოს მეანაზრეები, თავად ბანკები და ქვეყნის ეკონომიკაც. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემუშავებულ იქნას გარკვეული რეგულაციები, მაგალითისთვის, რისკების სამსახურის მიერ განსაღვრული უნდა იქნას თუ რა დანაკარგის დაფარვა შეუძლია ბანკს საკუთარი სახსრებით და ამის შესაბამისად უნდა გაზარდოს პორთფელის რაოდენობაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი. კოზმავა, გ. კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014;
2. Richard J. Parsons, Broke: America's Banking System, Common Sense Ideas to Fix Banking, 2013;
3. [http://studopedia.ru/3\\_161829\\_tipi-bankovskih-sistem.html](http://studopedia.ru/3_161829_tipi-bankovskih-sistem.html) გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018
4. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2> გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018
5. <http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTuli-sabanko-sistema> გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018

**ბანკის მოზიდული რესურსების მოცულობის გავლენა ქვეყნის  
ეკონომიკურ მდგომარეობაზე და დეპოზიტების დაზღვევის  
სისტემის დადებითი შედეგი**

**The Banks as the Participants of the Securities Market**

**ანა დვალი** - დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Ana Dvali** – PhD student

Georgian Technical University

---

**რეზიუმე:** თანამედროვე საბანკო სისტემა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ბანკები შეადგენენ მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც ურთიერთქმედებენ საინვესტიციო ბანკებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, ფინანსურ კომპანიებთან, კერძო ინვესტორებთან, სხვა კომპანიებთან და იღებენ სარგებელს ფულადი ნაკადების შექმნასა და მათი მიმოქცევის ხელშეწყობაში.

კომერციული ბანკები მრავალფეროვანი ოპერაციებით არიან დაკავებული, რაც გულისხმობს ფულადი მიმოქცევის ორგანიზებას, დეპოზიტების მიღებას კლიენტებისაგან, ეკონომიკის სუბიექტების დაკრედიტებას, ფასიანი ქაღალდების ყიდვას და გაყიდვას, ნდობით ოპერაციებს, საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ.

ბანკი არის შუამავალი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც ფულადი რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან და შესაბამისად, საჭიროებენ მას. სხვადასხვა სახეობის საბანკო დეპოზიტები, როგორცაა შემნახველი სადეპოზიტო ანგარიშები, ვადიანი ანაბრები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სხვა, განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში უსაფრთხოდ შენახვისთვისა და რაც მთავარია, სარგებლის მიღების მიზნით.

ბანკის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა და მოზიდული რესურსების მართვა - ეს არის მეცნიერება და, ამასთანავე, დროებით

გამოთავისუფლებული ფულადი რესურსების მართვის ხელოვნება. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს ბანკის სარესურსო ბაზის ოპტიმიზაცია. სწორედ მოზიდული სახსრების საშუალებით ხდება შესაძლებელი სხვადასხვა აქტიური ოპერაციების ჩატარება, კერძოდ, სხვადასხვა სახის სესხების გაცემა, რაც თავის მხრივ ბანკის შემოსავალს მუდმივად ზრდას უწყობს ხელს.

ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროს საკრედიტო ოპერაციები წარმოადგენს, თუმცა მათი წარმოებისათვის ბანკს აუცილებლად ესაჭიროება შესაბამისი სარესურსო ბაზა, სარესურსო ბაზის ფორმირების უმთავრეს წყაროს კი წარმოადგენს დეპოზიტები. დეპოზიტური ოპერაციები საბაზისო საბანკო საქმიანობის შემადგენელი ელემენტია, რაც გულისხმობს ბანკის ძირითადი ფუნქციის - თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვასა და ეკონომიკის სუბიექტების დაკრედიტების ოპერაციების - განხორციელებას.

კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტები ახალ ფულად მასას ქმნიან. ეს მოწმობს იმ ფაქტს, რომ ბანკი უბრალოდ კი არ აჩქარებს ფულის მოძრაობას, არამედ ქმნის კიდევაც ფულად მასას. საბანკო ანგარიშებზე თანხის განთავსებით, ფულადი სახსრები ბანკის რესურსად იქცევა და ბანკი მას კრედიტის სახით აწვდის კლიენტებს. ამასთანავე საბანკო ანგარიშის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს თავისი თანხის უკან გატანა - ნაწილობრივ ან მთლიანად. რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საბანკო სისტემისა და დაკრედიტების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. საბანკო სისტემა მიმართავს ახალ ფულად მასას იმ მიმართულებით, სადაც ფულის ეფექტიანად გამოყენება მოხდება. ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემის პროცესი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი ფაქტორია. რა თქმა უნდა, ყოველ კომერციულ ბანკს, მეტნაკლებად, სარესურსო ბაზის ინდივიდუალური მართვის მეთოდები გააჩნია. ეს გამომდინარეობს ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკიდან, ბანკისათვის საჭირო რესურსების მოცულობიდან, რაც მთავარია, ქვეყანაში მიმდინარე მიკრო- და მაკროეკონომიკური მოვლენებიდან და სხვა.



**Abstract:** The banking system is a crucial component of the global economy and occupies one of the most important positions in the modern economic world. Banks are just one part of the world of financial institutions, standing alongside investment banks, insurance companies, finance companies, investment managers and other companies that profit from the creation and flow of money.

Commercial banks have to perform a variety of functions and operations, which includes organization of money turnover, acceptance of deposits, make loans and advances to all types of persons, particularly to businessmen and entrepreneurs (creation of credit), buying and selling securities, trust operations, consulting operations, etc.

As financial intermediaries, banks stand between depositors who supply capital and borrowers who demand capital. Bank deposits, which includes savings accounts, term deposits, certificate of deposit etc., are placed into banking institutions for safekeeping. These deposits, are made to deposit accounts such as savings accounts, checking accounts and money market accounts. The account holder has the right to withdraw deposited funds, as set forth in the terms and conditions governing the account agreement.

Attracting cash by the bank and management of the attracted resources - this is the science and, in addition, the art of financial management. The real purpose of these process is optimization of the base of financial resources. Resource optimization itself, is the set of processes and methods to match the available financial resources with the needs of the organization in order to achieve established goals.

The main income of the banks bring credit operations, but their implementation is necessary to have a large resource base, in turn, the main source of its formation are deposits. Relevance of the topic of work is determined by the fact that deposit transactions perform basic element of banking activities, as the main function of banks - the accumulation of free cash society and their redistribution to credit resources for economic entities, the state population.

Banks lend money to ordinary commercial and personal borrowers and create a new flow of money. This confirms the fact, that the bank simply does not accelerate money movement, it also creates the money supply. When someone

opens a bank account and makes a cash deposit, he surrenders legal title to the cash, and it becomes an asset of the bank. In turn, the bank can lend this money to other economic subjects. At the same time, the owner of deposit account can withdraw his money from bank account at any time.

For the economic development of the country the banking system has the main and important role. The banking system directs the money supply in required direction. The process of issuing credits by banks is a necessary factor for economic development of the country. The banking system has certain specifications according to the countries and, therefore, the formation and use of attracted resources happens in different ways. The process of gathering financial resources for a bank resource base includes banking management and marketing departments, and also other bank secessions.

---

**საკვანძო სიტყვები:** ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები; დეპოზიტები; მოთხოვნამდე დეპოზიტი; ვადიანი დეპოზიტი; დეპოზიტების დაზღვევის სისტემა;

**Key Words:** Active and passive operations of a commercial bank; Deposit; Demand deposit; Term deposit; Deposit insurance system;

**შესავალი:** საბანკო სისტემა წარმართავს ქვეყნის საგადახდო და ანგარიშსწორებათა სისტემას და სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად ახდენს მოსახლეობის დანაზოგების გადანაწილებას. შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ საბანკო სისტემა ასრულებს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

ბანკი არის შუამავალი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი რესურსების მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც ფულადი რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან. აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს, რომ ბანკის მთავარ საქმიანობას კრედიტების გაცემა წარმოადგენს. აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად კი ბანკს

ესაჭიროება რესურსები. საკუთარი კაპიტალი, რომელსაც ბანკი ფლობს, არ არის საკმარისი კრედიტების სასურველი მოცულობით გასაცემად და სხვა აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად, ამიტომ ბანკი საჭიროებს ფულადი სახსრების მოზიდვას. ბანკის მოზიდული რესურსების უდიდეს ნაწილს არასაბანკო დეპოზიტები, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და ვადიანი სახსრებია. კომერციული ბანკების საქმიანობის საფუძველს სწორედ მოზიდული რესურსების კრედიტის სახით გაცემა წარმოადგენს.

კომერციული ბანკის ფუნქციებისა და მიზნების შესასრულებლად საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვის ერთადერთ საშუალებას სწორედ პასიური ოპერაციები წარმოადგენენ. პასივების სტრუქტურა მრავალფეროვანია და ძირითადად მოიცავს დეპოზიტურ სახსრებს, არადეპოზიტურ სახსრებს და საკუთარ კაპიტალს. პასიურ ოპერაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კომერციული ბანკებისთვის, რადგან მოზიდული სახსრები გამოიყენება არა მხოლოდ როგორც საკრედიტო რესურსი, არამედ ისეთი აქტიური ოპერაციების ჩასატარებლადაც, როგორცაა ფასიანი ქვადღებების შექმნა, ინვესტიციების განხორციელება, ძირითადი საშუალებების შექმნა, ლიზინგური და ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება და ა.შ.

პასივების სტრუქტურა განსხვავდება თითოეული კომერციული ბანკის მიხედვით, რასაც ძირითადად განაპირობებს ბანკების სტრატეგია და პოლიტიკა, აქციონერების ფინანსური შესაძლებლობა, ბაზარზე კონკურენციის დონე, ბანკის იმიჯი, განხორციელებული აქტიური ოპერაციების მოცულობა და რისკის ხარისხი, საკუთარი კაპიტალის სიდიდე და ა.შ.

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსური კეთილდღეობის საქმეში. ამიტომ, კომერციული ბანკების საქმიანობა

და მათი როლი საზოგადოების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ის, თუ რა მოცულობით და რა პირობებით გასცემს ბანკი მათზე კრედიტს. გასაცემი სესხების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთზე კი მნიშვნელოვანწილად სწორედ მოზიდული სახსრების რაოდენობა და სტრუქტურა მოქმედებს. ამგვარად, მზარდმა ინტერესმა საკითხის მიმართ განაპირობა ჩემი მოტივირება კომერციული ბანკების მოზიდული რესურსების, მათი მართვის და მოსახლეობის დეპოზიტების დაზღვევის საკითხების შესასწავლად.

**ძირითადი ტექსტი:** საბანკო საქმიანობა რთული და მრავალფეროვანი პროცესია. საბანკო საქმიანობა იყოფა პასიურ, აქტიურ და საკომისიო ოპერაციებად. განვიხილოთ პასიური ოპერაციების არსი. პასიური ოპერაციები საბანკო საქმიანობის საფუძველია. მათი მეშვეობით ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ რესურსების მოზიდვა ფულად ბაზარზე. ამიტომაც, კომერციული ბანკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პასიური ოპერაციები. მათი საშუალებით ხდება აქტიური ოპერაციების წარმოება, რაც თავის მხრივ ახალი რესურსების შექმნას უწყობს ხელს. ბანკის პასივების მთავარ წყაროს და პასიური ოპერაციების ძირითად სახეობას წარმოადგენს **დეპოზიტური ოპერაციები**. ბანკებს შეუძლიათ საკუთარ კაპიტალზე გაცილებით მეტი ფულადი სახსრების მოზიდვა. ბანკები ახდენენ საზოგადოების ფულადი დანაზოგების მოზიდვას და ამავე დანაზოგებით საზოგადოების - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაკრედიტებას.

**დეპოზიტური სახსრების** მოზიდვა ხდება დეპოზიტური ოპერაციებით. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, დეპოზიტური სახსრების ხვედრითი წილი (მათ შორის საქართველოში) მთლიან პასივებში საგრძნობლად გაიზარდა. ბანკებს

შორის კონკურენციაც უფრო მაღალ დონეზეა და, სწორედ ამიტომ, კომერციული ბანკები ცდილობენ, რაც შეიძლება ხელსაყრელი და კომფორტული გარემო შეუქმნან პოტენციურ დეპოზიტარებს, ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ მაღალი საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე და მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყონ დეპოზიტების განთავსება, რაც მომხმარებლის პოზიციიდან უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს.

კომერციული ბანკების დეპოზიტების სტრუქტურა მრავალფეროვანია და მათი კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვადიანობის, მფლობელების, ვალუტების და სხვა ნიშნების მიხედვით. ვადიანობის მიხედვით გამოყოფენ დეპოზიტების ორ ძირითად ჯგუფს. ესენია - მოთხოვნამდე დეპოზიტები და ვადიანი დეპოზიტები.

**მოთხოვნამდე დეპოზიტი** არის ისეთი ტიპის უვადო ანგარიში, სადაც თავსდება კლიენტის ფულადი სახსრები და კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია თანხის მოთხოვნა. მოთხოვნამდე დეპოზიტი ეხსნებათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ასეთი ტიპის დეპოზიტები განსაკუთრებით მომგებიანია იურიდიული პირებისთვის. თუ კომპანიას მოთხოვნამდე დეპოზიტზე გარკვეული ვადით ფულადი სახსრები ექნება განთავსებული, სარგებლის სახით დაერიცხება პროცენტი. ამასთანავე ამ თანხის გამოყენება კომპანიას შეუძლია ნებისმიერ დროს, რაც არ ითვალისწინებს სადეპოზიტო ხელშეკრულების დარღვევას. მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკისთვის ითვლება არასტაბილურ რესურსად, სწორედ იმის გამო, რომ მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი გატანა ანგარიშიდან. ბანკისთვის არასტაბილური რესურსების განთავსება ძირითადად ხდება ლიკვიდურ აქტივებში - სალარო, საკორესპონდენტო ანგარიშები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

**ვადიანი დეპოზიტები (ანაბრები)** - ეს არის ფულადი სახსრები, რომელთა განთავსება ბანკში ხდება განსაზღვრული ვადით და ბანკი მოიპოვებს უფლებას აღნიშნულ რესურსზე ანაბრის ვადის გასვლამდე. ვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია და ფიზიკური პირები უპირატესობას სწორედ ვადიან ანაბრებს ანიჭებენ თავიანთი დანაზოგის შესანახად. ფიზიკური პირისთვის სარგებლის სიდიდეს აქვს მნიშვნელობა, ამიტომ კომერციული ბანკები ცდილობენ პოტენციურ მენაბრეებს შესთავაზონ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის მიღება. ვადიანი დეპოზიტებიც სხვადასხვა ჯგუფებად იყოფა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგალითად - ანაბარზე თანხის დამატების პირობით, თანხის ავტომატურად შეგროვების პირობით, რთული თუ მარტივი პროცენტის დარიცხვის მეთოდით, თანხის გარკვეული ოდენობით გახარჯვის პირობით და ა.შ. ამასთანავე თითოეულ კომერციულ ბანკს აქვს თავისი შიდა სტანდარტი ანაბრებთან (და სხვა პროდუქტებთან) დაკავშირებით.

ზოგადი ტენდენცია არის ის, რომ ისეთ ვადიან ანაბრებზე, რომლებზეც დეპოზიტარს თანხის დამატების უფლება აქვს - შედარებით ნაკლები საპროცენტო განაკვეთი აქვს, ვიდრე ფიქსირებულ თანხიან დეპოზიტებს. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტებზე სარგებლის დარიცხვის პერიოდულობაც ახდენს გავლენას წლიურ საპროცენტო განაკვეთზე. დეპოზიტარს შეუძლია ანაბრის სარგებელი მიიღოს წინასწარ, ყოველთვიურად ან ვადის ბოლოს. წლიური საპროცენტი განაკვეთი მაქსიმალურია სარგებლის ვადის ბოლოს დარიცხვის პირობით; საშუალოდ 0,5%-ით ნაკლებია წლიურ საპროცენტო განაკვეთზე, თუ მენაბრეს ყოველთვიურად გააქვს სარგებელი და უფრო მეტად მცირდება საპროცენტო განაკვეთი სარგებლის წინასწარ რეალიზაციისას.

ვადიან ანაბრის შემთხვევაში მეანაბრეს შეუძლია საკუთარი სახსრების ვადაზე ადრე გატანა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი კარგავს სრულ სარგებელს ან მის ნაწილს. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის არსებობა-არარსებობას კომერციული ბანკი თავად განსაზღვრავს და წინასწარ გაწერს ხელშეკრულებაში. ვადიან და ზრდად (თანხის დამატების უფლებით) ანაბრებზე ვადაზე ადრე თანხის გატანის შემთხვევაში კლიენტს თავისი თანხა გააქვს სრულად, თუმცა ვერ იღებს სრულ სარგებელს, ხოლო უკვე რეალიზებული სარგებელი კორექტირდება ანაბრის თანხიდან.

კომერციული ბანკები თავიანთ მომხმარებლებს ასევე სთავაზობენ განსხვავებული ტიპის დეპოზიტს - **სადეპოზიტო სერტიფიკატს**. ეს არის ბანკის ვალდებულება სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა დათქმული ვადის დადგომისას. სტანდარტულ სერტიფიკატს უწოდებენ ლარში დენომინირებულს, არასტანდარტულს კი - უცხოურ ვალუტაში. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ორი სახის - **დისკონტური და საპროცენტო**. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის სარგებლის რეალიზაცია ხორციელდება ვადის ბოლოს, საპროცენტოსი კი ყოველთვიურად და, შესაბამისად, საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0,5%-ით ნაკლებია დისკონტურზე. აღნიშნული პროდუქტის უპირატესობა არის ის, რომ მისი საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია ჩვეულებრივ ვადიან დეპოზიტთან შედარებით. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სადეპოზიტო ხელშეკრულების ნაკლოვანებას წარმოადგენს ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში ჯარიმის (ნომინალური ღირებულების 3%) არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, ვადიანი ანაბრები კომერციული ბანკებისთვის უფრო სტაბილური რესურსების წყაროდ ითვლება,

ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტები. მათი გამოყენება ძირითადად ხდება საშუალო, ასევე გრძელვადიანი დაკრედიტებისთვის. საქართველოში მოთხოვნამდე დეპოზიტებს ლარში საშუალოდ წლიური 3% ერიცხებათ სარგებლის სახით, როცა ვადიანი ანაზღაურების წლიური საპროცენტო განაკვეთი 8%-დან 10%-მდე მერყეობს (ვალუტის სახეზე და ვადაზე დამოკიდებულებით).

დეპოზიტების კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია მათი მფლობელების მიხედვით, კერძოდ იურიდიული პირის დეპოზიტებად და ფიზიკური პირის ანაზღაურებად. როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირები მოთხოვნამდე დეპოზიტებს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან ასეთ ანგარიშებზე ფულადი სახსრები უფრო მარტივად ხელმისაწვდომია კომპანიისათვის. მართალია, სარგებელი ვადიან ანაზღაურებთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ იურიდიული პირებისთვის ფულადი საშუალებები საბრუნავ სახსრებს წარმოადგენენ და ე.წ. თავისუფალი ფული მათ ცოტა ხნით უჭერდებოდათ საბანკო ანგარიშებზე. ამის მიუხედავად, იურიდიული პირებიც ხსნიან ვადიან დეპოზიტებს სარგებლის მიღების მიზნით, თუმცა შედარებით მცირე ვადით, ვიდრე ფიზიკური პირები.

მოსახლეობის მხრიდან, თავიანთი ფულადი სახსრების გადაცემას კომერციული ბანკისათვის შესაძლებელია და სარგებლის მიღების მიზნით, განაპირობებს მრავალი ფაქტორი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მაღალ საპროცენტო სარგებელზე, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა საიმედოობის ფაქტორიც. საკუთარი დანაზოგის დაკარგვის შიში ბევრს უარს ათქმევინებს საკუთარი დანაზოგის საბანკო ანგარიშზე განთავსებაზე.

2017 წლის მაისში, საქართველოში გამოიცა კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით, „კანონი განსაზღვრავს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს



სამართლებრივი ფორმის, მართვისა და უფლებამოსილების და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ადმინისტრირების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონის მიზანია კომერციულ ბანკში ამ კანონით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურება, კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, დანაზოგების წახალისება და ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობის ხელშეწყობა.”

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, განვიხილოთ, თუ რა დადებითი გავლენა მოახდინა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნამ კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების მოცულობაზე. როგორც აღვნიშნე, საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ შესახებ გამოიცა 2017 წლის მაისში. ამავე პერიოდში წინა თვესთან შედარებით საბანკო სისტემის დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 1.1 %-ით (173.4 მლნ ლარით). ამავე წლის ივნისში მივიღეთ დეპოზიტების ზრდა 2.8%-ით. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა დეკემბრამდე. მართალია, დეკემბერში შეინიშნებოდა დეპოზიტების მოცულობის 0.7%-ით შემცირება წინა თვესთან შედარებით, მაგრამ 2016 წლის იგივე პერიოდის მონაცემებს თუ შევადარებთ, შეინიშნება დეპოზიტების მოცულობის ზრდა 16.4%-ით. 2018 წლის იანვარსა და თებერვალში შეინიშნება დეპოზიტების მოცულობის შემცირება 2017 წლის ბოლო პერიოდთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლები ბევრად აღემატება 2016 წლის იგივე პერიოდს. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლის მაისის შემდგომ კომერციული ბანკების დეპოზიტების მოცულობა მუდმივ მატებაშია. ეროვნული ბანკის ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2018 წლის მარტში მივიღეთ დეპოზიტების მოცულობის ზრდა 458.3 მლნ ლარით (2.4 პროცენტით).

საზოგადოების ნდობის ამაღლება ქვეყნის საბანკო სისტემის მიმართ ხელს შეუწყობს ბანკების მიერ მეტი ფულადი სახსრების მოზიდვას. შესაბამისად, კომერციულ ბანკებს ექნებათ საშუალება შეამცირონ გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი. დაცული იქნება დეპოზიტართა ფულადი სახსრები, უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური სტაბილურობა, მოსახლეობას ექნება მეტი სტიმული განათავსონ თავიანთი დანაზოგი სადეპოზიტო ანგარიშებზე. ეს ყველაფერი კი დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

**დასკვნები:** კომერციული ბანკის რესურსების მთავარ წყაროს წარმოადგენს დეპოზიტური სახსრები. ბანკებს შეუძლიათ საკუთარ კაპიტალზე გაცილებით მეტი ფულადი სახსრების მოზიდვა. ბანკები ახდენენ საზოგადოების დანაზოგების მოზიდვას და ამავე დანაზოგებით საზოგადოების - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაკრედიტებას, ასევე სხვა აქტიური ოპერაციების განხორციელებას;

- ბანკში მუდმივად მიმდინარეობს პასივების მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ის ფაქტორები, რაც ბანკის შიდა და საერთო ეკონომიკურ სიტუაციაზე ახდენს გავლენას. შედეგად, შესაძლებელი ხდება შემუშავდეს ისეთი ღონისძიებები, რაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის;

- ფულადი სახსრების მოზიდვა - შესაბამისად კლიენტის მიერ განთავსებული თითოეული დეპოზიტი, ბანკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იგი კომერციული ბანკის ყოველდღიური საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ, კომერციულ ბანკებს შორის კონკურენციის მაღალი დონე შეიმჩნევა. ისინი ცდილობენ შექმნან მაქსიმალურად კომფორტული სადეპოზიტო პროდუქტი და გარემო, რომ კლიენტებმა მეტი ფულადი

სახსრები დააბანდონ მათ საბანკო ანგარიშებზე, რათა კლიენტის კმაყოფილი დარჩეს და თავადაც მოგება მიიღოს;

- ბანკში ფულადი სახსრების შედინება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან. მაგალითად, საქართველოს კომერციული ბანკების დეპოზიტების მოცულობის ცვლილებაზე დიდ გავლენას ახდენს ვალუტის კურსის ცვლილება, მოსახლეობის შემოსავლის დონის ცვლილება და ა.შ.

- საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფიზიკური პირების უმრავლესობა ანაბრის გასახსნელად ცდილობს მიმართოს იმ კომერციულ ბანკს, რომელსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვს დეპოზიტებზე. საქართველოში, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, შედარებით ახალია თავისუფალი ფულადი სახსრების ბანკში განთავსების კულტურაც. მოსახლეობის უმეტესობა დღემდე ვერ ხედავს საბანკო დეპოზიტების აუცილებლობას და დადებით მხარეს. შესაბამისად, ყოველი კომერციული ბანკი ცდილობს სულ უფრო მიმზიდველი პირობები შეუქმნას პოტენციურ მენაბრეებს და შესთავაზოს მათ დამატებითი პროდუქტები;

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კოზნაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა შპს „სეზანი“. 2014
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2013
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2014
4. საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, 2017
5. საქართველოს ეროვნული ბანკის თვის მიმოხილვა, 2017-2018

# ეკონომიკური ზრდის მიმართულებები და ფაქტორები

## Trends and Factors of Economic Growth

ბეკარ კილასონია – დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Bekar Kilasonia**, PhD student  
Georgian Technical University

**რეზიუმე:** ეკონომიკური მოვლენები უწყვეტ ცვლილებას განიცდის დროსა და სივრცეში. ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება, როგორც მათი მოცულობა, დონე, ასევე შედგენილობა, ე.ი ეკონომიკური მოვლენები იცვლება, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. განსაკუთრებით ცვლადია ეკონომიკური ცხოვრების მოვლენის რაოდენობრივი მხარე. სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ცვლილება დროში წარმოადგენს მათ დინამიკას.

ადამიანის საქმიანობის პრაქტიკა მიუთითებს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე. ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური რყევა, ეკონომიკური დინამიკის ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ციკლის თეორიის ცენტრშია ეკონომიკაში რყევის პროცესის ანალიზი - ეკონომიკური დეპრესიის და აღმავლობის მონაცვლეობა. ზრდის თეორია წონასწორობიდან გადახრის ამსახველია. რეალური ეკონომიკა ყალიბდება სწორედ ამ ორი პროცესის ურთიერთშეხამების შედეგად.

ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა ეკონომიკური დინამიკის სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია: ეკონომიკური დინამიკის ციკლური განვითარება, ესტენსიური ეკონომიკური ზრდა, ინტენსიური ეკონომიკური ზრდა და სხვ.

იმის შესახებ თუ რა იყო თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის წინამძღვარი, რა ფაქტორებმა განაპირობა იგი, რატომაა ზრდის ტემპი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული, მეცნიერული გამოკვლევების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეიქმნა; ამ საკითხზე მუშაობდნენ არა მარტო ეკონომისტები, არამედ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებრთა

წარმომადგენლები, იმართებოდა დისკუსიები და ამავედროს შემუავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიები.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფაქტორებს, შესაძლებელია გამოვყოთ: ეკონომიკური დინამიკის ფაქტორები შედგება ექვსი ძირითადი ფაქტორებისგან, რომლებიც შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; ძირითადი კაპიტალის მოცულობა; ტექნოლოგია; მოთხოვნის ფაქტორები; განაწილების ფაქტორები.

ეკონომიკური ზრდის ტანამედროვე თეორიების შესაბამისად პროდუქტიულობა იზრდება არა „გარე“, არამედ „შიგა“ ფაქტორების დახმარებით, ადამიანის ქცევებთან დაკავშირებით, რომლებიც გვევლინებიან პერიოდული ძალებისა და ცოდნის მამოძრავებელ ძალად. ზოგიერთი ამ ახალი თეორიის ჩარჩოებში მტკიცდება, რომ ერთ-ერთ საჭირო ფაქტორად ადამიანური კაპიტალის მთლიანი ამღლება გვევლინება. სხვა თეორიების თანახმად, პროდუქტიულობის ამღლების ძირითად წყაროდ გვევლინება მეცნიერული გამოკვლევები და საკონტუქტურო-საგამომცემლო დამუშავება, თუმცა ისინი ასევე დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე. ტექნიკური პროგრესი, რომელიც ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორია, იძლევა ცხოვრების დონის ევოლუციის შესაძლებლობას. იგი ახანგძლივებს სიცოცხლეს, თანდათანობით ზღუდავს სოციალურ უთანასწორობას, ამცირებს სამუშაო დროის ხანგრძლივობას, აუმჯობესებს ცხოვრების წესს. ტექნიკური პროგრესი იცავს შრომის დანაწილების შემდგომ გაღრმავებას და აქტიური მოსახლეობის მიგრაციას მომსახურების სფეროს მიმართულებით.

**Abstract:** Economic events permanently change in time and space. In the process of historical development scope and level of economic events as well as their content have been changed i.e. economic events are changed in terms of quantity and quality. Quantitative part of the event of economic life is especially inconstant. Exactly the evolution of social and economic events in time represents their dynamics.

Practice of human activity refers to economic development dynamics. Economic growth and economic fluctuation are two interdependent processes of the economic dynamics. Economic fluctuation process analysis – i.e. alteration of the economic depression and rise - is the center of cycle theory.

Various approaches of the economic dynamics can be distinguished in the economic theory, the most important among them are: cycle development of economic dynamics, extensive economic growth, intensive economic growth etc.

There is large-scaled scientific research on the following issues: what was the precondition for high rate of modern economic growth? Which factors contributed to this result? Why growth rate differs in various countries? Economists as well as other representatives of social sciences worked on the above listed issues, they arranged discussions and some of the important theories were developed at this time.

As far economic growth and development factors, we can distinguish the following: factors of economic dynamics include: six main factors, which are established as follow: Quantity and quality of the natural resources, quantity and quality of labour resources; scale of the main capital; technologies, factors of requirement; factors of distribution.

In accordance with the modern theories of economic growth, productivity can be increased with the help of “external” as well as “internal” factors with the regard to human behavior which is a motive power for circulating power and knowledge. Within the frame of some of these new theories we can proof that human capital growth is one of the necessary factors. According to other theories scientific researches and contestant-producing development are the main source to increase productivity although they are depended on human capital. Technical progress which is the main factor of economic growth gives the opportunity to increase level of life. It provides longer human lifetime and gradually restricts social inequality, reduces the duration of working time and improves the life style. Technical progress protects further development of employment distribution and migration of active population in terms of service field.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური დინამიკა, ციკლური განვითარება, ინტენსიური ზრდა, ექსტენსიური ზრდა, ტექნიკური პროგრესი

**Key Words:** Economic growth, economic dynamics, cycle development, intensive growth, extensive growth, technical progress.

**შესავალი:** როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ეკონომიკური მოვლენები უწყვეტ ცვლილებას განიცდის დროსა და სივრცეში. ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება, როგორც მათი მოცულობა, დონე, ასევე შედგენილობა, ე.ი ეკონომიკური მოვლენები იცვლება, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. განსაკუთრებით ცვლავებადია ეკონომიკური ცხოვრების მოვლენის რაოდენობრივი მხარე. სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ცვლილება დროში წარმოადგენს მათ დინამიკას.

ეკონომიკური დინამიკის თეორია განსხვავდება ეკონომიკური სტატისტიკის და ეკონომიკური ზრდის თეორიისგან. ეკონომიკური სტატისტიკა ეკონომიკურ მოვლენებს შეისწავლის არა ცვლილების პროცესში, არამედ მყარ მდგომარეობაში, დროში ცვალებადობის გარეშე. ეკონომიკური დინამიკა კი პირიქით, ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს ეკონომიკური ელემენტების მათ შორის თანაფარდობის ცვლილებების პროცესში, ეძებს კანონზომიერებებს თვით ცვლილებების მიმდინარეობაში. ეკონომიკური ზრდისგან განსხვავებით კი ეკონომიკური დინამიკა ასახავს კლების (შემცირების) ტენდენციასაც.

ეკონომიკური საქმიანობის დინამიკურობის, მისი ცვალებადი ბუნების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკური საქმიანობა დინამიკურია თავისი ბუნებით (არსით). სამეურნეო მოვლენების სამყარო დენადი და ცვალებადია. სამეურნეო ცხოვრების მოვლენები შეიძლება ზოგჯერ იყოს მეტ-ნაკლებად მდგრადი და მიახლოებული სტატისტიკურ მდგომარეობასთან, მაგრამ მკაცრად

რომ ვთქვათ, ისინი არასდროს არ არის ასეთ მდგომარეობაში როგორც არაა აბსოლუტური უძრაობა ფიზიკურ სამყაროში.

**ძირითადი ტექსტი:** ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს ზრდის ტენდენცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საწარმოო ძალთა განვითარება და ცხოვრების დონის ამაღლება, თანამედროვეობის საერთო კანონზომიერება გახდა. ამასთან გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა თანაბარზომიერი როდია, მას თან ახლავს პერიოდული ეკონომიკური არასტაბილურობა. ყოველივე ეს კლასიკური კაპიტალიზმის ეპოქაში უმძაფრესი ფორმით-ეკონომიკური კრიზისის სახით ვლინდება.

მოკლედ რომ ვთქვათ ადამიანის საქმიანობის პრაქტიკა მიუთითებს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე. ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური რყევა, ეკონომიკური დინამიკის ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ციკლის თეორიის ცენტრშია ეკონომიკაში რყევის პროცესის ანალიზი - ეკონომიკური დეპრესიის და აღმავლობის მონაცვლეობა. ზრდის თეორია წონასწორობიდან გადახრის ამსახველია. რეალური ეკონომიკა ყალიბდება სწორედ ამ ორი პროცესის ურთიერთშეხამების შედეგად.

ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა ეკონომიკური დინამიკის სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია ეკონომიკური დინამიკის ციკლური განვითარება.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ აღავლობას შემდგომ მოზდევს ეკონომიკური დაქვეითება რომელსაც თან ახლავს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), დასაქმებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება. ამ პროცესს უკავშირდება მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა. შემდეგ ეს პროცესი მეორდება, ანუ აღმავლობას კვლავ მოზდევს ახალი დაქვეითება. წარმოების ასეთი აღმავლობა და დაცემა ქმნის ეკონომიკურ ციკლს. რყევების მომენტები ეკონომიკაში უამრავლია. ზოგი მათგანი



მოქმედებს ეკონომიკის განსაზღვრულ სფეროში, ზოგი ცალკეულ მაჩვენებელთა სახით. სხვები კი მოიცავს სამეუნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს. მათ შორისაა ეკონომიკური აქტიურობის გრძელვადიანი რყევა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს.

ეკონომიკური რყევების ახალ კლასიკურ კონცეფციებს შორის წამყვანი ადგილი უკავია „რეალური ეკონომიკური ციკლის“ თეორიას. არნიშნული თეორიის მიმდევრები დასაქმებისა და წარმოების მოცულობის რყევას უკავშირებენ ტექნოლოგიური ხასიათის ფაქტორების ცვლილებას. ამ თეორიის შესაბამისად, საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდა იწვევს წარმოებისა და დასაქმების გაფართოებას. „რეალური ეკონომიკური ციკლს“ ბევრ მოდელში წარმოების დაცემა განიხილება მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის პერიოდად.

ეკონომიკური ციკლის თითქმის ყველა ფაზაში განიხილება აქსელერატორის ეფექტი, რომლის მიხედვითაც მოხმარების საგნებზე მოთხოვნის გადიდება გარდაუვლად იწვევს წარმოების საშუალებებზე მოთხოვნისა და შესაბამისად, ინვესტიციების კიდევ უფრო სწრაფდ ზრდას, რაც ეკონომიკის ციკლური განვითარების საკვანძო მომენტადა მიჩნეული. აქსელერატორის ეფექტის შესახებ არის განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ მთლიანად ის განიხილება, როგორც ეკონომიკურ რყევათა განუყოფელი ელემენტი.

ეკონომიკური დინამიკაში გარდა ციკლური განვითარებისა, შეიმჩნევა სხვა მეტ-ნაკლებად გავრცელებული ფორმები, რომლებიც ეკონომიკის განვითარების პროცესში, მის ამა თუ იმ ეტაპზე, გარკვეული სიცხადით იჩენს თავს. მინდა ყურადღება გავამახვილო ზოგიერთ მათგანზე.

ესტენსიური ეკონომიკური ზრდა - ეკონომიკური ზრდა უშუალოდ გამოიხატება მთლიანი შიდა პროდუქტის, მისი წარმოების ფაქტორების რაოდენობრივი გადიდებითა და

თვისობრივი სრულყოფით. წარმოების მოცულობის გადიდების ექსტენსიური ზრდა გულისხმობს ერთობლივი მიწოდების გაზრდას წარმოების ფაქტორების ( კაპიტალი, შრომა, მიწა) გამოყენების ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში არ იზრდება წარმოების ეფექტიანობა, რადგან წარმოების გადიდება, დაუშვათ 10 % - ით, ხორციელდება წარმოების ფაქტორების 10 %-ით მატების პირობებში, ანუ უცვლელად რჩება შრომის ნაყოფიერება.

ინტენსიური ეკონომიკური ზრდა- ეკონომიკური ზრდა მიიღწევა წარმოების ფაქტორების თვისებრივი სრულყოფის ბაზაზე. ინტენსიური ეკონომიკა დამახასიათებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ყვეფენებისათვის. იგი ისეთი მეურნეობაა, რომელიც უპირატესად ვითრდება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, სამუშაო ძალისა და მატერიალური რესურსების ეკონომიკური გამოყენების ხარჯზე.

რეალურად, კვლავწარმოების ექსტენსიური და ინტენსიური ტიპები წმინდა სახით განცალკევებულად არ არსებობს. პრაქტიკაში ისნი მეტნაკლებად კომბინაციით გვევლინება. ამიტომაც გამოყოფენ კვლავწარმოების უპირატესად ინტენსიურ ტიპებს. კვლავწარმოება უპირატესად ინტენსიური ტიპისაა, როდესაც ეკონომიკური ზრდა უპირატესად მიიღწევა ხარისხობრივი ფაქტორების (საწარმოო რესურსების შეფარდებით ეკონომიის) ხარჯზე. მთელ რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა ხორციელდება კვლავწარმოების უპირატესად ინტენსიური ტიპის ბაზაზე.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც განვიხილეთ ეკონომიკური დინამიკის ძირითადი მიმართულებები და ნიშანთვისებები, უცილებელია გავერკვეთ, თუ რა არის ეკონომიკური დინამიკის ფაქტორები და რა უნდა გააკეთოს ერმა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რას უნდა დაეფუძვნოს ეკონომიკური ზრდა, არსებობს თუ არა განსხვავება ინდუსტრიულდ

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პრობლემებში.

იმის შესახებ თუ რა იყო თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის წინამძღვარი, რა ფაქტორებმა განაპირობა იგი, რატომაა ზრდის ტემპი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული, მეცნიერული გამოკვლევების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეიქმნა; ამ საკითხზე მუშაობდნენ არა მარტო ეკონომისტები, არამედ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლები, იმართებოდა დისკუსიები და ამავდროს შემუავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიები.

ამ მოვლენის ახსნის ერთ-ერთი პოპულარული თეორია შეიძლება მას ვებერმა, რომელიც რელიგიასა და ეკონომიკას შორის სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობას ემყარება: ვებერის თანახმად, კაპიტალიზმის აყვავების უკეთესი პირობა აქვთ იმ ქვეყნებს, სადაც ძლიერია პროტესტანტული ფასეულობები. ვებერი აღნიშნავდა, რომ პროტესტანტიზმი აძლიერებს შემოსავლის მიღებისაკენ მისწრაფებას, იგი მას აჰყავს საპატიო საქმიანობის რანგში, და ამავ დროს აყენებს მაღალზნობრივ მომჭირნეობას თვითშეზღუდვის გვერდით.

სხვა თეორიტიკოსები აღნიშნავენ ისეთ ფაქტორებს როგორცაა: ტექნოლოგიის დონე და კერძო საკუთრების ინსტიტუტის წარმოშობა. ეკონომიკის მოძღვრებათა ისტორიის სპეციალისტმა დუგლას ნორსმა თავის ფუძემდებლურ ნაშრომთა სერიაში აჩვენა, რომ საკუთრების კანონიერი გაფორმება და ლეგალიზაცია იყო ცენტრალური ფაქტორი, რომელთაც საშუალება მისცეს ევროპის ქვეყნებს მიეღწიათ ეკონომიკური ზრდის თანამედროვე დონისათვის. ნორსის აზრით:

„ეკონომიკის ეფექტური ორგანიზაცია - არის ეკონომიკური ზრდის გასაღები; მისმა წარმოშობამ დასავლეთ ევროპაში განაპირობა

აყვავება. ეფექტიან ორგანიზაციას თავისთავად მოსდევს ისეთი ინსტიტუციონალური და საკუთრების სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ქმნის ინდივიდუალური ეკონომიკური ძალისმევის სტიმულირებას, ეკონომიკურ აქტივობას სხვადასხვა სფეროში“.

მაქს ვებერისა და დუგლას ნორმის გამოკვლევებში საკმაოდ კარგად არის მოცემული ეკონომიკური ზრდის წინამძღვრების კონკრეტული მახასიათებლები, მაგრამ ისინი განიხილავენ პრობლემის ცალკეულ საკითხებს და მთლიანობაში ამომწურავ პასუხს მაინც ვერ იძლევიან თანამედროვე ეკონომიკური ზრდის წყაროებსა და ხასიათზე. საკითხის უკეთ გარკვევისათვის აუცილებელია გავერკვეთ გავეცნოთ ეკონომიკური დინამიკის ფაქტორებს, მათ კლასიფიკაციას.

ეკონომიკური დინამიკის ფაქტორები შედგება ექვსი ძირითადი ფაქტორებისგან, რომლებიც შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: 1)

ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; 2) შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; 3) ძირითადი კაპიტალის მოცულობა; 4) ტექნოლოგია; 5) მოთხოვნის ფაქტორები; 6) განაწილების ფაქტორები.

მოცემული ექვსი ძირითადი ფაქტორიდან, პირველი ოთხი დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის ფიზიკუ უნართან. ამიტომ ეს ფაქტორები თამამად შეიძლება გაერთიანდეს მიწოდების ფაქტორების სახელწოდებით. სწორედ ისინი ხდიან წარმოების ზრდას ფიზიკურად შესაძლებელს. მხოლოდ დიდი რაოდენობის უკეთესი რესურსების ხელმისაწვდომობა, ტექნიკური პოტენციალის ჩათვლით, იძლევა საშუალებას გადიდდეს რეალური პროდუქციის წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებენ, ურთიერთკავშირში არიან. მაგალითად, უმუშევრობა ჩვეულებრივ ანელებს ანელებს

კაპიტალის დაგროვების ტემპებს და ასევე დანახარჯების გადიდებას გამოკვლევებზე და პირიქით, სიახლეთა და კაპიტალდაბანდებათა დაბალი ტემპი შეიძლება უმუშევრობის ძირითადი მიზეზი გახდეს. რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორთა დიდი მნიშვნელობის, მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განხილვისას, თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევებში, მათავარი ყურადღება მიწოდების ფაქტორებს ეთმობა.

ეკონომიკურ ზრდაზე ბოლო დროს ჩატარებული გამოკვლევები გვამლევენ იმ ვარაუდის უფლებას, რომ კაპიტალის როლი, ჩართული ადამიანური კაპიტალით (ინვესტიციები შრომით ჩვევებზე), სინამდვილეში რამდენადმე უფრო დიდია, ვიდრე ამას აჩვენებს გაზომვა სოლოუს მიდგომის საფუძველზე. ამ ახალი მიდგომის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტიციები მისაგან დამოუკიდებლად დაბანდებათა მანქანა დანადგარებში თუ ადამიანებში ქმნიან დადებით გარე ეფექტს. ეს ნიშნავს იმას, რომ ინვესტიციები ზრდიან არამარტო ფირმების ან მუშების წარმოებით შესაძლებლობებს, რომელშიც ეს ინვესტიციები უშუალოდაა ჩადებული, არამედ ყველა მათთან დაკავშირებული ფირმებისა და მუშების საწარმოო შესაძლებლობებს. იმ შემთხვევაში, როცა მზგავსი დადებითი გარე ეფექტების ზომები საკმარისად დიდია, მათი შედეგები ეკონომიკური ზრდისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

სხვა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩატარებულ გამოკვლევებში ეკონომისტები, იმ ზოგიერთი პოლიტიკური ინსტიტუციონალური ფაქტორის შესასწავლად, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, იყენებს რაოდენობრივ მიდგომას. ინსტიტუციური სფერო არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობისა და ზრდის ტემპზე. პოლიტიკურად ღია საზოგადოება, რომლებშიც დაცულია

კანონის ნორმები და იცავენ კერძო საკუთრებასა და რესურსების საბაზრო განაწილებას, იზრდება 3-ჯერ უფრო სწრაფად და 2.5-ჯერ ეფექტიანად, ვიდრე საზოგადოება, სადაც თავისუფლება შეზღუდულია. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილმა ეკონომიკური ზრდის ახალმა თეორიებმა დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური პროგრესის რეალურ მამოძრავებელ ძალად გვევლინება ადამიანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადამიანის განვითარების თეორიას.

ახალი თეორიების შესაბამისად პროდუქტიულობა იზრდება არა „გარე“, არამედ „შიგა“ ფაქტორების დახმარებით, ადამიანის ქცევებთან დაკავშირებით, რომლებიც გვევლინებიან პერიოდული ძალებისა და ცოდნის მამოძრავებელ ძალად. ზოგიერთი ამ ახალი თეორიის ჩარჩოებში მტკიცდება, რომ ერთ-ერთ საჭირო ფაქტორად ადამიანური კაპიტალის მთლიანი ამაღლება გვევლინება. სხვა თეორიების თანახმად, პროდუქტიულობის ამაღლების ძირითად წყაროდ გვევლინება მეცნიერული გამოკვლევები და საკონტუქტორო-საგამომცემლო დამუშავება, თუმცა ისინი ასევე დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე. ტექნიკური პროგრესი, რომელიც ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორია, იძლევა ცხოვრების დონის ევოლუციის შესაძლებლობას. იგი ახანგძლივებს სიცოცხლეს, თანდათანობით ზღუდავს სოციალურ უთანასწორობას, ამცირებს სამუშაო დროის ხანგძლივობას, აუმჯობესებს ცხოვრების წესს. ტექნიკური პროგრესი იცავს შრომის დანაწილების შემდგომ გაღრმავებას და აქტიური მოსახლეობის მიგრაციას მომსახურების სფეროს მიმართულებით.

**დასკვნები:** ერთდროულად ტექნიკურ პროგრესს თან ახლავს მრავალი უარყოფითი მომენტი (ურბანიზაცია, პოლუცია, დამაბულობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სიმდიდრის უთანაბრო განაწილება ერებსა და სოციალურ ჯგუფებს

შორის.), რომელიც სულ უფრო იწვევს კაცობრიობის შეშფოთებას. მას ემატება ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და კულტურული კრიზისები. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ჰუმანიზებული. ეს კი დაკავშირებულია მეცნიერების და კეთილგონიერების შერწყმასთან.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მალაშხია გ., მეტაეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 1995
2. მოსიაშვილი ვ., ეკონომიკა: დინამიკა, ზრდა, განვითარება, გამომცემლობა „დანი“, თბილისი 2008
3. Харрод Р.Ф., К теории экономической динамики. Пер. с англ. М., Изд-во Иностранной Литературы, 1959
4. Хейне П.К., Экономический образ мышления. Пер. с англ. М., Изд-во «Новости», 1991
5. Эрхард Л., Благополучие для всех, М., Изд-во «Начала-пресс», 1991

# სისტემური ფინანსური რისკების თანამედროვე გაგებისათვის For modern understanding of Systemic Financial Risks

ეთერ მამაცაშვილი – დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Eter Mamatsashvili, PhD student  
Georgian Technical University

---

**რეზიუმე:** წარმოდგენილი სტატია, განიხილავს სისტემური რისკების პრობლემების გადაწყვეტის საკითხს გლობალურ ჭრილში, ფინანსურ ბაზარზე რეგულირების და კონტროლის გაუმჯობესების დახმარებით. კერძოდ, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების საერთაშორისო არასაბირჟო ბაზარზე. სტატიაში ჩამოთვლილია სისტემური რისკების გაჩენის ძირითადი ფაქტორები. სტატიაში მოყვანილია, სისტემური რისკების ძირითადი ფაქტორების მაგალითები რეალიზაციისა და საკანონმდებლო ზომების მაგალითები, რომლებიც მიღებულია აშშ და ევროკავშირში ასეთი რისკების შემცირებისთვის. აგრეთვე მოცემული სტატიის ტექსტში მითითებულია მსოფლიო ფინანსური რისკების პრობლემები, რომლებიც მარეგულირებლელმა ვერ გადაწყვიტეს დღემდე ბოლომდე და სისტემური რისკები, რომლებიც მოცემული პრობლემებიდან გამომდინარეობენ. სტატიის ავტორის მიერ მოცემული პრობლემების გადასაჭრელად მოცემულია, შესაძლო გადაწყვეტილებების მთელი რიგი და მითითებულია პირობები, რომელთა დაცვის გარეშე შეუძლებელია პრობლემების გადაჭრა.

სისტემურ რისკებს, საუკუნეების განმავლობაში თითქმის დღემდე უმკლავდებოდნენ ფინანსური ბაზრების თითქმის ყველა მონაწილე. გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობდა რისკების პრინციპულად ახალი სახეობების გაჩენას, რომელსაც ვერც ერთი ცალკე აღებული ორგანიზაცია ვერ უმკლავდებოდა ფინანსური ბაზრების სხვა მონაწილეების თანამოქმედების გარეშე, პირველ რიგში კი - სახელმწიფოსი. ასეთი რისკია - ფინანსური რისკი. რისკების მოცემული სახეობა შესაძლოა მივაკუთვნოთ, როგორც საკრედიტო, ასევე საბაზრო, ლიკვიდურ, საპროცენტო რისკებს და



ა.შ. რამდენადაც ის წარმოადგენს ფაქტორების ერთობლიობის დიდ გავლენას დიდ სივრცეში, როგორც კოტირების მოძრაობაზე, საპროცენტო ფსონის შეცვლაზე, ასევე უნარი მაშინვე გადაიხადოს კონტრაგენტების დიდმა რიცხვმა თავისი ვალდებულებები. არ შეიძლება ითქვას, რომ სისტემური რისკები საერთოდ არ არსებობდა, ისინი უფრო მეტად ატარებდნენ უფრო ლოკალურ ხასიათს და მათი რეალიზაციის შედეგები იყო უფრო მტკივნეული, ვიდრე დღეს.

**Abstract:** Presented article is considering the issue of resolving systemic risk problems in global context, with the help of financial markets regulation and control improvement process. In particular, in international non - exchange markets of the produced financial instruments. The article consists the list of key factors causing systemic risks. Also, it describes examples of basic systemic risk factors, realization and legislative measures, which are adopted in the US and the EU for reducing such risks. The text of this article refers to the world's financial risk issues, that have not been decided yet by regulators, and systemic risks that are the results of these problems. Also, there are listed a number of possible solutions and conditions, the protection of which are essential in order to solve the problems stated by the author of the article.

Almost all participants of the financial markets have been able to cope with Systemic Risks for centuries. The process of globalization contributed to the creation of particularly new types of risks, which could not be coped by only single organization without co-operation of other participants of the financial markets, first of all from the state. Such is the risk - financial risk. This type of risks can be attributed to risks such as credit, market, liquidity, interest risks and etc. Since it represents a major influence of the combination of factors in the large space, as on a quotation movement and changing the bet rate, also in the abilities of a large number of contractors of paying obligations immediately. It can not be said that systemic risks did not exist earlier at all, they had more local character and the results of their realization were more painful than today. The most important step for reducing Systemic risks can be making the strictest requirements for warranty provision in the deal of financial instruments of interest and currency derivatives, which will

allow us to solve the problems of liability of derivative financial instruments concentration, the credit risks and trading with risky kinds of instruments.

---

**საკვანძო სიტყვები:** სისტემური რისკი, ფინანსური რისკი, საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი, დეფოლტი, დერივატი, არასაბირჟო გარიგება

**Key Words:** systemic risk, financial risk, market risk, credit risk, derivative, non exchange deal

**შესავალი:** თანამედროვე პირობებში, გასული საუკუნის მეორე ნახევართან შედარებით ფინანსურ ბაზრებზე უპროცენდენტო მაჩვენებლებს აღწევს მოცულობით, ზრდის ტემპებით, აქტივებისა და ინტრუმენტების მრავალფეროვნებით და აგრეთვე, გავრცელებით და გავლენით როგორც გეოგრაფიულ ასევე დარგობრივ ასპექტებში. ფინანსების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში კაცობრიობამ ისწავლა ეფექტურად გამოიყენოს ისინი თავის ეკონომიკურ მიზნებში და იგონებენ ახალ და უფრო მეტად მოსახერხებელ ინსტრუმენტებს, ახალ ხერხებს რისკების საკონტროლოდ, ზოგჯერ კი თავის ასარიდებლად. მსოფლიო ფინანსური რისკების მკვეთრ ნახტომთან დაკავშირებით, ხალხი შეეჯახა სიტუაციას, როდესაც ძველი საკონტროლო მექანიზმები აღარ მუშაობენ. როდესაც ფინანსურმა სექტორმა მოიპოვა უპირატესობა მსოფლიო ეკონომიკის რეალურ სექტორზე, მან შეიძინა ახალი თვისებები და რისკები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა.

**ძირითადი ტექსტი:** ფინანსური რისკები შეიძლება დაეყოს სახეობებისა და ქვესახეობების რიგებად.

- საკრედიტო რისკი - ეს არის ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა (კრედიტის არ გადახდა, საქონლის არ მიწოდება, დაზღვევის გადაუხდელობა, ვალდებულებების არშესრულება ფასეული ქაღალდების მიმართ და ა.შ.).

- საბაზრო რისკი - ეს არის აქტივების ფასის არახელსაყრელი მოძრაობის რისკი (აქტივების ღირებულების დაწვევა, რომლებიც არის მფლობელობაში, ან აქტივების ღირებულების ამაღლება, რომლებიც უნდა შევიძინოთ).

- საპროცენტო რისკი - ეს არის საპროცენტო ფსონის მოძრაობის არახელსაყრელი რისკი. შესაძლოა საბაზრო რისკის ნაირსახეობას მივაწეროთ, რადგან საპროცენტო ფსონი შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი აქტივების ღირებულებად, როგორცაა სესხის საშუალებები.

- საოპერაციო რისკი - ეს არის ორგანიზაციის საოპერაციო პროცესების შეფერხების რისკი (მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ადამიანის ფაქტორის გამო, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო).

- ლიკვიდობის რისკი ეს არის რისკი როდესაც, საჭირო მომენტში ორგანიზაციის ნაღდი ფულის საშუალებები არ არის საკმარისი, რომ მოხდეს მიმდინარე ვალდებულების გადახდა, შეუძლებელია სწრაფად და მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე, გაყიდოს ქონება რათა გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულება<sup>7</sup>.

მოცემულ რისკებს, საუკუნეების განმავლობაში თითქმის დღემდე უმკლავდებოდნენ ფინანსური ბაზრების თითქმის ყველა მონაწილე. გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობდა რისკების პრინციპულად ახალი სახეობების გაჩენას, რომელსაც ვერც ერთი ცალკე აღებული ორგანიზაცია ვერ უმკლავდებოდა ფინანსური ბაზრების სხვა მონაწილეების თანამოქმედების გარეშე, პირველ რიგში კი - სახელმწიფოსი. ასეთი რისკია - ფინანსური რისკი. რისკების მოცემული სახეობა შესაძლოა მივაკუთვნოთ, როგორც საკრედიტო, ასევე საბაზრო, ლიკვიდურ, საპროცენტო რისკებს და ა.შ. რამდენადაც ის წარმოადგენს ფაქტორების ერთობლიობის დიდ

---

<sup>7</sup> <https://creativeconomy.ru/lib/36087> გადამოწმებულ იქნა: 14.03.2018.

გავლენას დიდ სივრცეში, როგორც კოტირების მოძრაობაზე, საპროცენტო ფსონის შეცვლაზე, ასევე უნარი მაშინვე გადაიხადოს კონტრაგენტების დიდმა რიცხვმა თავისი ვალდებულებები. არ შეიძლება ითქვას, რომ სისტემური რისკები საერთოდ არ არსებობდა, ისინი უფრო მეტად ატარებდნენ უფრო ლოკალურ ხასიათს და მათი რეალიზაციის შედეგები იყო უფრო მტკივნეული, ვიდრე დღეს. გლობალური სისტემური რისკების რეალიზების ნათელ მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს-კრიზისი „დოთკომოვი“ 1950 წელს, „აზიური კრიზისი“ - 1998, „იპოთეკური კრიზისი“ - აშშ-ში 2007 წელს, რომელიც გადაიზარდა გლობალურ ფინანსურ ეკონომიკურ კრიზისად, რომლის შედეგები იგრძნობა დღევანდლამდე.

*სისტემური რისკების კვლევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სწრაფ ფინანსურ ბაზრებს. მსოფლიო ფინანსური სისტემის ერთ-ერთი ელემენტი და ამავე დროს, რისკის სერიოზული ფაქტორი არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი. არსებობს დერივატივების ორი პრინციპულად სხვადასხვა სახეობად გაყოფა: საბირჟო და არასაბირჟო.*

მიუხედავად იმისა, რომ საბირჟო დერივატივები ვაჭრობენ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად დიდი მოცულობით, ვიდრე არასაბირჟო (საბირჟო დერივატივი ვაჭრობს ამერიკული დოლარის კვადრილიონზე მეტს და არასაბირჟო კი 600 ტრილიონ ამერიკულ დოლარს, ღია პოზიციების საერთო შემოსავლის სახით 2015 წლის ბოლოსთვის), მეორე მათგანი ფლობს მეტად დიდ რისკებს ვიდრე პირველი. ეს აიხსნება რამოდენიმე მიზეზით:<sup>8</sup>

- ბირჟაზე იყიდება სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების განსაზღვრული ჩამონათვალი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს რიგ

---

<sup>8</sup> <http://xn----7sbaj7auwnffhk.xn--p1ai/article/17043> გადამოწმებულ  
იქნა: 20.03.2018.

მოთხოვნებს მანამდე, სანამ იქნებიან დაშვებულები ემისიასა და ვაჭრობაზე.

- საბირჟო ბაზარი გამჭვირვალეა, რადგანაც ემიტენტები ვალდებულები არიან რომ საჯაროდ ხელმისაწვდომად განათავსონ დაწვრილებითი ინფორმაცია თავისი ბიზნესის შესახებ. ყველა ინსტრუმენტის სპეციფიკაცია აგრეთვე საჯაროვდება.

- ბირჟის ძირითადი ფუნქცია არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას მოხერხებული მოედანი სავაჭროდ, ბირჟა ასევე, გამოდის კონტრაგენტად და გარანტად ყოველი შეთანხმებისას. ეს არსებითად ამცირებს რისკებს, საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილისთვის, აგრეთვე ასტიმულირებს ბირჟას განახორციელოს საგულდაგულო კონტროლი შეთანხმება და კლიენტები რათა შეამციროს თავისი რისკები. ამის გარდა, ბირჟები თვითონ ანგარიშს აბარებენ სახელმწიფო რეგულატორებს რაც ხელს უწყობთ, ძლიერ კონტროლს ფინანსურ ბაზრებზე, იჭერს ვაჭრობის მონაწილეებს მაქინაციების ჩადენისგან, ამით მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს.

- განსაზღვრული შეთანხმებების ვალდებულებების დაფარვის უზრუნველყოფისთვის (მარჟინალური შეთანხმებები ან შეთანხმებები დაფარვით) საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს შეაქვთ ეგრედწოდებული მარჟა თავის ანგარიშზე ასეთი შეთანხმების დამთავრებამდე. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების კონტრაგენტის პოზიცია კარგავს თავის ღირებულებას. ამ შეთანხმებით, მარჟის ნაწილი ავტომატურად გადადის მეორე კონტრაგენტის ანგარიშზე (ვარიაციული მარჟა). თუ გარკვეული დროის შემდეგ პოზიცია აგრძელებს ღირებულების ვარდნას, მარჟის დონე იწევს ზღურბლის ნიშნამდე, ვაჭრობის მონაწილეს სთხოვენ წინ და წინ შეიტანოს მარჟა ბოლომდე. თუ მას არ შეუძლია ამ პირობის შესრულება, პოზიციას ძალდატანებით ხურავენ. საბირჟო ვაჭრობის მონაწილეები გადიან

კლირინგის პროცედურას, ანუ გამოთვლის ჩატარებას კონტრაგენტებს შორის სავაჭრო სესიის შედეგებით კლირინგის სახლის მონაწილეობით (კლირინგის ცენტრი/კლირინგის პალატა) რომელიც როგორც წესი შედის ბირჟის სტრუქტურაში და აგრეთვე არის კონტრაგენტი ყოველივე შეთანხმებისას (ცენტრალური კონტრაგენტი). კლირინგის პროცედურა გაძლევს უფლებას ოპერატიულ რეჟიმში განსაზღვრო კონტრაგენტის რეალური პოზიცია მის შეთანხმებაში, მარჟის დონის კორექტირება, რაც აბრკოლებს სიტუაციის წარმოქმნას, მაგალითად, როდესაც კონტრაგენტი აღმოაჩენს რომ მისმა პოზიციამ მოახდინა ისეთი ზარალი რომლის დაფარვასაც იგი ვერ შეძლებს. ასეთი სიტუაცია იქნება დამღუპველი, მისთვისაც და მეორე კონტრაგენტისთვისაც, რომელიც არ მიიღებს თავის თანხას.


უახლოეს პერიოდამდე, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების არასაბირჟო ბაზარს არ შეეძლო თავი მოეწონებინა არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ატრიბუტით.

**CDS.** ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა საკრედიტო-სადეფოლტო სვოპი (CDS - არასაბირჟო შეთანხმება, რომელიც აძლევს უფლებას ერთ პირს, რეგულარული გადახდის ნაცვლად (სქემა 1) მიიღოს სხვა პირისგან ზარალის ჯამი განსაზღვრული აქტივის გაბანკროტების ან დეფოლტის დადგომის შემთხვევაში), მაგალითად, ამერიკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ქვეშ, არც სადაზღვევო რეგულირები ქვეშ, არც დერივატივების რეგულირების ქვეშ წინა კრიზისულ პერიოდში. ეს უფლებას აძლევდა ემიტენტებს და მოცემული ინსტრუმენტების მფლობელებს არ გაითვალისწინონ თავის ბალანსზე.<sup>9</sup> ამის გარდა, CDS-ის შესაძენად არ იყო საჭირო აქტივის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა დეფოლტისგან

---

<sup>9</sup> <https://creativeconomy.ru/lib/36087> გადამოწმებულ იქნა: 14.03.2018.

დაცვას, ამასთან ერთად CDS-ის გამყიდველებს სჯეროდათ, რომ მათი ინსტრუმენტების შედეგად დეფოლტი არასოდეს არ დადგება, ამან დროთა განმავლობაში მოცემული ინსტრუმენტის ბაზარს მიანიჭა სპეკულაციური ხასიათი.



სქემა 1. სვოპის დაკრედიტების ზოგადი სქემა

ამავე მიზეზით, CDS-ის შეთანხმებებს ჰქონდათ ნაკლები დანახარჯი, ვიდრე შეთანხმებებს თვითონ საბაზრო აქტივთან. ამიტომ მოცემული ბაზარი აქტიურად ვითარდებოდა ჩასახვის მომენტიდან, ამიტომ CDS ხშირად გამოდიოდა საკრედიტო მოვლენების დაცვისთვის. ამასთან ერთად რადგან მოცემული ინსტრუმენტები უპირატესად ემიტირდებოდა, უდიდესი ამერიკული და ევროპული ფინანსური ორგანიზაციებით, ისეთი როგორებიცაა: Fannie Mae, Freddie Mack, JP Morgan, Goldman Sachs, Deutsche Bank და ა.შ. მოცემული ინსტრუმენტები ფლობდნენ მაქსიმალურ საკრედიტო რეიტინგს, თუნდაც ისინი იყვნენ უზრუნველყოფილი იფოთეკური კრედიტების არასაიმედო მსესხებლის გადახდებით. CDS არის ბრუნვადი ინსტრუმენტი ამიტომ ბევრი ხშირად გადაყიდდა ხოლმე მას, სპეკულაციური მიზნით მალევე ყიდვის შემდეგ. ხშირად ერთი და იგივე ინსტრუმენტით ეს ხდებოდა ზედიზედ ბევრჯერ, რის შედეგადაც იქმნებოდა კონტრაგენტის გრძელი ჯაჭვი, ზოგჯერ რთული იყო ინფორმაციის გაგება ყველა მის მიერ ვალდებულის შესახებ. მათ შორის პირველი ემიტენტის შესახებაც. რადგანაც საკრედიტო დაცვის გამყიდველებს არ უყენებდნენ არანაირ მოთხოვნებს არსებობდა საშიშროება, რომ აკრედიტო მოვლენის

(დეფოლტი, გაბანკროტება, საბაზო აქტივების რეიტინგის გაუარესება) შემთხვევაში დაცვის გამყიდველი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.<sup>10</sup>

ასეთ სიტუაციაში კონტრაგენტებს იმედი ჰქონდათ, რომ შეძლებდნენ მიემართათ დაცვის წინა გამყიდველებისთვის. როდესაც ის ვერ ასრულებდა თავის ვალდებულებებს მათ უწევდათ მიმართვა ჯაჭვურად, პირველ საწყის ემიტენტამდე. აშშ-ს 2007 წლის იპოთეკური კრიზისის დადგომამდე, CDS-ის საკრედიტო მოვლენები ხდებოდა იშვიათად, რაც ასტიმულირებდა ემისიის მოცულობის ზრდას და მოჰქონდა ემიტენტებისთვის და სპეკულანტებისთვის დიდი შემოსავალი. როდესაც აშშ-ში 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში, მოთხოვნამ და ფასებმა დაიწყო ვარდნა, ამან გამოიწვია გირავნობის უძრავ-მოდრავი ქონების არასარფიანად გაყიდვა ან საერთოდ რჩებოდა გასაყიდი. ამან გამოიწვია ფასიანი ქაღალდების იფოთეკის დეფოლტების სერია, რომლებმაც თავის მხრივ გამოიწვია დაცვის საკრედიტო მფლობელების მასიური მიმართვა მათ გამყიდველებთან. ასეთი მოთხოვნების რაოდენობის დაკმაყოფილება ერთდროულად CDS-ის უმსხვილეს ემიტენტებს არ შეეძლოთ. ამერიკის უმსხვილესი ორგანიზაციების კრახმა გამოიწვია გაბანკროტების ტალღა მთელ მსოფლიოში, რადგან მათ ჰყადათ უამრავი საერთაშორისო კონტრაგენტი, რომელიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ასე რომ, სისტემური რისკი რომელიც გამოწვეულია ფაქტორების დიდი ერთობლიობით, რომელთა უმცირესი ნაწილი აქ იყო ჩამოყალიბებული, რეალიზება მოახდინა 2008-2009 წწ მსოფლიო ფინანსური კრიზისის სახით.

---

<sup>10</sup> <http://xn----7sbbaj7auwnffhk.xn--p1ai/article/17043> გადამოწმებულ იქნა: 20.03.2018.



**დასკვნები:** გლობალიზაციის პროცესები ხელს უწყობდა რისკების ახალი სახეობის გამოჩენას, რომლებსაც ორგანიზაცია ვერ უმკლავდება სახელმწიფოს თანამოქმედების გარეშე;

- სისტემური რისკების კვლევისათვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ წარმოებული ფინანსური ინტრუმენტების ბაზარს;

- მიუხედავად იმისა, რომ საბირჟო დერივატივები ვაჭრობენ გაცილებით დიდი მოცულობით, ვიდრე არასაბირჟო, არასაბირჟო უფრო დიდი რისკის ქვეშ არის ვიდრე საბირჟო;

- რადგან საკრედიტო დაცვის გამყიდველებს არ ჰქონდათ წარდგენილი არანაირი მოთხოვნები, უმსხვილესიამერიკული ფინანსური ორგანიზაციების კრაზმა გამოიწვია გაბანკროტების ტალღა მთელ მსოფლიოში. ასე რომ, სისტემურმა რისკმა რეალიზება მოახდინა მსოფლიოში ფინანსური კრიზისის სახით 2008 2009 წლებში;

მიუხედავად სერიოზული მოქმედებებისა სახელმწიფოს მხრიდან „კრიზისის შედეგის დასარეგულირებლად, როგორც არასოდეს ისე მწვავედ დგას გლობალური სისტემური რისკების პროგნოზირება და დაქვეითება. მსოფლიო ფინანსური სისტემის პრობლემები ეწყობა გლობალურ სისტემურ რისკებში;

რეგულირების მოთხოვნები უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ აშშ-ზე და ევროკავშირზე არამედ ყველა სხვა ქვეყანაზე, რომელიც მონაწილეობას იღებს ფინანსური ინსტრუმენტებით საერთაშორისო ვაჭრობაში;

სისტემური რისკების შესამცირებლად უმთავრესი ნაბიჯი შეიძლება გახდეს, უმკაცრესი მოთხოვნების შეყვანა საგარანტიო უზრუნველყოფისთვის საპროცენტო და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარიგებებში, რაც მოგვცემს საშუალებას გადაწყვიტოთ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონცენტრაციის ვალდებულების პრობლემა, საკრედიტო რისკების

პრობლემას, სარისკო ინსტრუმენტების სახეობებით ვაჭრობის პრობლემას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა დ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ., – რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, გამომცემლობა „დანი“. თბილისი 2018.

2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. გამომცემლობა „დანი“. თბილისი 2017.

3. <http://xn---7sbbaj7auwnffhk.xn--plai/article/17043> გადამოწმებულ იქნა: 20.03.2018.

4. <https://creativeconomy.ru/lib/36087> გადამოწმებულ იქნა: 14.03.2018.

# ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში

## Tendencies of Development of the Export Potential of the Country in the Conditions of Globalizations

**ნინო სამჭკუაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)

**თამარ დუდაური** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის  
საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Nino Samchkuashvili** - Doctor of Economics,  
Associate Professor of Georgian National University

**Tamar Dudauri** - Academic Doctor of Economy, Associate  
Professor of Caucasus International University

---

**რეზიუმე:** ნაციონალური ეკონომიკის და მისი შემადგენელი ნაწილის საექსპორტო პოტენციალის შესწავლა მოითხოვს არა მხოლოდ დიდ ყურადღებას, არამედ გულდასმით და მრავალმხრივ კვლევას. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკისა და მისი საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობის რეალური შეფასება უნდა გახდეს ის პლატფორმა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს საექსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებას მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

**Abstract:** Studying of potential of national economy and its integral part of the export potential, is the problem requiring not only attention, but also studying. Assessment of a real condition of national economy and effectiveness of its foreign economic activity can become that the starting platform which will allow to formulate priorities of export policy of Georgia in the conditions of globalization of economies.

---

**საკვანძო სიტყვები:** ექსპორტი, საექსპორტო პოლიტიკა, საექსპორტო პოტენციალი, კონკურენტული უპირატესობები, გლობალიზაცია, იმპორტი, ევროპული ბაზარი.

**Key Words:** Export, export policy, export potential, competitive advantages, globalization, import, and European market.

**შესავალი:** გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის გარეშე, როგორცაა მსოფლიო ბაზარზე თავისი სეგმენტის დაკავება. ამრიგად, საექსპორტო პოტენციალი წარმოადგენს ნაციონალური ეკონომიკის ორგანულ ნაწილს და თავის თავში მოიცავს საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკურ, საკადრო და საინვესტიციო რესურსებს. ფაქტიურად იგი ასახავს ნაციონალური ეკონომიკის შესაძლებლობას აწარმოოს უცხოურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანი საქონელი და მომსახურება.


საექსპორტო პოტენციალს შეუძლია ეკონომიკას შესთავაზოს დამატებითი რესურსები, რომლებსაც მათი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში შეუძლიათ ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. მისი სტრატეგიული როლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნდა გახდეს საერთაშორისო შრომით დანაწილებაში ქვეყნის ეკონომიკის არსებული და პოტენციური კონკურენტული უპირატესობების აქტივიზაციის ინსტრუმენტი.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი უკავია ექსპორტის განვითარებაში, რაც მდგომარეობს ექსპორტიორების მხარდაჭერაში, მათთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნითა და ექსპორტის სტიმულირებით. იგი შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური მხარდაჭერით, ამასთან საქართველოს შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, რომელთაც ხშირად არ ყოფნით რესურსები, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

**ძირითადი ტექსტი:** მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მისი რეალური გაზრდა წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს, რომელიც ახასიათებს სამამულო მეურნეობის ყველა დარგისა და სფეროს კონკურენტუნარიანობას. არსებული ობიექტური რეალობის, რომლის დაძლევა აუცილებელია ექსპორტის დივერსიფიკაციის დაჩქარების გზით, წარმოადგენს ის, რომ დღესდღეობით ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს ნედლეული, ხოლო კონკრეტული პროდუქტის და ახალ ბაზარზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები - არადამაკმაყოფილებელია. ექსპორტის პოტენციალის ზრდის და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციისათვის აუცილებელია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ეს ხელს შეუწყობს ქართული საექსპორტო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებას, ასევე საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას. ამასთან, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ინფორმირებულობის ამაღლება შეთანხმებით გათვალისწინებულ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. [1]

საექსპორტო პოტენციალის ფორმირების ფაქტორების მრავალფეროვნების გამო ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს მისი შეფასების კრიტერიუმების შერჩევისადმი სხვადასხვა მიდგომა. მათგან საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრისას გამოიყენება რვა კრიტერიუმი: საწარმოო რესურსების მდგომარეობა, ლოგისტიკის ორგანიზაცია, ფინანსური რესურსების მდგომარეობა, საინფორმაციო რესურსების ხარისხი, საკადრო რესურსების მდგომარეობა, მარკეტინგის სისტემის ორგანიზაცია, პროდუქციის რეალიზაციაში


ექსპორტის ხვედრითი წილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიცირება. [2]



დიაგრამა 1. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2009-2017 წლებში (ათას დოლარებში). \*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

უნდა აღინიშნოს რომ შეფასების კრიტერიუმები შეიცავენ, როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივ მაჩვენებლებში ზოგჯერ ითვალისწინებენ ისეთ მაჩვენებლებს როგორებიცაა: საექსპორტო გაყიდვების რენტაბელობა, ექსპორტში ინოვაციური პროდუქციის წილი, წარმოების ეფექტიანობა და მწარმოებლის კონკურენტუნარიანობა. საექსპორტო პოტენციალის ფაქტორებისა და კრიტერიუმების ანალიზის

საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია და გაზრდა მოითხოვს არა მხოლოდ უნარის და სურვილის არსებობას, არამედ მსოფლიო ბაზარზე სამამულო პროდუქციის გასვლისა და ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას, სახელმწიფოსაგან ექსპორტის სტიმულირების პირობებში.




დიაგრამა 2. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2016 წელს (%-ში). \*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის დასახასიათებლად განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის ოპერაციების სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2009-2017 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 1). როგორც დიაგრამიდან ჩანს წინა

წელთან შედარებით 2017 წელს ექსპორტმა შეადგინა 2,728 მილიონი დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 615 მილიონით მეტია, ხოლო 2013 წელს ექსპორტმა შეადგინა 2.910 მილიონი დოლარი რაც 2017 წლის მაჩვენებელს აღემატება 182 მილიონით. ასევე წლიდან წლამდე იზრდება იმპორტიც, რომელიც 2017 წლის მონაცემებით თითქმის 2,9 ჯერ აღემატება ექსპორტს.

ამრიგად, 2017 წელს საქართველოს ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ როგორც დავრწმუნდით იმპორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტია. ამის გამო სავაჭრო სალდო მუდმივად უარყოფით ნიშნულზეა. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრია, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.




დიაგრამა 3. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2017 წელს (%-ში). \*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.



საექსპორტო პოტენციალის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილით საქართველოს ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში. 2017 წლის მონაცემებით საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 419,8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 15,4%), 2016 წელს ეს მაჩვენებელი ტოლი იყო 312,3 მლნ. აშშ დოლარის (14,7%).

2017 წელს მეორე ადგილზე ფეროშენადნობები - 306,9 მლნ. აშშ დოლარი (11,3%), იმ დროს როდესაც 2016 წელს მას ეკავა მესამე პოზიცია 169,3 მლნ. აშშ დოლარით (8%), ხოლო მეორე პოზიციაზე 2016 წელს იყო თხილი - 179,2 მლნ. აშშ დოლარით (8,4%), 2017 წელს კი თხილი გადავიდა მეცხრე პოზიციაზე - 82,5 მლნ. აშშ დოლარით (3%), რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში თხილის ნარგავებში სოკოვანი დაავადებების და აზიური ფაროსანას გავრცელებით. ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2016 და 2017 წლებში მოცემულია დიაგრამებზე. (იხ დიაგრამა 2 და 3). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2017 წელს, ექსპორტის მიხედვით, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულის ჯამურმა ექსპორტმა შეადგინ 1875795.4 ათასი აშშ დოლარი რაც მთლიანი ექსპორტის 68,7%-ია. (იხ. დიაგრამა 4)

როგორც დიაგრამიდან ჩანს პირველ ადგილი საქათველოს ექსპორტში მყარად უკავია რუსეთს მასზე მოდის საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 14,5%. მეორეზე აზერბაიჯანია 10%, მესამეზე კი თურქეთი 7,9%. როგორც დიაგრამიდან ნათლად ჩანს პირველ ათეულში ევროკავშირის ქვეყნებიდან მოხვდნენ მხოლოდ ბულგარეთი (6,5%) და რუმინეთი (2,7%), ხოლო ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში ექსპორტის მოცულობები საკმაოდ მოკრძალებულია. რასაც მრავალი, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური მიზეზი აქვს.



დიაგრამა 3. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეული 2017 წელს\* (მილ. აშშ დოლარი). \*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას დიდი პერსპექტივები გააჩნია ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს: ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი გააჩნია.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტორები:

1. დაბალი პროდუქციის ხარისხი - ქართული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. მეწარმეებს

არა აქვთ პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

2. შეფუთვა/დახარისხება-პროდუქტის ევროპაში გასატანად მეწარმეები თავად ახარისხებენ, აფასობენ და აწყობენ ყუთებში. არ არის საწარმოები, სადაც პროდუქტი შეიფუთება და ევროპაში გასატანად სასურველ სარეალიზაციო სახეს მიიღებს.
3. ლოგისტიკა - სერიოზული პრობლემები ექმნებათ მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომლებსაც ევროპაში გადაუმუშავებელი ხილი და ბოსტნეული გააქვთ და ჯერჯერობით, ვერც უცხოელი პარტნიორები მოიძიეს, ვინც იქ სასაწყობე მეურნეობის შექმნასა და მართვაში დაეხმარება.
4. მცირე წარმოების გამო ფერმერები საკუთარი პროდუქტით კონტეინერებს ვერ ავსებენ და სხვა კლიენტის ლოდინი დიდხანს უწევთ. საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება ფასს ძალიან აძვირებს, არასტაბილური მიმოსვლა შედარებით იაფ ბორანსაც გამოუყენებელს ხდის.
5. თანამედროვე ტექნოლოგიების არქონა და ცოდნის ნაკლებობა.
6. საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის არქონა.
7. მარკეტინგი - ქვეყნისა და აგროპროდუქციის ცნობადობა ჯერ კიდევ არ არის დიდი, ევროპაში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც არ იციან ქართული პროდუქტი, ამიტომ მარკეტინგული თვალსაზრისით მუდმივი მუშაობაა საჭირო.
8. ბევრ ფერმერს არ აქვს თანამედროვე უნარ-ჩვევები, რის შედეგადაა დაბალი მწარმოებლურობა და დანაკარგი მოსავლის აღების დროს.  
ექსპორტის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებიდან გამომდინარე, ქართული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის საკითხი კომპლექსურ მუშაობას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სექტორის მხრიდან. აქვე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა

და ადგილობრივი თვითმართველობების როლი ექსპორტის ხელშეწყობასა და სტიმულირებაში.

ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, არსებულ ტრადიციებზე, ამა თუ იმ დარგის განვითარების პრიორიტეტებზე. მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში საქონელგამტარი ქსელების შექმნის ინიციატორად გვევლინებიან თვით მეწარმეები. ამავდროულად ამ ქვეყნებში სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს ექსპორტიორების მხარდაჭერის ეროვნული საექსპორტო სტრატეგია. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს, როგორც სპეციალიზებული სავაჭრო კომპანიები შეზღუდული ფუნქციებით, ასევე ისეთები, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ მრავალ ფუნქციას. მაღალტექნოლოგიური და უნიკალური პროდუქციის ექსპორტზე, როგორც წესი, სპეციალიზდებიან მცირე და საშუალო კომპანიები, ხოლო ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე კი - მსხვილი კომპანიები.

ამ სფეროში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აშშ-ის, გერმანიის და იაპონიის გამოცდილება. აშშ-ში ფართედ არის გავრცელებული ექსპორტის მართვის კომპანიები და საექსპორტო სავაჭრო კომპანიები. ექსპორტის მართვის კომპანიების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე საწარმოს საექსპორტო საქმიანობის წარმოება და ხდება კომპანიის დროებითი საექსპორტო განყოფილება. ძირითადად ასეთი სახის ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან იმუშაონ მცირე და საშუალო კომპანიებთან, რათა ექსპორტის წარმოებისას განახორციელონ მათი ძალისხმევის აგრეგირება და დაეხმარონ შეზღუდული რესურსების პირობებში უცხოურ ბაზრებზე გასვლაში. ექსპორტის მართვის კომპანიებისაგან განსხვავებით საექსპორტო სავაჭრო კომპანიები ორიენტირებულნი არიან გარე ბაზრების მოთხოვნილებებზე, სწავლობენ მათ, ხოლო

შემდგომ ეტაპებზე მწარმოებლებს საჭირო პროდუქციის ექსპორტისათვის.[5]

აშშ-ში არსებობს, როგორც პატარა, ვიწრო სპეციალიზებული შუამავლები, ასევე მზა პროდუქციისა და ნედლეულის მსხვილი საერთაშორისო დისტრიბუტორები.

გერმანიაში არსებობს დიდი რაოდენობის მცირე სავაჭრო სახლები (მაგალითად, ჰამბურგში მათი რაოდენობა 3000 აღწევს). როგორც გამოცდილებამ აჩვენა ამ სახლების კონკურენტული უპირატესობა და მაღალი რეპუტაცია მეტწილად ეფუძნება სპეციალურ ცოდნას, ვიდრე ფინანსურ შესაძლებლობებს. გერმანიის სავაჭრო კომპანიები ძირითადად მუშაობენ მზა პროდუქციასთან.[6]

სავაჭრო სახლებს იაპონიაში საგარეო ვაჭრობაში თავიდანვე მინიჭებული ჰქონდათ კვაზი-მონოპოლია, ისინი სარგებლობენ საგადასახადო და ფინანსური შეღავათებით, აქვთ უფლება შექმნან მსხვილი კონგლომერატები, რაც აკრძალულია სხვა ქვეყნებში. სახელმწიფომ ფაქტობრივად აიძულა ადგილობრივი კომპანიები ექსპორტი განეხორციელებინათ სავაჭრო სახლების დახმარებით. იაპონიის სავაჭრო სახლები სპეციალიზირდებიან არა მხოლოდ ექსპორტზე არამედ იმპორტზეც. [6]

ისეთი მცირე ეკონომიკის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა მნიშვნელია სახელმწიფოს როლი ექსპორტის განვითარებაში, მის მიერ დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხოეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გზას უხსნის ქართველ იმპორტიორებს მსოფლიო ბაზარზე შესასვლელად. ერთ-ერთ ასეთ შეთანხმებას წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის

მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის უხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. [4] DCFTA-ის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება დღემდე ვერ ხდება, რასაც მოწმობს ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის პირველი ათი კატეგორია, რომელიც 2010 წლიდან არ შეცვლილა. ექსპორტი 2017 წელს გაიზარდა ისევ ტრადიციული საექსპორტო პროდუქტების ხარჯზე (დიაგრამა 2 და 3).

EBRD-ის დირექტორი კავკასიის რეგიონში, მოლდოვასა და ბელარუსში, ბრუნო ბალვანერა საუბრობს იმ გამოწვევებზე, რომლებიც DCFTA-ის შესაძლებლობების გამოყენებას აფერხებს:

“დიდ გამოწვევად ითვლება ქვეყნის სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და ახალი პროდუქტის შექმნა ევროპის ბაზარზე გასაყიდად. ასევე გამოწვევაა იპოვო გზა ამ ბაზარზე მოსახვედრად. ევროპული ბაზარი საკმაოდ დიდია და მასთან წვდომა მარტივი არ არის. საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარებაც. კომუნიკაციისთვის საჭიროა უკეთესი გზა: პორტები, აეროპორტები. მთავრობაც მუშაობს ამ გამოწვევებზე, ჩვენ ვმუშაობთ და შედეგიც გვაქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სახით”- აცხადებს ბრუნო ბალვანერა. [7]

ამ მიმართებით ქმედითი ნაბიჯები იდგმება. 2017 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია:

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ქვეყნის ექსპორტის განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით, გერმანული საკონსულტაციო კომპანია „GFA Consulting Group“-ის ექსპერტებთან ერთად, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების სიდრმისეულ შესწავლას იწყებს. აღნიშნულ საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“,

რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში ჩამოყალიბებულ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირებაში ეხმარება. [8]

საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, მას მოუწევს უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენი აზრით უნდა შემუშავდეს ექსპორტის განვითარების ხანგრძლივადიანი სახელმწიფო პროგრამა. აუცილებელია სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნას სავაჭრო სახლები, რომლებიც იმუშავებენ უცხოეთის ბაზრების შესწავლაზე და ინფორმაციას მიაწოდებენ მეწარმეებსა და ფერმერებს საექსპორტო პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტების შესახებ.

საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნისათვის, საშური საქმეა სოფლად კოოპერაციის ხელშეწყობა და მათი წახალისება საგადასახადო შეღავათებითა და ფინანსური მხარდაჭერით ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის.

ჩვენი აზრით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს განვითარების ფონდის შექმნა ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად, ასევე ამ ფონდით იქნება დაფინანსებული ის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას საექსპორტო აგროპროდუქციის წარმოების გაზრდისათვის აუცილებელია რეგიონებში თვითმმართველობებთან შეიქმნას

ეკონომიკური სააგენტოები, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის შეგროვებასა და ექსპორტის ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვას.

**დასკვნები:** ამრიგად, სახელმწიფოს როლი ექსპორტის განვითარებაში მდგომარეობს ექსპორტიორების მხარდაჭერაში ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნისა და ექსპორტის სტიმულირების გზით. ამასთან ყურადღება უნდა გამახვილეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი რესურსი.

თანამედროვე ეტაპზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის დაფარული საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და უკვე არსებული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა. რაც აამაღლებს საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. ყოველივე ეს კი დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რაც თავის მხრივ გაზრდის ცხოვრების დონეს ქვეყანაში და საქართველოს დაუმკვიდრებს თავის ადგილს დიდ ევროპულ ოჯახში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
2. Давыденко, Е. Внешнеторговая политика стран с малой экономикой в условиях либерализации международной торговой системы: автореферат / Е. Давыденко. – Мн.: БГУ, 2010.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.  
<http://www.geostat.ge/>



4. სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რა არის DCFTA. <http://www.moa.gov.ge/7/AboutDCFTA>
5. Export Trading Company. Investopedia. <https://www.investopedia.com/terms/e/export-trading-company-etc.asp>
6. Шкутко О. Н. Экспортный потенциал республики: направления совершенствования и оптимизации. Економічний вісник університету | Випуск № 21/1. <https://cyberleninka.ru/article/v/eksportnyy-potentsial-respubliki-belarus-napravleniya-sovershenstvovaniya-i-optimizatsii>
7. EBRD-ის მიერ დანახული ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შემაფერხებელი გარემოებები. <http://eugeorgia.info/ka/article/679/ebrd-is-mier-danaxuli-evrokavshirtan-tavisufali-vachrobis-shemaferxebeli-garemoebebi/>
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი სექტორების შესწავლა იწყება. 02.08.2017. <http://www.economy.ge/?page=news&nw=275>

# მაღალი ტექნოლოგიების როლი ეკონომიკის განვითარებაში

## The role of high technologies in the economy

**ნატო ჩიკვილაძე** - ეკონომიკის დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

**ნაზიბროლა იაკობაძე** - დოქტორანტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Nato Chikviladze** – PhD of Economics,  
Georgian Technical University

**Nazibrola Iakobadze** - PhD student,  
Georgian National University

---

**რეზიუმე:** ნაშრომში „მაღალი ტექნოლოგიების როლი ეკონომიკის განვითარებაში“ ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ტექნოლოგიებში არსებული გამოწვევები, პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

იმისათვის, რომ ვნახოთ ეკონომიკურ ზრდაში ტექნოლოგიის როლის მტკიცებულება, უბრალოდ უნდა მიმოვიხედოთ ირგვლივ, ცხოვრების დონის ზრდა ისეა დამოკიდებული ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომ ხშირად ერთმანეთისგან არ განირჩევა. თანამედროვე გამოგონებებმა შეცვალა საქონლის წარმოების მეთოდები, რომლებიც მუშაკებს საშუალებას აძლევს აწარმოონ უფრო მეტი ვიდრე რამდენიმე თაობის წინ ახერხებდნენ. ტექნოლოგიურმა პროგრესმა საშუალება მოგვცა მოვიხმაროთ ახალი საქონელი და მომსახურება.

ცოდნა ყველაზე მძლავრი ხერხია იმისათვის, რომ შევქმნათ ახალი და ვაწარმოთ უფრო მეტი. ტექნოლოგიის გაუმჯობესება ნიშნავს, აღნიშნული ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის მოცემული რაოდენობის შესაძლო გაერთიანებას იმაზე მეტი პროდუქციის საწარმოებლად, ვიდრე ადრე იყო შესაძლებელი.

მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით, ინოვაციების განვითარება მსოფლიო ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. იგი ვრცელდება არა მარტო ტექნოლოგიებზე, არამედ ყველა

ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე. გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. ინოვაციურმა პროგრესმა ბიძგი მისცა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლის გარეშე შეუძლებელია კრეატიული პოტენციალის განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტული პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოც დღეს ამ დილემის წინაშეა.

საქართველოს ინოვაციური სურათი არასახარბიელოა. მაღალეფექტიან ინოვაციურ განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, კონკრეტულად: ა) არ არის მოწესრიგებული საგანმანათლებლო სისტემა. ბ) წარმოების დანახარჯებში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლობა; გ) ქვეყნის ინტერესებიდან და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე არ არის შემუშავებული სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საინვესტიციო პოლიტიკა; დ) არ არის განსაზღვრული ინოვაციური პოლიტიკის მიმართულებები და პრიორიტეტები; ე) მოქმედი კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას, რასაც განაპირობებს კონკურენციული ბაზრის არ არსებობა. ვ) ნაკლები ყურადღება ექცევა ინფორმაციული პოტენციალის განვითარებას და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკას. საქართველო ტექნიკური ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეცნიერების, მეწარმეობის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნაყოფიერი თანამშრომლობით იქნება შესაძლებელი საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

ტექნოლოგია ცვლის მეთოდს, რომელიც შემდგომ გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის მეთოდზე. ტექნოლოგიური პროგრესი ქვეყანას აძლევს საშუალებას გასცდეს იმ ზღვარს, რომელიც დაწესებულია კლებადი უკუგების მიერ.

**Abstract:** This article about “Part of high-tech in development of economy” shows important problems in technological challenges ways of fixing them.

In order to see evidence of the role of technology in economic development, you just need to look around, the level of living is dependent on technological progress that often does not differ from each other. Modern inventions have replaced the methods of production of goods that was used a few generations ago. Technological progress has enabled us to use new goods and services.

Knowledge is the most powerful way to create new and make more. Improvement of technology means a possible combination of physical amount and human capital for creating more products than was previously available.

Based on scientific achievements, development of innovation is recognized as an important resource for growth of the world economy. It applies not only to technology but also for all institutional forms and structures. The development of the innovative economy in the global economy created the basis for the establishment of high economic order. Innovative progress has been driven by economic security, without which it is impossible to develop creative potential, protect the intellectual property and the efficient functioning of the economy.

There is no resistance in the world today between high-tech services and high-tech industry. The resistance is limited to outdated technologies and less competitive products, which are characteristic for weakly developed countries. Getting out of this situation requires a lot of effort. Today Georgia is in front of this dilemma.

The innovative picture of Georgia is unfavorable. Many factors prevent the innovation of innovative development, specifically: A) There is no organized system. (B) not considering expenses incurred on scientific research and test-constructs in production expenses; C) The state's scientific-technological and investment policy is not elaborated due to the perspective of the country's interests and development of the economy; D) No directions and priorities of innovative policies are defined; E) The current legislation does not regulate the innovative activities that result in

the absence of a competitive market. F) Less attention is paid to the development of information potential and protection of intellectual property.

Failure of these factors damages the economy of Georgia. According to Georgia's Technical Index, it is in the group of backward countries in the world. It should be noted that only the rapid economic development of Georgia can be made only through the fruitful cooperation of science, entrepreneurship and state.

---

**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგიური პროგრესი, ვენჩერული დაფინანსება, კლებადი უკუგება.

**Key Words:** Technological progress, Venture financing, Decreasing Return.

**შესავალი:** მეცნიერება და მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების გადამჭრელ ფაქტორს. ინოვაციური მიღწევების შედეგების კომერციალიზაციის ხარჯზე ფორმირდება ევროპული ქვეყნების ბიუჯეტის 70–დან 80 % –მდე, ამერიკის შერთებული შტატების (აშშ) ბიუჯეტის 90–% მდე, იაპონიის ბიუჯეტის 100%–მდე. ეკონომიკის სტრუქტურის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ტემპზე. ტექნოლოგია ცვლის მეთოდს, რომელიც შემდგომ გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის მეთოდზე. ტექნოლოგიური პროგრესი ქვეყანას აძლევს საშუალებას გასცდეს იმ ზღვარს, რომელიც დაწესებულია კლებადი უკუგების მიერ. ძირითადი ტექსტი: დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, მაღალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან წარმოების ეფექტიან მეთოდებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75–დან 100%–მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა . ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვის ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს.

მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით, ინოვაციების განვითარება მსოფლიო ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. იგი ვრცელდება არა მარტო ტექნოლოგიებზე, არამედ ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე.

თითქმის ყველა ქვეყანაში მეცნიერება განიხილება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ თავიანთი პოტენციალი მეცნიერულ კვლევებში და დაიკავონ ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა. მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდებისთვის ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად. ხალხის თვითშეგნება უმაღლეს დონეზეა სადაც პატივს სცემენ სხვის აზრს და იცავენ ადამიანთა უფლებებს. რაც ხელს უწყობს განვითარებაში და ჯანსაღად მოზროვნე ერის ჩამოყალიბებაში. ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩერული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩერული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოების პირველ ათეულში შედიან : სამხრეთ კორეა; შვედეთი; სინგაპური; გერმანია; შვეიცარია; იაპონია; ფინეთი; დენმარკი; საფრანგეთი; ისრაელი .

დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტიანი პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა

დამახასიათებელი. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოც დღეს ამ დილემის წინაშეა.

საქართველოს ინოვაციური სურათი არასახარბიელოა. მაღალეფექტიან ინოვაციურ განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, კონკრეტულად: ა) არ არის მოწესრიგებული საგანმანათლებლო სისტემა. ბ) წარმოების დანახარჯებში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტურ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლობა; გ) ქვეყნის ინტერესებიდან და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე არ არის შემუშავებული სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საინვესტიციო პოლიტიკა; დ) არ არის განსაზღვრული ინოვაციური პოლიტიკის მიმართულბები და პრიორიტეტები; ე) მოქმედი კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას, რასაც განაპირობებს კონკურენციული ბაზრის არ არსებობა. ვ) ნაკლები ყურადღება ექცევა ინფორმაციული პოტენციალის განვითარებას და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული პრიორიტეტებიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის, ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვის, სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ადამიანური კაპიტალის განვითარების, განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერების განვითარების, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკისა და სხვა აქტალურ საკითხებზე.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა სადაც ბიზნესი ახლად იდგამს ფეხს, მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება და ტექნოლოგიები მსხვილ და მაღალტექნოლოგიურ საწარმოთა ასამოქმედებლად. ამიტომ ასეთ პირობებში სახელმწიფო თუ შეძლებს კაპიტალტევად და ტექნოტევად საწარმოთა

ასამოქმედებლად საჭირო კაპიტალისა და ტექნოლოგიის მოზიდვას. დიდი ქარხნები, მაღალტექნოლოგიური დარგები საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი მოგება. უცხოელი ინვესტორები საქართველოში ინტერესდებიან იაფი მუშახელით და შიდა ბაზრის ათვისებით, რაც არ უწყობს ხელს მაღალტექნოლოგიურ, ექსპორტზე ორიენტირებულ დარგთა განვითარებას.

რესურსების ნაკლებობა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკა ვერ განვითარდება, იაპონია საქართველოზე ღარიბია რესურსების რაოდენობით მაგრამ იგი ერთ–ერთი მდიდარი ქვეყანაა, რადგან იაპონია მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოებით არის დაკავებული. რადგან საქართველოს ბუნებრივი რესურსების ფლობით განსაკუთრებული უპირატესობა არ გააჩნია, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ უპირატესობას მოიპოვებს მაღალკვალიფიციურ მუშახელში. ამჟამად საქართველო განიცდის მარალკვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას. მაღალკვალიფიციური მუშახელის მომზადებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკურ განათლებასა და მეცნიერებას.

მთავრობის დადგენილებით 2016 წლის ივნისიდან ქვეყანაში ამოქმედდა პროგრამა „სტარტაპ საქართველო“. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს. სტარტაპ ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ეკოსისტემის განვითარება მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე შესაბამისი განათლების ხელშეწყობასაც.

ამ პროგრესის მიუხედავად, საინოვაციო პოლიტიკა რიგი გამოწვევების წინაშე დგას. ახალი სტრატეგიის განხორციელების პრიორიტეტი საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს და სხვა სამთავრობო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება უნდა



იყოს. სტრატეგიამ ინოვაციური ეკოსისტემის სხვა ისეთ წამყვან ფაქტორებთან კოორდინაციაც უნდა უზრუნველყოს, როგორც არის განათლების სამინისტროსთან არსებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობაზეა პასუხისმგებელი. პოლიტიკის ახალი ჩარჩო სხვა ხარვეზების დაძლევისადაც უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის კვლევით ცენტრებსა და ერთი მხრივ, უნივერსიტეტებს და მეორე მხრივ, მსს-ს შორის სუსტი კავშირების გაძლიერებას, ასევე იმ სიძნელების დაძლევას, რომლებიც ინოვაციების და ტექნოლოგიების ტრანსფერის კომერციალიზაციის სფეროში არსებობს. და ბოლოს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ საგრანტო სქემის გაფართოების გარდა, მთავრობამ მიზნობრივი დახმარების სხვა ფორმებზეც (მაგ. საგადასახადო შეღავათები კვლევა-განვითარების აქტივობებისთვის) უნდა იფიქროს .

**დასკვნები:** საქართველოს, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში გადასვლის მიზნით სწორად უნდა გაანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს. თანამედროვე მსოფლიოში კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად უნდა განვითარდეს ინოვაციური ეკონომიკა. ამისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელიც მოითხოვს მაღალი ტექნოლოგიების ცოდნას. საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად კაპიტალტევადი დარგების სტიმულირებაა საჭირო, რომელიც ფლობს მაღალი შრომის ნაყოფიერების უზრუნველმყოფ ტექნოლოგიებს. მაღალი შრომის ნაყოფიერება ხელს შეუწყობს

შრომის ანაზღაურების ზრდას, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას გამოიწვევს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დევიდ ნ. უელი, ეკონომიკური ზრდა, მესამე გამოცემა, 2016. გვ 201–231.
2. გულიკო ქათამაძე, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016 წელი. 195–198 გვ.
3. როზეტა ასათანი, ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეგულირების სტრატეგია. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016 წელი. 21–24გვ.
4. აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნები 2016. [www.oecd.org](http://www.oecd.org) გადამოწმებულია 19.05.2018
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) გადამოწმებულია 19.05.2018
6. სტარტაპ საქართველო. [www.startap.gov.ge](http://www.startap.gov.ge) გადამოწმებულია 19.05.2018

# აუთსორსინგის განვითარების პერსპექტივები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზრარზე

## Prospects for the development of outsourcing in the information technology market

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  
**Davit Chakhvashvili** – PhD, Professor  
Georgian National University

---

**რეზიუმე:** ტერმინი აუთსორსინგი პირველად 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს. დღეს კი მისი მნიშვნელობა საქმიანი ცხოვრების თითქმის ყველა მონაწილესათვის ცნობილია. მოკლე ხანში IT-აუთსორსინგი ერთ-ერთი არაპოპულარული ტრენდიდან ახალგაზრდა და დინამიურ ბაზრად გადაიქცა.

აუთსორსინგს ყველაზე ხშირად, სწრაფად მზარდი კომპანიები მიმართავენ. ჩვეულებრივ მათ არ ყოფნით დრო (ზოგჯერ, სათანადო რესურსი, უმეტესად ადამიანური), რომ დასახული მიზნების მისაღწევად შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები შექმნან. ამიტომ, ყურადღებას პროფილურ მიმართულებაზე ამახვილებენ, ხოლო დამატებით ფუნქციებს აუთსორსინგს გადასცემენ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთსორსინგის ბაზრის განვითარების მამოძრავებელ ძალას თვით ამ ბაზრის არასტაბილურობა წარმოადგენს. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, ინფორმაციული სისტემებისა და ზოგადად, ბიზნესის უწყვეტი მუშაობის შეფერხების საშიშროებამ კრიტიკულ ფაზას მიაღწია. შედეგად, ბიზნესის ყველა სფეროში მათთან ბრძოლამ სისტემური ხასიათი მიიღო. კომპანიებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი გახდა ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის საკითხებიც, რის შედეგადაც გაიზარდა მონაცემთა

ბაზების, რეზერვებისა და დაზიანებული სისტემების აღდგენის სერვისის მოცულობა და მისდამი მოთხოვნების ხარისხი.

**Abstract:** The term outsourcing was first used in the early 21st century. Today, its importance is known for almost all business people. In short, IT outsourcing has become a young and dynamic market from one of the unpopular trends.

Outsourcing is the most frequent, rapidly growing companies. Usually they do not have time (sometimes, the appropriate resource, most human), to create appropriate organizational structures for achieving the goals. Therefore, the focus is on the profile of profiles and the additional functions are given to outsourcing.

The driving force of the IT-outsourcing market is the instability of this market itself. From the 90s of the last century, the threat of information systems and the continuity of business continuity in general has reached a critical phase. As a result, in all fields of business, they have a systemic character. The issues of information security and business continuity have become very important for companies, resulting in increased volume of data base, restoration and damaged systems recovery and quality of requirements.

---

**საკვანძო სიტყვები:** აუტსორსინგი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი, მენეჯმენტი, მომსახურება.

**Key Words:** Outsourcing, Information Technology Market, Management, Services.

**შესავალი:** IT-კომპანიისათვის მისი მომსახურების ხარისხი და იმიჯი ამ კომპანიის ბაზარზე ყოფნა-არყოფნას განაპირობებს. ამიტომ, ასეთი კომპანიები პერსონალს მკაცრად არჩევენ. ისინი თვლიან, რომ კლიენტებთან უშუალოდ მომუშავე ინჟინრებს უნდა ჰქონდეთ არა მარტო ტექნიკური ექსპერტიზის მაღალი დონე, არამედ იცავდნენ დისციპლინასა და კორპორატიული ეთიკის ნორმებს.

რა აიძულებს კომპანიას მიმართოს გარე პირების მომსახურებას? პირველ რიგში, ესაა ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა Wired-მა, რომელიც ეკონომიკაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენის შესახებ ხშირად ბეჭდავს სტატიებს, თავის „ახალი ეკონომიკის ენციკლოპედია“-ში აუთოსორსინგი განსაზღვრა, როგორც მართვის ახალი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს: „აკეთო არა ის, რაც ყველაზე უკეთ შეგიძლია, არამედ ის, რასაც ყველაზე სარფიანად იყიდი“.

პატარა კომპანიას აქვს ოცდაათი კომპიუტერისაგან შემდგარი ლოკალური ქსელი, რომელიც ადმინისტრირებას საჭიროებს. კომპანიის წინაშე დგას დილემა: აიყვანოს ადმინისტრატორი, თუ მიმართოს სპეციალიზებული კომპანიის მომსახურებას. საშტატო თანამშრომლის აყვანის შემთხვევაში, ხელფასის გარდა, საჭიროა სამუშაო ადგილის ორგანიზება, ანუ ოთახი, მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, ტელეფონი, ინტერნეტი და სხვ. უნდა გავითვალისწინოთ ახალი გადასახადები, შვებულება, სოციალური ბონუსი (სამედიცინო დაზღვევა და ა.შ.) და სხვ.

ნებისმიერი სპეციალისტი კვალიფიკაციის ამაღლებას პერიოდულად საჭიროებს. სხვა სიტყვებით, აუცილებელია სწავლის ღირებულების ანაზღაურება. მაგ., ინჟინერ-ინფორმატიკოსის კვალიფიკაციის ამაღლება Windows server-ის ერთი თაობიდან მეორეზე 700-800 აშშ დოლარი ღირს. ოპერაციული სისტემების გარდა, ფირმა სხვა სისტემურ და არასისტემურ პროგრამებსაც იყენებს, რომელთა გამართული მომსახურება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. შედეგად, ადმინისტრატორის შენახვა, რომლის ხელფასი რათქმაუნდა მაღალია, კომპანიას შეიძლება უფრო ძვირი დაუჯდეს. ექსპერტების აზრით, მსგავს ვითარებაში, გარე სპეციალისტების გამოყენებით, მნიშვნელოვანი თანხები დაიზოგება.

გარე სპეციალისტებს, უმეტესად, შეზღუდული ვადების გამო მიმართავენ. მაგ., კომპანია ბიზნესის ახალ მიმართულებას ხსნის.

ასეთი ცვლილებები საინფორმაციო სისტემის სერიოზულ და სწრაფ მოდიფიკაციას საჭიროებს. პროექტის სარეალიზაციო ვადების გადიდებით კომპანია ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას დაკარგავს. ამიტომ იგი აუტოსორსინგს იყენებს.

მსხვილ სამეწარმეო კომპანიას, საინფორმაციო სისტემის დაბალი მდგრადობისა და ცუდი მასშტაბურობის გამო, სასწრაფოდ დასჭირდა ე.წ. კლასტერული ანალიზი (Data clustering), რომელიც გულისხმობს მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებას, მონაცემთა ბაზის ინტელექტუალურ ანალიზს, სწრაფი ნავიგაციის სისტემის ჩამოყალიბებასა და სხვ. ნათელია, რომ საშუალო დონის IT პერსონალი აუცილებელი გამოცდილების არ არსებობის გამო, ვერ შეძლებს მოკლე ვადებში ასეთი ამოცანის დაძლევას. ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა - გარე IT კონსულტანტების მომსახურების გამოყენება.

IT კონსალტინგის მოზიდვის მესამე მიზეზი შეიძლება იყოს ბიზნეს პარტნიორების მოთხოვნა. ხშირად, დასავლური კომპანიები, რომელთაც აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-სა და საქართველოში საკუთარი მცირე წარმომადგენლობები აქვთ, პარტნიორებს ადგილობრივ IT-კომპანიებთან ხელშეკრულების დადებას ავალებენ.

კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სახელფასო ფონდების შეზღუდვა. იგი დამახასიათებელია სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, რომელთაც არა აქვთ საშუალება აიყვანონ კვალიფიციური შტატი და ამიტომ სხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობას ირჩევენ. განსაკუთრებული საკითხია ინფორმაციული უსაფრთხოება. გამართული და ეფექტური სისტემის შექმნა განსაკუთრებულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას მოითხოვს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამ საკითხებზე სპეციალიზებულ IT კომპანიებს გააჩნია.

ამრიგად, აუთსორსინგის მთავარი უპირატესობებია პასუხისმგებლობის გადანაწილება, რისკების შემცირება და პროექტების სწრაფი რეალიზება, ხოლო ნაკლოვანება - გარე კომპანიისათვის საკუთარი ინფორმაციის ნდობის რისკი. ამიტომ თითქმის ყველა მომხმარებელი აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლის არჩევასას მსხვილ, ბაზარზე მყარად დამკვიდრებულ და დადებითი იმიჯის მქონე კომპანიაზეა ორიენტირებული.

**ძირითადი ტექსტი:** პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების აუთსორსინგული მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2017 წელს 250 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამასთან, უპირობო ლიდერად ინდოეთი გვევლინება, რომელზეც მთელი შეკვეთების 44% მოდის. მთავრობის მიერ გატარებული IT სექტორის მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამის დახმარებით, ინდურმა კომპანიებმა გაყიდვების უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწიეს.

აუთსორსინგისა და საექსპორტო პროგრამირების სფეროში, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებელი ლიდერი კომპანიები მუდმივად მკაცრ კონკურენციულ გარემოში იმყოფებიან. თუმცა, უკვე ჩამოყალიბდა მსხვილი მოთამაშეების სტაბილური სამეული. ესენია:

**Tata Consultancy Services (TCS)** - კომპანა დაფუძნებულია 1968 წელს. მისი მთავარი ოფისი ინდოეთშია, ქალაქ მუმბაიში. მას 42 ქვეყანაში 148-ზე მეტი წარმომადგენლობა აქვს, სადაც 186914 თანამშრომელია დასაქმებული. კომპანიის წლიური ბრუნვა 7,8 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო წმინდა მოგება - 1,22 მლრდ აშშ დოლარი (2015 წლის მონაცემები. [www.tcs.com](http://www.tcs.com)).

**Wipro Technologies (WT)** - კომპანია დაფუძნებულია 1945 წელს. მთავარი ოფისი ინდოეთშია, ქალაქ ბანგალორში. მსოფლიოს 40 ქვეყნის 54 წარმომადგენლობაში 115879 ადამიანია დასაქმებული.

წლიური ბრუნვა 6,3 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო წმინდა მოგება - 1,02 მლრდ აშშ დოლარი (2015 წლის მონაცემები. [www.wipro.com](http://www.wipro.com)).

**Infosys Technologies** - კომპანია 1981 წელს დაფუძნდა. მთავარი ოფისი ინდოეთის ქალაქ ბანგალორშია. 33 ქვეყნის 50-მდე წარმომადგენლობაში 122674 თანამშრომელია დასაქმებული. წლიური ბრუნვა შეადგენს 4,59 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო წმინდა მოგება - 1,26 მლრდ აშშ დოლარს (2015 წლის მონაცემები. [www.infosys.com](http://www.infosys.com)) ჟურნალმა „Business Today“-იმ კომპანია Infosys 2015 წელს, ინდოეთის საუკეთესო დამსაქმებლის (Best Employer in India) წოდება მიანიჭა.

მეტად საინტერესოა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუტოსორსინგში ინდოეთის გამოცდილება, კერძოდ, თუ როგორ და რა რესურსებით მიაღწია ინდოეთმა ამ სფეროში ასეთ შტამბეჭდავ შედეგებს? პასუხი ასეთია:

- როგორც აღინიშნა, **სახელმწიფო მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამები** მთავარი მამოძრავებელი აღმოჩნდა, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-ან წლებში დაიწყო და დარგის განვითარებაზე იყო ორიენტირებული. IT სპეციალობით დაინტერესებული ახალგაზრდა ინდოელები სახელმწიფოსაგან მრავალ საგადასახადო შეღავათსა და ფინანსურ დახმარებას იღებდნენ. უკვე 1980-ან წლებში გაჩნდა პირველი შეკვეთები აშშ-ის უმსხვილესი კომპანიებიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმატებულად ვითარდებოდა არა მარტო მსხვილი კომპანიები, არამედ მცირე და საშუალო ფირმებიც, რომლებიც, ძირითადად, ქალაქ ბანგალორში იყვნენ კონცენტრირებული. ერთი დარგის კომპანების დიდი რაოდენობით ერთ რეგიონში თავმოყრამ, ინდუსტრიას საშუალება მისცა მოგება მიეღო ე.წ. „მასშტაბის ეფექტის“ გამოყენებით - წარმოების მოცულობა გაიზარდა, ერთეულ პროდუქტზე კი დახარჯები შემცირდა.



- **კვალიფიციური მუშახელის დიდი რესურსი.**

ყოველწლიურად ინდოეთის უმაღლესი სასწავლებლები დიდი რაოდენობით ინჟინერ-ინფორმატიკოსებს ამზადებენ, რომლებზეც ქვეყანაში მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ინდოეთში ხელფასის საშუალო დონე დაბალია და ასეთ სპეციალისტად ყოფნა საკმაოდ მომხიბვლელია. გასათვალისწინებელია ინგლისური ენის გავრცელების ფაქტორიც, რომელსაც ინდოეთში სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნია (ამასთან, იგია პროგრამირების ოფიციალური ენაც).

- **მნიშვნელოვანი ფაქტორია მსხვილი საერთაშორისო კომპანიების ინვესტიციები.** IT სექტორის მსოფლიო ლიდერების უმრავლესობამ ჯეროვნად შეაფასა ინდოეთის პოტენციალი და საკუთარი სამრეწველო სიმძლავრეების დიდი ნაწილი სწორედ ამ ქვეყანაში განათავსა. ამ ფაქტმა არსებითად განაპირობა უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა და, შესაბამისად, ინდოეთის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიის განვითარება.

მიუხედავად ამისა, ინდური IT-აუთსორსინგი მრავალ სიძნელეს განიცდის, კერძოდ:

- **მსხვილი პროექტების მართვის სფეროში კვალიფიციური კადრები არასაკმარისია.** ინდუსტრიის სწრაფი ზრდის პირობებში, ინდოეთის საგანმანათლებლო სისტემა IT-სპეციალისტებზე მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. პრობლემას ართულებს კადრების ქვეყნიდან გადინება - ბევრ კვალიფიციურ სპეციალისტს ურჩევნია განვითარებულ ქვეყანაში მუშაობა, სადაც შრომის ანაზღაურება გაცილებით უფრო მაღალია;

- **კომპიუტერული მეკობრეობა.** ინდოეთის მთავრობის მნიშვნელოვანი მცდელობების მიუხედავად, ქვეყანაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის 60% ლიცენზიური შეთანხმებების გარეშე სრულდება. ეს ფაქტი არა მხოლოდ შიდა ბაზრის განვითარებას აფერხებს, არამედ ქვეყნის იმიჯსაც აუარესებს.

➤ **ინდური კულტურის განსხვავება** ამერიკული და ევროპული კულტურებისაგან და ინდოეთის გეოგრაფიული მდებარეობა. ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაში ასეთი სხვაობა ყველაფერში შეინიშნება - ცხოვრების წესში, სამუშაოსთან მიდგომაში, დავალებების შესრულებაში და ა.შ. გლობალიზაციისა და დასავლეთის გავლენის მიუხედავად, კულტურული სხვაობა მაინც რჩება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა დარგების განვითარების დაბრკოლებად. გეოგრაფიული მდებარეობა ასევე ართულებს ინდური და დასავლური კომპანიების ურთიერთობას ქვეყნის ძირითადი კლიენტებისაგან დიდი დამოკიდებულებისა და დროის სარტყელის სხვაობის გამო.

პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება ჩინეთი. ამ ქვეყანამ აირჩია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინდური გზა: შემუშავდა IT-ინდუსტრიის სახელმწიფო დახმარების პროგრამები, შეიქმნა „განსაკუთრებული ზონები“ შეღავათიანი გადასახადებით და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთსა და ინდოეთს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც დადებითად აისახება IT-ინდუსტრიის ზრდის ტემპზე. ქვეყანას გააჩნია სამუშაო ძალის უდიდესი რესურსი, შრომის ანაზღაურება კი ინდურზე დაბალია. ეს კომპანიებს საშუალებას აძლევს ნაკლები დანახარჯების პირობებში ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა ჰქონდეთ.

ჩინეთის, როგორც IT-აუტსორსინგის პოტენციური ლიდერის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლია ენობრივი ბარიერი, რადგანაც ინგლისური ენა ნაკლებადაა გავრცელებული ქვეყანაში. ეს კი საგრძნობლად ართულებს ურთიერთობას დასავლურ დამკვეთთან და ზოგიერთი სამუშაოს შესრულებას. წარმატების გზაზე მეორე სერიოზული ბარიერია ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვის სუსტი სისტემა. რამდენიმე წლის

განმავლობაში კომპიუტერული მეკობრეობის რეიტინგში ჩინეთი ერთ-ერთი ლიდერია.

ბაზრის სხვა მონაწილეებიდან შეიძლება გამოიყოს, ასევე ფილიპინები, ისრაელი და ირლანდია. IT-აუტსორსინგის სექტორში ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ბრაზილიამ და მექსიკამ.

აუტსორსინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუტსორსინგი ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვანი სექტორია. მაგ., აშშ-ში აუტსორსინგმა ისეთი ფართო გავრცელება ჰპოვა, რომ დიდი ხანია გასცდა უბრალო სქემას „ბიზნესი-ბიზნესისთვის“. იგი გადაიქცა IT ბაზრის განუყოფელ ნაწილად და რიგითი ამერიკელის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. აუტსორსინგული კომპანიები, მომხმარებლებს ტრადიციული მომსახურების გარდა, მრავალ მომსახურებას სთავაზობენ: ანგარიშსწორებათა მომსახურება, მაგიდის შეკვეთა უახლოეს რესტორანში, ბიზნეს შეხვედრების ორგანიზაცია, სხვადასხვა დიეტათა შედგენა და მათი მიხედვით პროდუქტების შეკვეთა, ნებისმერი საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია და ა. შ.

მომსახურების უპირატესობებში პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, პროცესების ეფექტური ორგანიზაცია და ბიზნეს-პროცესებზე კონცენტრაციისთვის მეტი დროის გამოთავისუფლება სახელდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აუტსორსინგი ხარჯების ეკონომიას მხოლოდ საშუალო (ათას თანამშრომელზე ნაკლები) და მცირე ბიზნესის პირობებში იძლევა. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ IT კომპანიების ძირითად ხარჯებს მსხვილ კლიენტებთან დადებული კონტრაქტები ფარავს.

საქართველოში აუტსორსინგული მომსახურება დასავლურ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, თუმცა,

როგორც ამ სფეროში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, გასულ წლებთან შედარებით იგი ნელ-ნელა იზრდება და განვითარებასაც განიცდის. პროგრესს კი ხელი იმ ფაქტორმაც შეუწყო, რომ ბოლო პერიოდში ქართულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა გადაწყვეტილებების დანერგვა და ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, IT აუთსორსინგი ჩვენ ქვეყანაში მცირე მასშტაბისაა და შორსაა უცხოეთში დამკვედრებული პრაქტიკისგან, სადაც კომპანია IT სტრატეგიის დაგეგმვისას აქტიურად სარგებლობს შესაბამისი პროფილის კომპანიის კონსულტაციით. დღეისათვის განსაკუთრებული იმ ტიპის კონსალტინგზეა მოთხოვნა, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების ჭრილში ხორციელდება. ქართული კომპანიების უმეტესობის მიერ აუთსორსინგში მოიაზრება კონკრეტული წერტილოვანი თუ მამტაბური გადაწყვეტილებების აგება, ინტეგრაციასა და შერჩევაში დახმარება. აქ იგულისხმება ისეთი სახის შემოთავაზებები, როგორც კონსალტინგის, განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება, წარმადობის ზრდის მოდელირება, ოპტიმიზაციისა და ბიზნეს განგრძობადობის კუთხით ჩატარებული ღონიძიებები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოთქმული ჩვენი ქვეყნის IT ბაზარზე სრულყოფილად დანერგილი მაინც არ არის. IT აუთსორსინგი საქართველოში ერთ მიზანს ემსახურება: საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევა.

**დასკვნები:** ექსპერტთა უმრავლესობა, აუთსორსინგს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათ მიერ დაფინანსებული პროექტების პრიორიტეტად ასახელებს. ისინი აღნიშნავენ, რომ საერთოდ ამ მომსახურებას ისევე, როგორც მთლიანად IT კონსალტინგი საქართველოში მოქმედი კომპანიები სერიოზულობით არ ეკიდებიან, ახალი სისტემების დანერგვა კი ამ პროცესს თავისთავად მოითხოვს. თუმცა, არსებობს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელზე

დაყრდნობითაც უცხოურ კომპანიებს აქვთ ერთი აუცილებელი მოთხოვნა: როდესაც პროექტის ღირებულება აჭარბებს 100 ათას დოლარს, მაშინ წინასწარი კვლევის ჩატარება აუცილებელია. სხვათა შორის, ქართული სინამდვილის შემთხვევაში, ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, როდესაც პროექტზე 100 ათასი დაიხარჯა, თუმცა მას შედეგი არ მოჰყვა თუნდაც ერთი და ორი წლის მანძილზე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საერთოდ არ იყო ჩატარებული თუნდაც IT აუდიტი. ქართული კომპანიები, როგორც წესი, წინასწარ კვლევებს არ ითხოვენ. მათი აზრით, ეს წყალში გადაყრილი ფულია.

ფაქტია, რომ უცხოეთში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თუ კომპანიას სურს მისი ნებისმიერი IT პროექტი უფრო წარმატებული იყოს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ფართო მასშტაბებზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით კონსალტინგი აუცილებელია. საქართველოში ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მწვავედ დადგა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და მათი ორგანიზაციის ბიზნეს ამოცანებთან შესაბამისობის საკითხი, შეფასება იმისა, თუ როგორი ურთიერთკავშირია IT-ზე დახარჯული თანხების რაოდენობასა და მიღწეულ კონკრეტულ ბიზნეს შედეგებს შორის. ამ დამოკიდებულების დადგენა IT სერვისების სტანდარტიზაციისა და პროცესების ფორმალიზების გარეშე უკიდურესად ძნელი ამოცანაა. „ჩვენი კომპანიის მიერ შეთავაზებული კონსალტინგი და აუდიტის სერვისების მეშვეობით შეიძლება შეფასდეს ორგანიზაციაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა მისი ყველა კომპონენტის ჩათვლით (IT ინფრასტრუქტურა, მართვის საინფორმაციო სისტემა, IT-ს ადამიანური რესურსები და ა.შ). ორგანიზაციები კი ძირითადად დაინტერესებულნი არიან კონსულტაციებით IT ინფრასტრუქტურის შექმნა-ოპტიმიზაციისა და მართვის საინფორმაციო სისტემების დანერგვის მიმართულებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ IT ბაზრის ეს სეგმენტი ჩანასახოვან მდგომარეობაშია და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, როგორც სერვისების მიმწოდებელი, ისე მომხმარებელი კომპანიების მხრიდან. ქართული კომპანიების ნაწილი აცნობიერებს IT სერვისების სტანდარტიზაციის და მათი მართვის საერთაშორისო პრინციპების დანერგვის აუცილებლობას. ამას გარდა, კომპანიების გარკვეული ნაწილისათვის ამგვარ მოთხოვნებს უცხოელი ინვესტორებიც აყენებენ. IT ბაზრის ეს სეგმენტი განუხრელად იზრდება და მისი ზრდა მჭიდროდ დამოკიდებულია ბიზნესის სხვა სეგმენტების განვითარებაზე. დღეისათვის იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აცნობიერებენ, რომ IT არის ბიზნესის წარმართვის ერთ-ერთი იარაღი, მასშტაბური IT აუთსორსინგი მნიშვნელოვანი მომსახურებაა, საქართველოში კი ამ სერვისით ის კლიენტები ინტერესდებიან, რომლებიც ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში ლიდერია. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ დროთა განმავლობაში IT აუთსორსინგის საჭიროება კომპანიების წინაშე სულ უფრო მეტად დადგება და, შესაბამისად, ამ მომსახურებაზე მოთხოვნაც გაიზრდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯოლია გ., ჩახვაშვილი დ. – „ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი“, თბილისი, 2014
2. Crow G. B. - „International Outsourcing in the Information Technology Industry: Trends and Implications“. Illinois State University, Box 4090, 2011
3. Saini V., Yen D., Chou D. - „Information Technology Outsourcing: Issues and Future Analyses“. Department of Decision Sciences and MIS; Oxford, 2015
4. Buyer R. - „Global Telecom Network Outsourcing - Information Technology“. 2017

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზები,  
მაშტაბები და მისი დაძლევის გზები საქართველოში

The reasons for macroeconomic instability, scale and the ways of  
its overcoming in georgia

ინგა გიგაური - ეკონომიკის დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
Inga Gigauri – PhD of Economics, Assist. Professor,  
Georgian Technical University

**რეზიუმე:** სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა და საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი, იქნება ეს საგადასახადო თუ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო ღონისძიებების გატარება. საგადასახადო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების და ხარჯების ისეთი დონის უზრუნველყოფა, რათა შენარჩუნებულ იქნას ეკონომიკური ზრდა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანს კი წარმოადგენს ფულის მოძრაობის კონტროლი და სარგებლის განაკვეთის რეგულირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმოებასა და მოხმარებას შორის შესაბამისობა. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია, წარმოადგენს რეფორმების პერიოდში გარკვეული ხასიათის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გადახლართვის შედეგს. გარდამავალი პერიოდის ქვეყნების საწყისი პირობები ერთმანეთისგან მჭიდროდ განსხვავდებიან. ამგვარი ტიპის განსხვავება გამოხატულებას მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხში პოვებს. ეს კი გამოიხატება საგარეო ვაჭრობის და საბიუჯეტო დეფიციტის, ჭარბი ფულადი მასის, მცირე სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში დანაკარგებისა თუ სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია, არის წარსულში და რეფორმების პერიოდში

არსებული ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების ზემოქმედების, მათი ერთმანეთთან ურთიერთკავშირის შედეგი.

**Abstract:** Provision of economic stability - is one of the important function of state, ensuring normal functioning of the market economy. Providing stability of the economy from the state is possible with different methods, whether it be tax or efficient monetary credit measures. The purpose of the tax policy is to ensure the level of revenue and expenditures in order to sustain economic growth, while the goal of monetary policy is to control money traffic control and interest rate adjustment in order to ensure the consolidation between production and consumption. Macroeconomic stabilization, which has many forms of revealing, represents during the reforms implementation, interlacing the certain subjective and objective factors. The initial condition of being in transition period countries differ significantly from each other. This type of difference will be expressed in the quality of macroeconomic balance. That's it expressed in foreign trade and budget deficits, excess money supply, a small foreign exchange reserves, losses in the banking system and losses in state ownership enterprises. The macroeconomic instability that has a variety of expression forms, is the result of existing in past and during the reforms the objective and subjective factors, their inter-relationship.

---

**საკვანძო სიტყვები:** მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სოციალური დაცვის სისტემა; ფისკალური, მონეტარული პოლიტიკა;

**Key Words:** Macroeconomic stabilization, Antimonopoly Politics, Securities Market, Social security system, Fiscal and monetary policy;

**შესავალი:** გასათვალისწინებელია, რომ გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი თვისებურებამისი გლობალური დაუბალანსებლობაა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს საბიუჯეტო და საგარეო ვაჭრობის დეფიციტის, ფულის ჭარბი



მასის, საგარეო ვალის ტვირთის, შეზღუდული სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი დანაკარგებისა და სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში. მოკლევადიანი სტაბილიზაციური პოლიტიკის გატარებასთან ერთად აუცილებელია სტრუქტურული რეფორმების დაწყება საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე სისტემური რეფორმების განხორციელება საკუთრებითი ურთიერთობების, საწარმოთა, ფასებისა და შრომის ბაზრის მართვის სფეროში. სწორედ ეს განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სასტრუქტურულ-ინვესტიციური გარდაქმნათანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე. მისი გადაუდებელი გადაწყვეტით არის განსაზღვრული იმ ამოცანების სპეციფიკა, რომლებიც დგას მაკრო დონეზე სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების წინაშე. ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას ხელს უშლის ქვეყანაში შექმნილი არამყარი მაკროეკონომიკური სიტუაცია. გაუაზრებელი ნეო-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკის ზრდა არანაირად არ აისახა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაზე. შენარჩუნდა უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, რაც დღეისთვის ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

წარსულში არსებული რაოდენობრივი ზრდის ნაცვლად დღეისათვის ჩვენ გვჭირდება განვითარების ახალი, მომავალზე ორიენტირებული ზრდის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის საერთაშორისო განაწილებაში საქართველოს მონაწილეობას.

საზოგადოების თანდათანობით დამკვიდრებისაკენ, როდესაც განვი თარების ფაქტორად ცოდნა და ინფორმაცია გვევლინება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ერთროულად

უპასუხებს დღეს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და იმავდროულად მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს მომავალი თაობებისათვის სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური გარემოს შენარჩუნებას. უნდა მოხდეს მოსახლეობისათვის საყოველთაო კეთილდღეობის შექმნა, თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და განვითარების ღირსეული პირობებით უზრუნველყოფა. ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ორიენტირებია, ერთის მხრივ ადამიანი - მოქალაქე, რომლის კეთილდღეობა და სოციალური დაცულობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ, და მეორეს მხრივ საზოგადოება, რომელიც ამ ინდივიდების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს გააჩნია პასუხისმგებლობები საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განისაზღვროს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შერწყმის ოპტიმალური მოდელის შემუშავებით, რომელიც ძირითადი მაკროეკონომიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. ესენია: მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ინფლაციის დონის მინიმუმაცია, და სოციალური სამართლიანობა.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა საქართველოში მოქმედი ყველა

ეკონომიკური აქტორებისათვის, რაც ეფექტურ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის გატარებას დაეფუძნება. აღნიშნული გულისხმობს ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების აღმოფხვრას და იმავდროულად გონივრული რეგულაციების შემოღებას, რათა ბიზნესის გაფართოებას ხელვწინააღმდეგობა არ შეექმნას ბარიერები და არ მოხდეს სუსტი კონკურენტების ბაზრიდან გაქრობა. იმავდროულად

კონკურენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რათა არ მოხდეს ისეთი ინოვაციური ბიზნეს ინიციატივების ბლოკირება, რომელსაც მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია.

**ძირითადი ტექსტი:** საქართველომ, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიმართულებით. ქვეყნის წარმატებას ასახავს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წამყვანი პოზიციები, თუმცა კვლავ რჩება პრობლემური მიმართულებები, რომლებიც მოითხოვს მკვეთრი და ეფექტური რეფორმების გატარებას. ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას ხელს უშლის ქვეყანაში შექმნილი არამყარი მაკროეკონომიკური სიტუაცია. სამწუხაროდ დღევანდელ პირობებში ჩამოყალიბებული შეფარდებითი ეკონომიკური სტაბილურობა გამოწვეულია არა ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებებით, არამედ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული სასურველი კონიუნქტურით. ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია უდევციტი ბიუჯეტი, მაშინ შემოსავლების ხარჯზე შესაძლებელი იქნება არა მარტო მთავრობის ყველა ღონისძიების დაფინანსება, არამედ სახელმწიფო ვალის ნაწილის გადახდა და საჯარო ფინანსების სექტორის განვითარება. ნორმალურ ეკონომიკურ ზრდას ხელს უშლის ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურა, ზარალიანი საწარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობა და დაბალი შემოსავლიანობა. ეს ზღუდავს წარმოებაში ინვესტირების შესაძლებლობას. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ბევრ სხვა ინდიკატორთან ერთად მოხმარებაში იმპორტის წილითა და იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობით ხასიათდება.

## საგარეო ვაჭრობა


მლნ. აშშ დოლარი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017*	2018 იანვარი- აპრილი*
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10710.6	3783.2
საქონლის რეგისტრი რეზული ექსპორტი (FOB)	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2113.1	2728.0	961.4
საქონლის რეგისტრი რეზული იმპორტი (CIF)	5236.0	7072.3	8056.4	8022.7	8601.8	7300.3	7294.6	7982.7	2821.8
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3558.7	-4885.8	-5679.7	-5112.4	-5740.8	-5095.6	-5181.5	-5254.7	-1860.5
ექსპორტი რეექსპორტ ის გარეშე	1380.3	1693.0	1606.4	1812.1	1873.3	1637.4	1657.1	2063.0	705.6

ასევე გაზრდილია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, თუ 2016 წელს იყო 102.1, 2017 წელს გვექონდა 106.0, ანუ 3.9%-ით არის გაზრდილი ფასები სამომხმარებლო პროდუქციაზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესებულია. მართალია, მშპ-ის ზრდის ტემპები შეიმჩნევა ქვეყანაში. მაგ: 2016 წელს მშპ-მ 34028.5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს 11.7%-იანი ზრდა გვაქვს 38028.5 მლნ. ლარია, მაგრამ სამწუხაროდ ქვეყნის კეთილდღეობის დონეს არ დასტყობია აღნიშნული შედეგი. საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით სხვა საერთაშორისო რეიტინგებთან შედარებით დაბალ პოზიციებს იკავებს. ბიზნესის კეთების კუთხით ლიბერალური გარემო მედალის

როგორც ჩანს, 2017წელს–ექსპორტი შემცირებულია 65.8%-ით იმპორტთან შედარებით; 2018 წლის იანვარ–აპრილში–65.9%-ით

**საბაზონივლაცია**

*(პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)*



ერთი მხარეა, რომელშიც საქართველოს მართლაც ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს განვითარებულ ქვეყნებს შორის, მაგრამ რაც შეეხება დამატებით ეკონომიკურ ცვლადებს: კონკურენცია ბაზარზე, ფინანსური, სასაქონლო და შრომის ბაზრების ეფექტიანობა, განათლების ხარისხი, ინოვაცია და ტექნოლოგიური მზაობა კერძო სექტორში, საქართველო აღნიშნულ კრიტერიუმებში საკმაოდ მოიკოჭლებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით გამოკითხულთა მიერ საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებად დასახელებულია შემდეგი: არაკვალიფიციური სამუშაო ძალა (17.3%), ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (12%), ინფლაცია (11%), ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობა (9.7%), არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია (9.2%) პოლიტიკური არასტაბილურობა (6.5%), საგადასახადო განაკვეთები (3.8%), საგადასახადო რეგულაციები

(1.8%), კორუფცია (1.7%), ვენჩურულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა (8.1%).

„დიდი სამეულის” საკრედიტო რეიტინგების მიხედვით საქართველოს სუსტ მხარეებად მიჩნეულია: საგარეო მოწყვლადობის მაღალი მაჩვენებელი (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის ჩათვლით) და გეოპოლიტიკური რისკები რეგიონში. ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ინსტიტუციური სიძლიერე.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზები შეიძლება იყოს გამოწვეული, კერძოდ: ა) ჯგუფური ინტერესებით - ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მქონე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმადლესი ხელისუფლება რეფორმების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ახალი ეკონომიკური სისტემა მათ ძალაუფლებას შეასუსტებდა, ხოლო საწარმოებში დასაქმებულთა შიში იმაში გამოიხატებოდა, რომ საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად ისინი უმუშევარნი დარჩებოდნენ; ბ) საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არცოდნით - გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობაში, თავდაპირველად, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესახებ არასწორი წარმოდგენა არსებობდა. მათ ცუდად ან საერთოდ არ ესმოდათ რესურსების ეფექტურად განაწილების პრინციპი, რაც ცუდად აისახებოდა მათ განწყობაზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას წარმოიშვა დიდი უთანაბრობა შემოსავლებში, ხოლო ისეთ დარგებში, რომლებიც ტექნოლოგიურ სირთულეებს განიცდიან, ხდება მუშა-ხელის მასობრივი გათავისუფლება. ეკონომიკური რეფორმა როგორი წარმატებული არ უნდა იყოს, მას დანაკარგები, გარკვეული დოზით, ყოველთვის თან ახლავს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია უმუშევრობის მაღალი დონე, პირველადი მოთხოვნილების საქონლის

უკმარისობა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში, ცხოვრების დონის დაცემა. „შოკური თერაპიის“ განხორციელება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ეკონომიკა ნაკლებად არის დეფორმირებული და ხალხიც ამგვარი ხისტი რეფორმებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. [1, გვ.79]

ბიზნესის კეთების იინდექსის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (24 ქვეყანას შორის). საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ინვესტორთა უფლებების დაცვა; ბიზნესის დაწყება; ქონების რეგისტრაცია და კონტრაქტების აღსრულება.

**დასკვნები:** გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტია უფრო ლიბერალური ზომების გატარება ისეთი მიმართულებით, როგორებიცაა: კონკურენცია ბაზრებზე- როგორც მომწოდებლების, ასევე მომხმარებლების ხარისხობრივად მაღალი დონე, თავისუფალი ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტების გამყარება, ტექნოლოგიური, კვლევითი და საგანმანათლებლო სფეროების ხელშეწყობა. მრეწველობის უმეტეს სექტორებში და განსაკუთრებით სატრანსპორტო-მანქანათმშენებლობის უნდა განხორციელდეს საინვესტიციო კლიმატის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკანონმდებლო დონეზე სტიმულირება; გადაწყდეს ინვესტორ სახელმწიფოებთან ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ სახელშეკრულებო ბაზის გაფართოების საკითხი; შეიქმნეს საინვესტიციო ფონდები, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი (საფონდო ბირჟები) და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიანი ლიზინგის გამცემი ორგანიზაციები. საწარმოთა ფინანსური პრობლემების მოგვარების

მიზნით განხილულ იქნას ძველი საბიუჯეტო დავალიანებების რესტრუქტურისაციის პირობების ოპტიმიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხები; – შეიქმნას ბიზნეს-რისკების დაზღვევის და გადაზღვევის სისტემა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა სახის რისკ-ფაქტორის გამორიცხვას მრეწველობაში.

საქართველო მნიშვნელოვან ზიანს განიცდის პოლიტიკური არასტაბილურობის გამო; პრობლემად რჩება ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, რაც ზრდის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის რისკებს; კვლავ მაღალი რჩება სიღარიბისა და უმუშევრობის დონე, მაღალია მოსახლეობის ეკონომიკური უთანაბრობის დონე; დაბალია განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსება (მშპ-ს < 0.2%); მაღალი რჩება ემიგრაციის („ტვინების გადინების“) დონეც;

ქართული კომპანიების 90% ფინანსდება მესაკუთრეების მიერ; ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად სწორედ ფინანსების ხელმიუწვდომლობა სახელდება; პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირეც.

ვალების უკონტროლო/უნებური დაგროვება საქართველოსნაირი ქვეყნისათვის, რომელიც ძირითადად უცხოურ ვალებზეა დამოკიდებული, იქნება ეკონომიკური კატასტროფის გამომწვევი. უცხოური ვალების გადახდის პრობლემები გამოიწვევს ეკონომიკური სუვერენიტეტის შეზღუდვას მევალებების მიერ ნაკარნახევი პოლიტიკების გატარების აუცილებლობის გამო (დღევანდელი საბერძნეთის პრობლემა). ვალების პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ვალების ზედა ზღვარი შეზღუდულია კაპიტალისტური ეკონომიკა ციკლურია (რეცესიებისა და ზრდის პერიოდების მონაცვლეობა). ამიტომ, მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა უნდა გაატაროს ანტიციკლური პოლიტიკები



(ვისკალური და მონეტარული), რაც შეამცირებს რეცესიების უარყოფით სოციალურ შედეგებს და დააჩქარებს ზრდის დაბრუნებას. ჩვენ შემთხვევაში ვლავარაკობთ ვისკალურ/საბიუჯეტო პოლიტიკაზე. ანტიციკლური საბიუჯეტო/ვისკალური პოლიტიკა ნიშნავს, რომ ეკონომიკის რეცესიის დროს, როდესაც წარმოების/ეკონომიკის პროდუქტზე მოთხოვნა იკლებს და კერძო სექტორში მოხმარება და ინვესტიციები მცირდება ბიუჯეტმა უნდა იტვირთოს ხსენებული მოთხოვნის დანაკლისის კომპენსაცია. კერძოდ, მთავრობამ უნდა გაზარდოს ხარჯები (მოხმარება და ინვესტიციები), რისთვისაც უნდა აიღოს ვალები (და არ გაზარდოს გადასახადები, რომლებიც შეიძლება შეამციროს კიდეც), რაც, თავის მხრივ გაზრდის ბიუჯეტის დეფიციტს. რათა ეს შესაძლებელი გახდეს, ეკონომიკის ზრდის პერიოდში მთავრობა უნდა ზრდიდეს გადასახადებს, ამცირებდეს ბიუჯეტის დეფიციტს და ისტუმრებდეს ვალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ვალების დაგროვება. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალ პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გულისხმობს: ისეთი გადაუდებელი და მიმდინარე პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას, როგორცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ჭარბი ფულადი მასა და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგარეო ვალი და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვები; სოციალური დაცვის სისტემის შექმნასა და სოციალური დაცვის უფლებების უზრუნველყოფა; გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ვისკალური პოლიტიკის ფორმირება, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი, ამისათვის საჭირო სპეციალური ინსტიტუტებისა და

ინსტრუმენტების შექმნა, აგრეთვე ეკონომიკაში მკაცრი ფინანსური რეჟიმის შემოღება..

ერთდროულად უნდა იქნეს გატარებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა და ფასების რეფორმა. ვინაიდან ამ უკანასკნელის არსებობისთვის საჭირო არის კონკურენტული ბაზარი, რომლის საყრდენს წარმოადგენს კერძო საკუთრება, პირველი რიგის საჭიროებას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფომ განახორციელოს მის ხელთ არსებული საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია. ქვეყანაში წარმოიქმნება აუცილებლობა შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რათა დავიცვათ იმ ადამიანების ცხოვრების დონე, ვისზედაც არასასურველ გავლენას მოახდენს ეკონომიკური რეფორმა. რეფორმის ყველაზე მტკივნეულ შედეგად აღიქმება უმუშევრობა. სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა ფასების ზრდის გავლენისაგან. საფინანსო პოლიტიკის სწორი წარმართვა და ფორმულირება ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, უმუშევრობის შემცირებასა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე. აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში, აუცილებელია საფინანსო სისტემისადმი ახლებური მიდგომა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება, ფასების ლიბერალიზაციის და მართვის საკითხების შესწავლა. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში. თავის მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების ძირითადი მიმართულებები დიდადაა დამოკიდებული მთლიანი შიდა პროდუქტის სამომავლო ფორმირებაზე

სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ვალის საკითხებს. ამისათვის აუცილებელია, შეიქმნას მართვის როგორც საგარეო, ისე შიდა

დავალიანების ეფექტიანი მექანიზმები. საგარეო დავალიანების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს სარგებლობის მიღწევა საგარეო დავალიანებისაგან, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნება. ეს კი შესაძლებელია იმით, რომ უნდა გაანალიზდეს ურთიერთკავშირი ინვესტიციებს, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო სესხებს შორის, ხოლო შიგა ვალის მომსახურების და მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სხვადასხვა სახის საკანომდებლო თუ მეთოდური ხასიათის დოკუმენტების შემუშავება. საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბახტაძე ლელა - გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები, თბილისი 2009
2. სამთავრობო პროგრამა 2016-2020 - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, თბილისი 2016
3. [www.heritage.org/index](http://www.heritage.org/index) - გადამოწმებულია 22.05.2018
4. <http://www.geostat.ge> - გადამოწმებულია 22..05.2018

# ბანკები, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები

## The Banks as the Participants of the Securities Market

**მედია ჭელიძე** - ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ვალერი მოსიაშვილი** - ეკონომიკის მაგისტრი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Medea Chelidze** – PhD of Economics, Assoc. Professor,

Georgian Technical University

**Valeri Mosiashvili** - PhD of Economics. Professor

Georgian National University

---

**რეზიუმე:** საქართველოს კომერციულმა ბანკებმა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობით შეძლეს მეტი კლიენტის მოზიდვა, შემოსავლების გაზრდა და კლიენტებისათვის ახალი მომსახურების შეთავაზება.

ბანკი მუდმივად ცდილობს შექმნას რაც შეიძლება მაღალლიკვიდური და მომგებიანი საინვესტიციო პორტფელი, რისთვისაც აუცილებელია ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობის პირობები - მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და ხელსაყრელი გარემო, რაც ბანკს ხელს შეუწყობს მოახდინოს ფასიანი ქაღალდების პორტფელის დივერსიფიკაცია.

კვლევის მიზანია განვიხილოთ ბანკების, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მონაწილეების მნიშვნელობა, დავახასიათოთ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკების საქმიანობის სახეობები, აღვწეროთ კომერციული ბანკების საინვესტიციო პორტფელის ფორმირების გზები.

სტატიაში უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, განხილულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული სიტუაცია, წარმოჩენილია ის პრობლემები, რის წინაშეც დგანან კომერციული ბანკები ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის პროცესში და ჩამოყალიბებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პერსპექტივები.

არსებული მდგომარეობის, პრობლემებისა და პერსპექტივების უკეთ გაანალიზების მიზნით მუშაობის პროცესში განხილულ იქნა ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ყოველწლიური ანგარიშები, ასევე სხვა სტატისტიკური მონაცემები.

**Abstract:** The Georgian banks as participants in the securities market were able to attract more customers, increase revenues and offer new services to existing customers.

The bank is constantly trying to create a more highly liquid and profitable investment portfolio. It is necessary to have conditions for effective investment activity - the presence of a regulatory legal framework, a satisfactory level of development of the securities market and an enabling environment that will facilitate the diversification of the bank's securities portfolio.

The aim of the study is to consider the importance of banks as the main participants in the securities market, a description of the types of banks' activities in the securities market, a description of the ways to form an investment portfolio of commercial banks.

Based on the literature sources and factual materials, the article discusses the situation in the securities market in Georgia, reveals the real problems faced by Georgia's commercial banks in the process of trading in securities, were formulated the development prospects of the securities market.

During the working process were used the annual reports of the National Bank of Georgia and other statistical data to better analyze the current situation, the mentioned problems and prospects.

---

**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქაღალდების ბაზარი, კომერციული ბანკი, საინვესტიციო საქმიანობა, სადეპოზიტო სერტიფიკატი,

**Key Words:** Securities Market, Commercial bank, Investment Activities, Certificate of Deposit, Treasury Bills, Treasury Bonds

**შესავალი:** ბანკების საქმიანობის გაფართოებამ და დივერსიფიკაციამ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხელი შეუწყო მსხვილი საფინანსო-საბანკო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას,

რომელთა სათავეში, როგორც წესი, კომერციული ბანკები დგანან. მნიშვნელოვანია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საბანკო კრედიტის ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს, ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას და ურთიერთქმედებს მასთან.

ფინანსური ბაზრები მუდმივად განვითარებისა და ახალი ინსტრუმენტების შექმნის პროცესშია. კომერციული ბანკები ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და მოახდინონ თავიანთი საქმიანობის გაფართოება, თანამედროვე პირობებთან ადაპტირება. სწორედ ფინანსური ბაზარი აძლევს მათ საშუალებას მართონ ლიკვიდობა, გაზარდონ შემოსავალი და აითვისონ ახალი შესაძლებლობები.

**ძირითადი ტექსტი:** კომერციული ბანკების მონაწილეობის ხარისხი და მათი როლი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბანკების საქმიანობა საფონდო ბაზრებზე მკაცრად რეგულირდება კანონმდებლობით.

ეფექტიანი საინვესტიციო პორტფელი ბანკისთვის შემოსავლების წყაროა და, ამასთანავე, ხელს უწყობს ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდას. აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შედარებით ახალ სფეროს წარმოადგენს. ამიტომ, მოცემული კვლევის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

საინვესტიციო საქმიანობა უკავშირდება რისკებს, რაც გულისხმობს სხვადასხვა დანაკარგების მიღებას. შესაბამისად, კომერციული ბანკები ცდილობენ აღნიშნული რისკებისგან თავი დაიცივან და შექმნან შესაძლო დანაკარგების რეზერვები. აგრეთვე ბანკების მიერ ხდება საინვესტიციო პოლიტიკის დამტკიცება, რაც მოიცავს საინვესტიციო საქმიანობის ძირითად მიზნებს,

საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურას, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესს და სხვა.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ საწყის ეტაპზეა, სათანადო დონეზე არ ვითარდება ბირჟაზე ვაჭრობის ინსტიტუტი, მცირე კომპანიები კარგავენ პოტენციურ დაფინანსებას მოსახლეობის მხრიდან, ხოლო მცირე ინვესტორები მოგების მიღების დამატებით შესაძლებლობას. სახსრების მოზიდვის ძირითად საშუალებად რჩება კრედიტი, რაც თავისთავად ზრდის ხარჯებს და აფერხებს კომპანიების ეფექტურ განვითარებას. ამასთან ერთად, არ ვითარდება საინვესტიციო საქმიანობა, ინსტიტუციონალური ინვესტორების ინსტიტუტი, თავისუფალი ფულადი სახსრების აქციებში დაბანდების პრაქტიკა. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით შემოსავლის მიღებაც საზოგადოებისათვის მიუწვდომელი რჩება. საკითხი მხარდაჭერას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საფონდო ბაზრის მონაწილეების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის შექმნილია ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და სხვა. ფასიანი ქაღალდების მონაწილეები არიან ინვესტორები, ემიტენტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები და აუდიტორები. რეგულირებადი მონაწილეები, ანუ სპეციალური ლიცენზიის მქონე მონაწილეები არიან საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.

2007 წლის 11 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა ფასიანი ქაღალდების კომისიის ლიკვიდაცია, რომელიც აწესრიგებდა და ზედამხედველობდა ფასიანი ქაღალდების ბაზარს და აღნიშნული ფუნქციები გადაეცა ეროვნულ ბანკს.

კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, კერძოდ თავი 3, მუხლი 10, რომლის მიხედვით, საქართველოში კომერციული ბანკი უფლებამოსილია: ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება თვით ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას; მიიღოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად; შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ორი სახისაა:

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას იგი აწარმოებს ოპერაციებს ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი



ქალაქებით და ასევე მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქებით პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით;

- ახორციელებს ფასიანი ქალაქების ბაზრის ზედამხედველობას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი გვევლინება ფასიანი ქალაქების ბაზრის ერთ-ერთ მონაწილედ და მის ზედამხედველად. რეგულირებისა და ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებისას ეროვნული ბანკი: გასცემს და აუქმებს ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზიებს; ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს უდგენს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს; ახორციელებს ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგს, შემოწმებას, გამოკვლევებს და აწესებს სანქციებსა და ჯარიმებს დარღვევისას; ამტკიცებს ემიტენტების ემისიის პროსპექტებს; არეგულირებს ემიტენტების მიერ ფასიანი ქალაქების გამოშვებისას და მიმოქცევისას წარმოშობილ ურთიერთობებს; იღებს, ცვლის და აუქმებს ფასიანი ქალაქების რეგულირებასთან დაკავშირებულ წესებს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზრის წინსვლისა და განვითარებისთვის მრავალი ფაქტორის ამოქმედება იქნება საჭირო. პირველ რიგში, აუცილებელია ინვესტორების დაინტერესება საფონდო ბირჟის განვითარების საკითხით, რადგან საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარებაა.

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ შეიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია. სტრატეგიის შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება გირაოს ბაზრის გაფართოების შესახებ და 2016 წლის

1 ივლისიდან მასში ლარით გამოშვებული კორპორატიული სასესხო ფასიანი ქაღალდები ჩართო. კორპორატიული ობლიგაციების გირაოდ გამოყენების შესაძლებლობა ასეთი ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობის გარანტიას ქმნის და კაპიტალის განვითარებას შეუწყობს ხელს.

2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან და სახაზინო ობლიგაციებთან ერთად კომერციული ბანკებიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა. სადეპოზიტო სერტიფიკატების ვადიანობა 3- და 6 თვე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდებისა კი 1-, 2-, 5- და 10 წელი იყო. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა ხელი შეუწყო შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ. შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით, სპრედები გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის წლის განმავლობაში მცირდებოდა, რაც ბაზრის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებდა. 2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკმა გამოუშვა 3- და 6-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოყენა, როგორც ლიკვიდობის მართვის მიმზიდველი და ეფექტური მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2017 წლის განმავლობაში სადეპოზიტო სერტიფიკატების 13 აუქციონი ჩატარდა (თითოეულ მათგანზე 20-20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა). აღნიშნულ აუქციონებზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 874.5 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო

ფასით 255.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთმა 7.06 პროცენტი შეადგინა.

2017 წლის ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ორი აუქციონი ჩატარდა (თითოეულ მათგანზე 20-20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა). აღნიშნულ აუქციონებზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 104 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 39.3 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.04 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.13 პროცენტი შეადგინა. ნოემბრის განმავლობაში ჩატარებული ღია ბაზრის ოპერაციების შედეგად მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა 20 მლნ ლარით გაიზარდა და 80 მლნ ლარი შეადგინა.

სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის გამოყენებით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით - ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

2017 წლის ნოემბერში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომელზეც განთავსდა 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. საანგარიშსწორებო ფასმა შეადგინა 79.1 მლნ ლარი. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე 2-ჯერ გადააჭარბა ემისიას. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, 1-წლიანი, 2-წლიანი და 5-წლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც 20-20 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთმა 7.10 პროცენტი შეადგინა, რაც 0.02 პროცენტული პუნქტით

ნაკლებია წინა თვის მონაცემზე. 1-წლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.01 პროცენტული პუნქტით შემცირდა 7.12 პროცენტამდე. 2-წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთმა 7.33 პროცენტი შეადგინა და 0.01 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა თვესთან შედარებით. 5-წლიანი ფასიანი ქაღალდების განაკვეთი კი 0.06 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 7.78 პროცენტამდე. რაც შეეხება 2016 წელს, ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების 41 აუქციონი, რომელთა მეშვეობით განთავსდა

**ცხრილი 1: კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები 2015-2017 წწ. (პროცენტული შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან, ათასი ლარი)<sup>11</sup>**

N	პერიოდი	თანხა	პერიოდი	თანხა
1	იან, 15	11 460	იან-ივლ, 16	120 154
2	იან-თებ, 15	22 923	იან-აგვ, 16	138 572
3	იან-მარ, 15	36 236	იან-სექ, 16	155 542
4	იან-აპრ, 15	49 104	იან-ოქტ, 16	173 792
5	იან-მაი, 15	62 790	იან-ნოე, 16	192 035
6	იან-ივნ, 15	76 769	იან-დეკ, 16	211 243
7	იან-ივლ, 15	91 748	იან, 17	19 410
8	იან-აგვ, 15	107 263	იან-თებ, 17	36 622
9	იან-სექ, 15	122 940	იან-მარ, 17	55 241
10	იან-ოქტ, 15	139 297	იან-აპრ, 17	73 530
11	იან-ნოე, 15	155 757	იან-მაი, 17	92 688
12	იან-დეკ, 15	173 013	იან-ივნ, 17	112 390
13	იან, 16	17 384	იან-ივლ, 17	133 256
14	იან-თებ, 16	33 945	იან-აგვ, 17	155 312
15	იან-მარ, 16	51 404	იან-სექ, 17	178 343
16	იან-აპრ, 16	68 213	იან-ოქტ, 17	199 292
17	იან-მაი, 16	86 056	იან-ნოე, 17	220 897
18	იან-ივნ, 16	102 317	იან-დეკ, 17	243 648

<sup>11</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109>

1.1 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში

არსებული 2 მლრდ ლარის (მშპ-ს 6 პროცენტი) ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი იყო 15 კომერციული ბანკი და არასაბანკო ინვესტორები. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში იყო 166 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, მცირეა (მშპ-ს 6 პროცენტი). ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიების გაზრდა, რაც ასევე ხელს შეუწყობს საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკების შემცირებას.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მისი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემისა“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას.

2014 წლიდან მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას. რეპო გარიგებების დადებისთვის ბანკები იყენებდნენ „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემას“. აღნიშნული სისტემების გამოყენებით, 2016 წელს კომერციულ ბანკებს შორის

განხორციელდა 202 რეპო გარიგება 2.7 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

**დასკვნები:** როგორც ვხედავთ, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ საწყის ეტაპზეა და, შესაბამისად, დიდ მხარდაჭერას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საფონდო ბაზრის მონაწილეების მხრიდან, რათა დროთა განმავლობაში შეეძლოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შესაბამისი პარტნიორობა და კონკურენციის გაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, საგულისხმოა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა, აგრეთვე ბანკების აქტიური როლი ამ მიმართულებით იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების იმედსა და კარგ საფუძველს, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი. დროს გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2009 წლის 24 სექტემბერი.

3. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 1996 წლის 23 თებერვალი.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის ანგარიში - <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/ualreport/2017/annualgeofinal140717.pdf> გადამოწმებულია 19.05.2018

5. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „დანი“. თბ., 2017, 461 გვ. (A4)

6. ბაინდურაშვილი კ. საქართველოს ეკონომიკა 2017 წელს. ჟურნალი Forbes (Georgia). 18.08.2017. - [www.forbes.ge](http://www.forbes.ge) გადამოწმებულია 19.05.2018

# „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პერსპექტივები საქართველოსთვის Prospects of "South Gas Corridor" for Georgia

**ზურაბ გარაყანიძე** - ეკონომიკის დოქტორი,  
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ნატა გარაყანიძე** - დოქტორანტი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Zurab Garakanidze** – PhD of Economics,  
Black sea international university

**Nta Garakanidze** - PhD of Student  
Tbilisi State University

---

**რეზიუმე:** აზერბაიჯანი და თურქეთი თითქმის სრულად აკონტროლებენ კასპიისპირეთის ბუნებრივი აირის როგორც მომპოვებელ, ისე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. დასავლური ენერგო-გიგანტებიდან ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანში“ მხოლოდ BP-ია წარმოდგენილი. იმედია ახალი ანტი-ირანული სანქციები ისევ მოაბრუნებს კასპიისპირეთისაკენ ისეთ ევროპულ და ამერიკულ გიგანტებს, როგორებიცაა, „შევრონი“, „ჰალიბარტონი“, „ე-ონი“, „ტოტალი“, „სტატოილ ჰაიდრო“.

**Abstract:** Azerbaijan and Turkey almost completely control Caspian gas as a transport and transport infrastructure. Western energy giants are represented by BP in the EU "Southern Gas Corridor". We hope that the new anti-Iranian sanctions will again appeal to the European and American giants of the Caspian Sea, such as Cheroon, Halibarton, E-Oni, Total, Stotil Hydro.

---

**საკვანძო სიტყვები:** სანქციები, დერეფანი, გაზსადენი.

**Key Words:** Sanctions, corridor, pipeline.

**შესავალი:** 2018 წლის 12 მაისს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ანტი-ირანული სანქციების გახანგრძლივების დოკუმენტს მოაწერა ხელი. სანქციების განახლების გეგმის შესახებ აშშ-ს



ადმინისტრაციამ უფრო ადრე - ა/წლის 8 მაისს განაცხადა. ეს იმის მანიშნებელია, რომ ამერიკა 2015 წლის „ბირთვული შეთანხმებიდან“ დე-ფაქტო გავიდა. ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ აშშ-ს სანქციებს შესაძლოა ევროკავშირის ბევრი ქვეყანა დეკლარირებულად არ შეუერთდეს, მაგრამ დასავლური ენერგო-კომპანიები სავარაუდოდ შეწყვეტენ ირანთან ურთიერთობებს, ვინაიდან მათთვის აშშ-ს ენერგეტიკულ სექტორთან თანამშრომლობა ბევრად მომგებიანია.

თუმცა, ზარალიც სარგმნობია. მაგალითად, ფრანგულ „ტოტალს“ ირანულ მხარესთან „სამხრეთის ფარსის“ გაზის საბადოს ათვისებაზე 2 მლრდ დოლარის ღირებულების კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ასეთივე კონტრაქტები აქვთ „შელს“, BP-ს, „უინტერშალს“, OMV-ს და სხვა ენერგო კომპანიებს.

პრეზიდენტ დ. ტრამპის გადაწყვეტილებამ ნავთობის ფასის ზრდაც გამოიწვია. ამან არა მარტო აშშ-ს ფიქლების ნავთობის და გაზის მოპოვების რენტაბელურობა გაზარდა, არამედ რუსეთს, აზერბაიჯანს, ყატარს, კუვეიტსა თუ საუდის არაბეთს კოლოსალური მოგებების მიღების პერსპექტივა გაუჩინა, რადგანაც ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზარს ირანის სახით ძლევამოსილი კონკურენტი ჩამოშორდება. ამავე დროს, ვინაიდან ნავთობის ფასზეა „მიბმული“ გაზის ფასი, ევროპელებს მომავალ ზამთარში გაზის ტარიფები გაუძვირდებათ, რაც მათ სულაც არ ახარებთ... არაა გამორიცხული, რომ ბუნებრივი აირი ჩვენმა მთავარმა მომწოდებელმა, ზერბაიჯანმაც გააძვიროს.

восстание. В 1302 году они победили французов. Для второго похода нужны были деньги. Король решил удвоить церковную десятую и сделать монеты «более легкими». Этим возгорелась вражда между ним и Папа Римским, Бонифацием VIII (1235-1303 гг.). Он послал Филиппу буллу, которой потребовал освободить церковь от налогов. Король публично спалил бунду Папы; достигнув поддержки генеральных штатов, он перешел на активные действия. Филипп коротко и ясно приказал Гильтму Де Ногаре *A fouf ptix*. Ногаре собрал самых преданных рыцарей и этой группой напал на Папу в Анане (с помощью клана Колонов). Со взятием в плен с Бонифацием грубо обращались, и он скончался. Новый Папа, Бенедикт XI (1303-04 гг.) был мирно расположен к Королю, а последующий Папа, Климент V (1304-14 гг.) находился в Авиньене (Франция). Так начался «Авиньенский Плен» Пап...

В королевскую казну поступили деньги (каким путем, это его не интересовало) и в 1304 году он с новой армией победил повстанцев во Фландрии. Фальсификация денег имела свои последствия: цены повысились и люди, которые взяли кредит когда стоимость денег была высока, возвращали долги деньгами, стоимость которых составляла 1/3 старой стоимости. В 1306 году Филипп изгнал из Франции евреев и присвоил их имения, а в 1307 году произошло событие, которое на протяжении столетий разделила историков на 2 враждующей группы.

Орден Рыцарей Иерусалимского Храма (Templier), который был основан Крестоносцами в Палестине в 1119 году, превратился в новую цель Короля. Орден был самым богатым объединением в Европе. Он владел землями по всей Европе и Азии (Кипр, Родос, города на Ближнем Востоке и т.д.). Орден превратился в крупнейшего банкира, самые могущественные монархи были его клиентами.

Король заставил Папу отозвать из Кипра Магистра Ордена Жака Де Молей и как только он прибыл, арестовал его и подверг заключению, захватил замок Тамплиеров в Париже, где взял в плен 140 рыцарей. Начались допросы, пытки... Многие сознались, что состояли в союзе с Люцифером. В 1309 году 54 рыцаря спалили на костре как еретиков. В 1312 году Климент V объявил Орден Тамплиеров распущенным. Тамплиеры разбежались по всей Европе, они успели перепрятать большую часть своего богатства. В 1313 году на костре был спален Магистр Ордена. Перед аутодафе он проклял Папу, Гильема Де Ногаре и Короля (его проклятие свершилось: через год все трое умерли...). Недовольный доходами Филипп опять начал подделывать деньги. Брат Короля, Шарль Валуа, звал его «Реймхельским Кузнецом», а люди «Faux-monnaie», дословно – фальшивый монетчик.

Его наследники: Жан II, Шарль VII, Анри III, Людовик XIV (Король Солнце) так-же продолжали традиции Филиппа IV Красивого (так он вошел в историю) и подделывали монеты, когда чувствовали недостачу денег. Они сильно затеснили своего Maître (учителя), которого по сравнению с ними можно считать любителем.

### **Подделка Денег – Хроники Новой Истории**

К XVIII веку в Европе начался процесс рушения феодализма. Для последнего аккорда европейцы выбрали такие шумные инструменты, что, в конце концов, сами же испугались последствий. Западная Европа вместо эволюционного развития выбрала революцию. Конечно, политическую революцию опережала философская. Мыслители и ученые: Монтескье, Вольтер, Руссо и др. ревностно пытались внедрить в общественность новые идеалы. Триада – «свобода, равенство братство» (Libertré, égalité, fraternité) – вот девиз исторических сдвигов. В

галантном веке все начиналось галантно, но закончилось кровопролитием. Королю Франции угрожала реальная опасность. Монархи Европы попытались спасти «старый режим», но сражение закончилось победой новой силы. Короля и аристократию повели на эшафот. Вскоре разногласия начались и среди революционеров. Фейанцы, Жирондисты, Якобинцы столкнулись друг с другом. Якобинцы после победы пересмотрели свои ряды, сперва Эберисты, а после Дантонисты стали жертвами этого пересмотра. Триумф Робеспьерцев долго тоже не продлился: Робеспьер и его друзья стали жертвами переворота 1794 года. Так что в 1789-94 гг. во Франции не работал ни один станок так, как гильотина. Оказывается светлое будущее цвета крови, во всяком случае, в такой цвет его выкрасили лидеры революции: Ж. Дантон, Ж.П. Марат, М. Робеспьер, Сен-Жюст и др. В конечном счете, революция завязла в болоте директории.

Очнувшееся от эйфории революции общество увидело, что граница между свободой и анархией была нарушена, равенство оказалось блефом, братство – опасным. По ночам всем мерещилась гильотина. Все устали... Французы соскучились по спокойствию, по сильной власти, и с радостью приняли Генерала Корсики в качестве Императора.

В конце XVIII века в Европе, кроме текущей шоковой терапии, чувствовались и другие «сдвиги». Как раз в этот период случилась самая большая афера за всю историю подделки денег, которая началась в маленькой вилле в Монруже, на южной окраине Парижа. Вилла не была шедевром архитектуры, но была построена со вкусом. Летом она почти не была видна, так как стояла в глуши когда-то хорошо ухоженного, а сейчас чрезмерно заросшего сада. Лишь старые люди помнили, что этот дворец когда-то принадлежал богатому владельцу. В 90-ые годы XVIII

века дом закрылся, хозяин убежал от преследования аристократов, закрытая и заброшенная вилла превратилась в дом привидений.

Прошло время, детей, которые по любопытству оказывались в темном саду, соседи пугали этим заброшенным и затемненным домом. Одним вечером, какой-то родитель, который, по-видимому, искал своего дитя, застыл от изумления – в окне виллы горел свет и слышались странные звуки. Преданный слуга Императора тут же осведомил соответствующее ведомство. Осведомление оставили без ответа и без реагирования. Ситуация обострилась, около дома появились подозрительные люди. Одна пожилая женщина даже утверждала, что у одного из них вместо ноги – копыто...

Все село разговаривало о «доме кошмаров». Перепуганные жители не стерпели, и с провинциальной невинностью решили еще раз подтвердить свою преданность. В 1811 году делегация возмущенных крестьян явилась в жандармерию чтобы рассказать о таинственном доме и попросить о помощи, поскольку еще не были забыты набеги Луи Мандрена и его банды в окрестностях Монружа. Жандарм улыбнулся и дружелюбно попытался успокоить крестьян: «Ступайте братья домой, это не ваше дело... в этом доме все в порядке...» А потом коротко объяснил, что в доме работают по поручению правительства и проводят какие-то исследования.

В доме и вправду по поручению правительства работала фабрика по подделке денег, которая принадлежала Наполеону Бонапарту. Первой продукцией фабрики были банковские билеты Венского Банка. Начальный материал был изготовлен в Вене в 1805 году, когда ее оккупировала армия Наполеона. Но печать билетов прекратилась в 1810 году, поскольку 2 апреля 1810 года Наполеон женился на Мари-Луизе, дочери Императора Австрии. Хотя, некоторые партии фальшивых денег

все же пустили в оборот. В то время, когда жители Монружа пришли в жандармерию, фабрика работала над большим заказом: подделка ассигнаций Русской Империи. К 1810 году уже было решено начать войну с Россией. А 23 июня 1812 года армия Наполеона перешла через реку Неман. Начался поход на Россию – амбиции корсиканца были безграничны.

Типографические установки перенесли из Монружа в Варшаву, где производство возобновилось новыми силами. Позднее, после взятия Москвы, филиал Фабрики открылся на Преображенском Кладбище, в одном, наполовину развалившемся доме. Существовал еще один филиал в самой Москве. Офицер русской армии, некто К. Мартене писал, что: «когда мы шли по улицам второй столицы России, в одном наполовину сгоревшем доме нашли хорошо оборудованную фабрику для подделки денег: машины, инструменты, а также огромное количество готовых ассигнаций. Они были изготовлены настолько хорошо, что не отличались от настоящих денег». Интересно, знал ли Наполеон о существовании двух типографий в Москве и в Московской области? – возможно, и наверно вторая типография была аферой французских офицеров.

Склад продукции, изготовленной в Монруже и Варшаве, находился в Вильно. В своих мемуарах Маркиз Коленкур пишет, что Наполеон очень переживал, когда узнал о падении его последнего бастиона – Вильно. Он ждал вестей от Герцога Басони об уничтожении банкнотов, которые хранились на складе. Он не хотел, чтобы фальшивые ассигнации попали в руки русским. Предполагается, что Наполеон хотел использовать ассигнации, как оккупантские деньги после захвата России. Ассигнации были большей частью 25 и 50 рублевыми банкнотами. Они были изготовлены очень искусно, но некоторые ошибки (орфографические и др.) все-таки были допущены.

Когда правительство Русской Империи изъяло из оборота 25 и 50 рублевые ассигнации, оказалось, что 70 млн. рублей были фальшивыми.

Наполеон, своеобразно, был новатором в индустрии фальшивых денег. Уже в XIX веке начинается соревнование: государства стремятся использовать технический прогресс, чтобы изготовить надежные фальшивые деньги. Частные фальшивые монетчики тоже не сидят сложа руки и развивают свою технологию. В конечном счете, критерием определения фальшивых банкнотов выбрали бумагу, но и это не было надежным. Еще в середине XIX века Полл Эдел, специалист в сфере фальшивых денег, писал, что «равнодушие общества способствует фальшивым монетчикам, а что касается бумаги, ее подделать не сложно». Частные фальшивые монетчики все время расширяют ареал своей деятельности. И в наши дни, каждый год, несколько тысяч фальшивых монетчиков становятся жертвой своей аферы. Это всего лишь вершина айсберга, нельзя забывать о выпуске фальшивых денег на государственном уровне, к тому же для этого используют самые современные методы. Цель, к которой стремились Цезари, Филиппы, Людовики и многие из их коллег, современников и потомков – сделать карман простых людей более легким – сейчас осуществляется в более крупных масштабах. К тому же это называют «инфляцией». Что касается международных афер с бумажными деньгами, которые контролируются правительствами, в XX веке они достигли таких масштабов, какие Наполеону и во сне не снились.

### **Используемая литература:**

1. Malkin Lawrence. Krueger's Men: The Secret Nazi Counterfeit Plot and the Prisoners of Block 19. — New York: Little, Brown, 2008



2. Nachtstern Moritz, Arntzen Ragnar. Counterfeiter : how a Norwegian Jew survived the Holocaust. — Oxford: Osprey Pub., 2008
3. Семёнов В. Е. Подделки монет. — СПб.: Конрос-Мнформ, 2012
4. Фенглер Х., Гироу Г., Унгер В. Словарь нумизмата / Отв. ред. В. М. Потин. — 2-е изд., перераб. и доп. — М.: Радио и связь, 1993

# ამერიკის ეკონომიკის ისტორია მე-18 საუკუნიდან დღემდე

## History of American economics from 18th century till the present day

ნინო მაზიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  
Nino Maziashvili – PhD of Economics, Assoc. Professor,  
Georgian National University

**რეზიუმე:** ამერიკის ახალი ისტორია დაკავშირებულია 1492 წლის ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენასთან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ხასიათდება სწრაფი განვითარებით, რამაც მისცა საშუალება ქვეყანას წამყვანი ადგილი დაეკავებინა მსოფლიოში. შემდგომ პერიოდში მას მოჰყვა „დიდი დეპრესია.“ მისგან გამოსვლა რუზველტმა შეძლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ეკონომიკური განვითარების წყალობით აშშ აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. დაიწყო რესპუბლიკელი პრეზიდენტების-რეიგანის და ბუშის-ნეოკონსერვატორული კურსი, რომელიც ეფუძნებოდა მ. ფრიდმანისა და რ. მანდელის-მონეტარულ შეხედულებებს. რეიგანმა, რომელიც 1981-89 წლებში იყო პრეზიდენტი, შეამცირა მთავრობის ხარჯები, მუშახელზე და კაპიტალზე მარგინალური გადასახადის განაკვეთი, დაიწყო ფულის მიწოდების კონტროლი ინფლაციის შეზღუდვის მიზნით. პრეზიდენტის რანგში რეიგანმა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები წამოაყენა. მისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც რეიგანომიკას უწოდებდნენ, გულისხმობდა ბიზნესის რეგულაციის შემცირებას, ინფლაციის კონტროლს, სამთავრობო ხარჯების შემცირებას და გადასახადების შემცირებით ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას.

1992 წელს გამარჯვებულმა კლინტონმა ამერიკელებს შესთავაზა ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს უფრო აქტიურ როლს და გადასახადების გაზრდას, რასაც 1992 წელს, შედეგად მოჰყვა ბიუჯეტის პროფიციტი,

2001 წელს, ჯორჯ ბუშ უმცროსის მიერ გადასახადების შემცირებით დაბრუნდა. შეუძლებელია, ზოგადად მაინც არ ვახსენოთ 21-ე საუკუნის დასაწყისის სამი უმძიმესი ფინანსური კრიზისი - 2002-2003, 2008 და 2012 წლების მაგალითზე და უმძიმესი საგარეო ვალი - თითქმის 23 ტრილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც ტრამპმა შემცირა 100 მილიარდი დოლარით. მისი ეკონომიკური პოლიტიკა უკვე არის წარმატებული და შთამბეჭდავი და უკვე შეიძლება ბევრი მიღწევის დასახელება.

**Abstract:** New history of America is connected to the discovery of Christopher Columbus in 1492. Economy of the USA grew rapidly in the end of the 19th century and in the beginning of the 20th century, that made America one of the leading countries in the world. The next period was followed by the “Big Depression”. Roosevelt managed to step out of it after the 2nd world war. Economic development transformed the USA into industrial-agrarian country from the agrarian one. The republican presidents, Reagan and Bush, began the neo-republican course, which was based on the monetary views of M. Freedman and R. Mandal. Reagan, who was the president in 1981-89, reduced government expenses, rate of the marginal taxes on the workforce and capital and started to control distribution of money in order to reduce inflation. Reagan introduced new political and economic initiatives as a president of the USA. His economic policy, that is called Reagan-economy, involves the reduction of regulations on business, control of inflation, reduction of government expenses and stimulation the growth of economy by the reduction of taxes. In 1992 the new president Clinton offered a new economic program, which involved more active role of the government and increasing taxes, that caused budget proficiency, in 2001, George Bush Junior came back with the reduction of taxes. It’s impossible not to mention 3 the most serious financial crises of the 21st century – in 2002-2003, in 2008 and in 2012 and the most serious external debt – almost 23 trillion USD, which was reduced with 100 billion USD by Trump. His economic policy is quite successful and impressive and many achievements can be mentioned.

---

**საკვანძო სიტყვები:** ამერიკის ისტორია, ეკონომიკა, ინდუსტრია, ფინანსური კრიზისი, სწრაფი განვითარება, ეკონომიკური პოლიტიკა.

**Key Words:** American history, economy, industry, financial crisis, rapid development, economic policy.

**შესავალი:** ამერიკის ახალი ისტორია დაკავშირებულია 1492 წ. ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენასთან. ევროპის, აზიის და აფრიკის მოსახლეობა დაინტერესდა ამერიკით. ასევე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ესპანელებმა და მიიტაცეს უზარმაზარი ტერიტორიები და დაიწყეს ადგილობრივ მოსახლეთა–ინდიელთა ექსპლუატაცია. მათ გაქონდათ ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ოქრო და ვერცხლი. 1558 წლიდან ესპანელებთან ბრძოლაში მოგებული დარჩა ინგლისი და დაიწყო ამერიკის ტერიტორიის კოლონიზაცია. ასეთივე ინტერესებს იჩენდა ჰოლანდია და საფრანგეთი. მე–17–ე საუკუნის ბოლოს საფრანგეთმა ხელში ჩაიგდო კანადა და ლუიზიანა. შვიდწლიანი მმართველობის შემდგომ ინგლისმა საფრანგეთისგან მიიტაცა კანადა, ესპანეთისგან–ფლორიდა. ჩრდილოეთი ამერიკა ძირითადად ინგლისის კოლონიად იქცა. შეიქმნა საგანგებო სავაჭრო კომპანიები, რომელთაც აფრიკიდან ამერიკაში მოყავდათ შავი მონები. ათასობით ზანგი, სადაც მათ ელოდათ მძიმე შრომა, წამება და გათანაბრებული იყვნენ ცხოველებთან.

ასევე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ესპანელებმა და მიიტაცეს უზარმაზარი ტერიტორიები და დაიწყეს ადგილობრივ მოსახლეთა–ინდიელთა ექსპლუატაცია. მათ გაქონდათ ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ოქრო და ვერცხლი. 1558 წლიდან ესპანელებთან ბრძოლაში მოგებული დარჩა ინგლისი და დაიწყო ამერიკის ტერიტორიის კოლონიზაცია. 1783 წელს ვერსალში ხელი მოეწერა აშშ–სა და ინგლისს შორის პირველ ხელშეკრულებას, რომელმაც იურიდიულად დაამტკიცა ამერიკის დამოუკიდებლობა. ყოველივე ამის შემდგომ მოწესრიგდა ახალი საფინანსო მეურნეობა, გაფართოვდა საბანკო სისტემა.[1]

**ძირითადი ტექსტი:** მე-19-ე საუკუნის ბოლოს და მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ხასიათდება სწრაფი განვითარებით, რამაც მისცა საშუალება ქვეყანას წამყვანი ადგილი დაეკავებინა მსოფლიოში. დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1. 1861–1865 წწ. სამოქალაქო ომში კაპიტალისტური ჩრდილოეთის გამარჯვება მონათმფლობელურ სამხრეთზე, რამაც ერთიანი ეროვნული კაპიტალისტური ბაზრის განვითარების საფუძველი შექმნა.

2. უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრის არსებობა: ქვანახშირი, რკინის მადანი, ნავთობის უდიდესი მარაგი, ნაყოფიერი ნიადაგები, ხელსაყრელი კლიმატი, ტყის და წყლის რესურსები, მდინარეები, როგორც სატრანსპორტო მაგისტრალები.

3. ეროვნული კაპიტალის დაგროვების მაღალი დონე. მე-20-ე ს. დასაწყისში უცხოეთის ინვესტიციებმა აშშ-ში, 3,4 მლრდ დოლარს მიაღწია.

4. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ქვეყნებიდან იმიგრაციის ხარჯზე. შრომის ბაზრის შევსების შემდეგ ამერიკის მთავრობამ გაამკაცრა საიმიგრაციო კანონები. შრომის უუნარო ადამიანებს, ასევე 10 წლით აუკრძალეს ჩინელ მუშებს იმიგრაცია.

5. შინაგანი მიგრაცია და ქალაქის მოსახლეობის ზრდა.

6. სამრეწველო რევოლუციისა და ინდუსტრიალიზაციის დასრულება. ტექნიკური პროგრესი.

7. ფედერალური მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად 1861 წელს საქონლის იმპორტზე ამერიკის საბაჟო ახდევინებდა 5–10 % ბაჟს.

8. ამერიკის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა კონკურენტი ქვეყნების სიშორე.

9. ამერიკულ საწარმოებში დამონტაჟებული იყო უახლესი ტექნიკა.

ამერიკის მრეწველობა იყენებდა მსოფლიო გამოცდილებას და თავის ტექნიკურ იდეებს. 1876 წელს თ. ედისონმა შექმნა სამრეწველო ლაბორატორია, რომელიც მსოფლიოს პირველ საგამომგონებლო ცენტრად იქცა. მაგ. ვაგონი-მაცივარი, ტელეფონი, ფონოგრაფი, ელექტრონული ნათურა, ფოტოფირი, ცვლადი დენი, კინემატოგრაფი, მუხლუხა ტრაქტორი. ფორდმა ააგო თავისი პირველი ავტომობილი. დაიწყო განვითარება ახალმა დარგებმა: ნავთობის მოპოვება, ელექტროენერგეტიკა, ქიმიური და ავტომობილმშენებელი, ლითონდამმუშავებელი, მეტალურგია, ნახშირის მრეწველობა, სარკინიგზო მშენებლობა. მე-20 საუკუნე დაიწყო აშშ-ს ეკონომიკაში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციით. მრეწველობაში მონოპოლისტური გაერთიანების შექმნით. საბანკო და საფინანსო კაპიტალის როლის გაძლიერებით. შეიქმნა პირველი მონოპოლისტური გაერთიანებები, როკფელერის ნავთობის ტრესტი „სტანდარტ ოილი“. კარნეგის მიერ შექმნილი ფოლადჩამომსხმელი „კარნეგი სტილ კომპანი“. წარმოიქმნა შაქრის კომპანია „ამერიკენ შუგარ რიფაინინგ კომპანი“, თამბაქოს მონოპოლია „კონსოლიდეიტელ კოპერი“. ამერიკა გადაიქცა ტრესტების კლასიკურ ქვეყნად. პრეზიდენტ თ. რუზველტის პოლიტიკით ფედერალურმა მთავრობამ ტრესტების საქმიანობაზე დააწესა კონტროლი. მისი განხორციელებისათვის 1903–1905 წწ. აშშ-ში მიიღეს კანონები: ვაჭრობისა და შრომის სამინისტროს შექმნის შესახებ; კორპორაციების საქმიანობის შესწავლის სპეციალური ბიუროს შექმნის შესახებ; კვების პროდუქტების და სამედიცინო პრეპარატების დამზადებაზე კონტროლის შესახებ. ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ; დაარსდა ალუმინის ტრესტი „ალკოა“, ქიმიური ტრესტი „დიუპონ დე

ნემური“. მორგანის და როკფელერის საბანკო ჯგუფები 112 ბანკს განაგებდნენ.

კაპიტალის კონცენტრაციამ გამოიწვია წვრილი და საშუალო ფირმების გაკოტრება. მე-20-ე საუკუნე აგრარული სექტორის განვითარებით დაიწყო. ამერიკელი ფერმერი არ იხდიდა მიწის რენტას, ამიტომ ამერიკული პური ევროპულ პურზე იაფი ღირდა, რის გამოც დაიპყრო საგარეო ბაზრები. აგრარული სექტორის განვითარება გამოიწვია სამმა ფაქტორმა: აგრარული სექტორის კაპიტალისტურმა ორგანიზაციამ. სახნავი მიწების გაფართოებამ–დასავლეთის უზარმაზარი სივრცეების ათვისების ხარჯზე; სასოფლო–სამეურნეო მანქანების ფართოდ გამოყენებამ. გაიზარდა დამუშავებული მიწების რაოდენობა. მიწათმოქმედთა რიცხვი 6,2 მლნ–დან 10,4 მლნ კაცამდე გაიზარდა. ხოლო ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობა 2 მლნ–დან 5,8 მლნ–მდე გაიზარდა. ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური ეფექტურობა განპირობებული იყო არა მარტო დაქირავებული შრომის გამოყენებით, არამედ წარმოების ინტენსიფიკაციით. მაღალმწარმოებლური იარაღებით და მანქანებით აღიჭურვა ფერმები. აგრეთვე დაიწყეს მიწის ანალიზი და ნიადაგის ნაყოფიერების დადგენა, აგრარული პროდუქტების გადამუშავება და შენახვა.

აშშ-ში მონოპოლისტები აქტიურად იბრძოდნენ ბაზრებისათვის, აჩქარებდნენ ექსპორტს, ზრდიდნენ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, ითვისებდნენ ნედლეულის წყაროებს სხადასხვა ადგილებში. იზრდებოდა კაპიტალის ექსპორტი. ევროპაში ისინი სერიოზულ კონკურენციას აწყდებოდნენ, ამიტომაც ისწრაფვოდნენ ლათინური ამერიკისა და აზიის სუსტად განვითარებული ქვეყნებისაკენ. 1913 წელს ამერიკის ინვესტიციების რაოდენობა საზღვარგარეთ ხუთჯერ გაიზარდა და 2.5 მლრდ დოლარს მიაღწია. აშშ-ში გამოშვებული პროდუქცია შეადგენდა მთელი ევროპული ქვეყნების პროდუქციის

მოცულობის ნახევარს. გაჰქონდათ გემები, ორთქლმავლები, მანქანათმშენებლობის სხვადასხვა პროდუქცია. ამერიკის ინვესტიციებმა მექსიკაში 1მლრდ დოლარს მიაღწია.

ეკონომიკური განვითარების წყალობით აშშ აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. ეკონომიკის განვითარების კომპლექსურობა უზრუნველყო სამრეწველო წარმოების ყველაზე მაღალმა ტემპებმა, მისმა მოცულობამ და აგრარულ სექტორში მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეთოდების დანერგვამ. აშშ გახდა მსოფლიოს ლიდერი და გამოვიდა საგარეო და კოლონიური ექსპანსიის არენაზე.[2]

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ამერიკაში დადგა აყვავების ეპოქა. ვითარდებოდა ეკონომიკა და უფრო სწრაფად ვითარდებოდა საფონდო ბაზარი, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, 30-იან წლებში უკვე დაიწყო კრიზისი და დადგა დიდი დეპრესიის პერიოდი. მასობრივი გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მან გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება, რეკორდული უმუშევრობა, ისევე, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ინდუსტრიული წარმოების, აქციათა ბაზარზე ფასთა და ასევე პრაქტიკულად ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრის მკვეთრი ვარდნა. ვარდნის პიკი მიღწეულ იქნა უკვე 1933 წელს, თუმცა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგლა იქნა შესაძლებელი ისეთი ინდიკატორების, როგორიცაა ინდუსტრიული წარმოება, საწარმოო აქციათა ფასებისა და გლობალური ერთობლივი შიდა პროდუქტის, 1929 წლის დონეზე აყვანა.

ტერმინი "დიდი დეპრესია" მიუთითებს არა მხოლოდ ეკონომიკურ მოვლენაზე, ის ასევე განსაზღვრავს ერთ მთლიან კულტურულ პერიოდს, რომელსაც მარტივად "დეპრესიას" უწოდებენ და პოლიტიკურ გამოძახილს ამ ეკონომიკური მოვლენებისადმი.



ეკონომისტები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერები დიდი დეპრესიის მიზეზთა მრავალ თეორიას ასახელებენ. ამგვარად ის ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მეტად შესწავლილ მოვლენად რჩება დღემდე. საერთო მოსაზრებით დიდი დეპრესიის მიზეზი ძირითადად მთავრობის მიერ მონეტარული პოლიტიკის არასწორი მართვა გახდა.

ბოლო დროს, ეკონომისტთა უმრავლესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ საფონდო ბირჟის კრაში 1929 წელს არ ყოფილა დიდი დეპრესიის პირდაპირი მიზეზი, არამედ უფრო შედეგი, რომელმაც კატალიზატორის როლი შეასრულა და მოვლენების დრამატულ განვითარებამდე მიგვიყვანა. იმდროინდელი ეკონომიკური მონაცემების სტატისტიკის შესწავლით ნათელი ხდება დეპრესიის უფრო ღრმა მიზეზები, რომელსაც ასევე თან სდევდა ევროპის ეკონომიკური დაღმასვლა. დღეისთვის, ყველაზე მიღებულია პეტრე ტემინის თეორია: დიდი დეპრესია გამოწვეული იყო შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის მიერ წლების განმავლობაში გატარებული კატასტროფულად მცდარი მონეტარული პოლიტიკით, რომელიც წინ უძღოდა დიდ დეპრესიას. ინფლაციის შეკავების მიზნით ფულის მიწოდების შეზღუდვის პოლიტიკამ მწვავე უკურეაქცია გამოიწვია, ვინაიდან ეკონომიკის ფაქტობრივი პრობლემა დეფლაცია გახდა.

დეპრესიიდან გამოსავალი ნაპოვნი იქნა პრეზიდენტ რუზველტის მიერ. მეორე მსოფლიო ომიდან აშშ გამოვიდა ისეთი ძლიერი, როგორც არასდროს. მის წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ–ს 50%, თუმცა იყო ისევ საფრთხე ახალი კრიზისის, თუმცა შეძლო თავიდან აეცილებინა ეს საფრთხეც, მარშალის შესანიშნავი გეგმის საშუალებით, რომელმაც ერთბაშად გადაწყვიტა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. ეს იყო ფართომასშტაბიანი დახმარების გეგმა.

შემდგომ დაიწყო რესპუბლიკელი პრეზიდენტების–რეიგანის და ბუშის–ნეოკონსერვატორული კურსი, რომელიც ეფუძნებოდა მ. ფრიდმანისა და რ. მანდელის–მონეტარულ შეხედულებებს. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო ხარჯების, გადასახადების და ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის შემცირებას. ახალი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ეკონომისტმა ა. ლაფერმა, რომლის თეორიული შეხედულებების ბაზაზეც შეიქმნა „რეიგანომიკა“, რომელიც ითვალისწინებდა მკაცრ ფულად–საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც ინფლაციის კლებას შეუწყობდა ხელს. საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რომელიც მოიზიდავდა აშშ–ში უცხოურ კაპიტალს.

რეიგანმა, რომელიც 1981-89 წლებში იყო პრეზიდენტი, გაატარა ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა: შეამცირა მთავრობის ხარჯები, მუშახელზე და კაპიტალზე მარგინალური გადასახადის განაკვეთი, დაიწყო ფულის მიწოდების კონტროლი ინფლაციის შეზღუდვის მიზნით. რეიგანის გეზი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან. პრეზიდენტის რანგში რეიგანმა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები წამოაყენა. მისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც რეიგანომიკას უწოდებდნენ, გულისხმობდა ბიზნესის რეგულაციის შემცირებას, ინფლაციის კონტროლს, სამთავრობო ხარჯების შემცირებას და გადასახადების შემცირებით ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას. მას შემდეგ, რაც თავდაცვის ძალების გაძლიერებამ დიდი დეფიციტი გამოიწვია, მან მაინც არ განაცხადა უარი კურსის შეცვლაზე. პროფკავშირებთან დაპირისპირებისას ის მკაცრ პოლიტიკას ატარებდა. უარი თქვა დამაბულობის შენელების პოლიტიკაზე 1984 წლის არჩევნებში მან უპრეცედენტოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მისი მეორე ვადა ძირითადად საგარეო ურთიერთობებში წარმატებებით აღინიშნა: ცივი ომის დასრულებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, ლიბიის

დაბომბვა და ირან-კონტრას სკანდალის გახმაურება. რეიგანის პოლიტიკის შედეგად ნავთობის ფასი სამჯერ დაეცა, 1986 წელს რეიგანმა საგადასახადო კოდექსი სრულიად განაახლა, რის შედეგადაც მილიონობით მცირე შემოსავლის მქონე ადამიანი გადასახადისგან გათავისუფლდა. რეიგანმა პრეზიდენტის თანამდებობა 1989 წელს დატოვა. გამართლა თუ არა პრეზიდენტების რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ბუშ უმცროსის მიწოდების პოლიტიკებმა? გამოიწვიეს თუ არა მათ ინვესტიციების ზრდა და სიმდიდრე „გაჟონვის ეკონომიკით“? მონაცემები და ფაქტები ამბობენ, რომ არა.

1992 წელს გამარჯვებულმა კლინტონმა ამერიკელებს შესთავაზა ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს უფრო აქტიურ როლს და გადასახადების გაზრდას, რასაც 1992 წელს, შედეგად მოჰყვა ბიუჯეტის პროფიციტი, 79 მლრდ დოლარის ოდენობით, თუმცა კლინტონმა ბუშისგან მიიღო დეფიციტური ბიუჯეტი. დაიწყო აღორძინება სოციალური პროგრამების, გაიზარდა ინვესტიციები, ინფლაცია შემცირდა 2-3%-მდე წელიწადში, ხოლო უმუშევრობა 4%-მდე, გაიზარდა საფონდო ბაზარი 3-ჯერ. სახელმწიფომ პირდაპირი მხარდაჭერა აღმოუჩინა ფერმერებს ფულადი ფორმით და უკვე 7000 მსხვილი ფირმა გამოჩნდა ბაზარზე. გაიზარდა კვების და საავტომობილო მრეწველობა. ნავთობზე მაღალი ფასები ძალიან სასიკეთო აღმოჩნდა აშშ-ს ენერგეტიკული მრეწველობის ზრდისათვის. მოხდა ნავთობის 20%-იანი ზრდა. დაიწყო განვითარება ავიაკოსმოსურმა, კომპიუტერულმა მრეწველობამ. მან აუხსნა ამერიკელებს, რომ „ახლა, როდესაც ჩვენი ეკონომიკა იბრძვის მსოფლიო ისტორიაში უდიდესი რეცესიისგან გამოსასვლელად – და ჩვენი აზრით, რითიც უნდა დავძლიოთ ბუშის დროინდელი გადასახადების შემცირების პოლიტიკა – უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ერთი მარტივი ფაქტის გაგება: თუ

რეალურ სამყაროში შევამოწმებთ მიწოდების ეკონომიკის შედეგებს, დავინახავთ რომ მას არ მოუტანია ის, რასაც დაგვპირდა.“

2001 წელს, ჯორჯ ბუშ უმცროსის მიერ გადასახადების შემცირებით დაბრუნდა. ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენ ვცხოვრობთ ბუშის საგადასახადო კოდექსის ერაში, იმ განსხვავებით, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა გადასახადების კიდევ უფრო შემცირებას. შესაძლებელია, და ალბათ წამალიცაა, ძლიერ ეკონომიკასთან ერთად.

შეუძლებელია, ზოგადად მაინც არ ვახსენოთ 21-ე საუკუნის დასაწყისის სამი უმძიმესი ფინანსური კრიზისი - 2002-2003, 2008 და 2012 წლების მაგალითზე და უმძიმესი საგარეო ვალი - თითქმის 23 ტრილიონი ამერიკული დოლარი და გეოპოლიტიკური გლობალური სტატუს-კვოს გაქრობის რეალური სცენარით.

ამ ფონზე ბუნებრივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკამ 2017 წელს ნავარაუდევზე უფრო სუსტი სტარტი აიღო. ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ანგარიშით ქვეყნის ეკონომიკა 2017 წლის პირველ კვარტალში 0.7%-ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი გასული სამი წლის მანძილზე მინიმალურია. ეკონომიკური ზრდის შემცირება მოსახლეობის დანახარჯების მოცულობის შემცირებულმა ზრდამ გამოიწვია. პირველ კვარტალში მოსახლეობის დანახარჯები 2016 წელთან შედარებით 0.3%-ით გაიზარდა, ეს მონაცემი 2009 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია. ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის დანახარჯები შემცირებულია გრძელვადიანი მოხმარების პროდუქტების შემქნით. ბიზნეს სექტორის დანახარჯები კი 1.1%-ით არის გაზრდილი, ასევე 1.7%-ითაა გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯები. განსაკუთრებით მაღალი ტემპით - 9%-ით გაიზარდა კომპანიების მიერ საინვესტიციო საქონლის შექმნა, რაც მომავალში გაზრდილი ინვესტიციების ზრდის ალბათობაზე მიანიშნებს.

2017 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა იმპორტის მაჩვენებელი, იმის გამო, რომ იმპორტი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმულაში მინუსით აღინიშნება, ამას ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე ნეგატიური გავლენა ჰქონდა. თეთრი სახლის მმართველი გუნდის გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში 3% და 4%-იანი ზრდის მიღწევა. თუმცა ანალიტიკოსების შეფასებით, გაცილებით უფრო რეალისტურია არა 4%-იანი, არამედ 2%-იანი ზრდის მიღწევა.

2018 წლის პირველ კვარტალში აშშ-ს ეკონომიკა 2.3%-ით გაიზარდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება. 2017 წლიდან ყველა ეკონომიკური ცვლილება უკავშირდება ახალი პრეზიდენტის სახელს და მის ეკონომიკურ პროგრამას, რომელიც თავიდანვე გაცხადებული იყო და ძირითადი პოსტულატები ასეთი სახით იყო წარმოდგენილი:

ქვეყნის შიგნით რადიკალური სოციალური-ეკონომიკური რეფორმების გატარება და ორიენტაციის აღება სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, ასევე საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტების გარკვეული სახის შეზღუდვებით, მათ შორის, მკაცრი პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებით; ჩრდილო-ატლანტიკური სოლიდარობის პასუხისმგებლობის გადანაწილებით მოკავშირეებზე და ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების თანდათანობით შეზღუდვა და მთლიანად თავდაცვითი ხარჯების ეტაპობრივი შემცირება; ტრანსატლანტიკური ეკონომიკური სოლიდარობის პრინციპის დროებით გადავადება, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას და სავარაუდო "სავაჭრო ომების" სცენარის განვითარებას; „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ პრინციპის ამოქმედება გეოპოლიტიკური კურსის განხორციელებისას, ანუ მსოფლიო პოლიტიკაში საერთაშორისო უსაფრთხოების მიღწევის საქმეში

თანაბარი პასუხისმგებლობის აღება, სხვა გლობალური გავლენის ცენტრებთან ერთად;

ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ დონალდ ტრამპის ეკონომიკური პოლიტიკა უკვე არის წარმატებული და შთამბეჭდავი და უკვე შეიძლება ბევრი მიღწევის დასახელება:

1 სახელმწიფო ვალი შემცირდა 100 მილიარდი დოლარით (ობამას დროს გაიზარდა 550 მილიარდი დოლარით, პრეზიდენტობის პირველ წელს);

2 ეკონომიკის ზრდა 3%-ი

3 ფედერალური პროგრამა, რომელიც შემოსავლის არ მქონე პირების საკვებს ყიდულობს, აფიქსირებს, რომ ტრამპის გაპრეზიდენტებიდან 100 დღეში, სახელმწიფო “საკვებზე” დამოკიდებული ადამიანების რიცხვი 1 100 000 ადამიანი შემცირდა

4 ამერიკული წარმოება 2004 წლის შემდეგ ყველაზე დიდ მაჩვენებელს აფიქსირებს, ქარხნების ბუმია ცენტრალურ შტატებში

5 ტრამპის პრეზიდენტობის პირველ 6 თვეში, შეიქმნა 1 000 000 სამუშაო ადგილი

6 ეკონომიკური ოპტიმიზმის სტატისტიკური მაჩვენებელი 30 წლის განმავლობაში ყველაზე დიდია

7 1973 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონე (44 წლის რეკორდი)

8 ფედერალური რეზერვი გაიზარდა 1,7 ტრილიონი ამერიკული დოლარით

9 ფასიანი ქაღალდების ფასი იზრდება, ტრამპის პრეზიდენტობის პირველი 100 დღე იყო საუკეთესო ამ მხრივ ნებისმიერ პრეზიდენტთან შედარებით

10 არალეგალური იმიგრაცია შემცირდა 76%-ით ტრამპის გაპრეზიდენტებიდან 100 დღეში

11 ნახშირის ექსპორტი (მადაროების ამუშავებასთან ერთად) გაიზარდა 60%-ით

12 ბუნებრივი აირის ფასი, ყველაზე დაბალი 30 წლის განმავლობაში

13 სამხედრო ვეტერანების უმუშევრობის დონე რეკორდულად დაბალ მაჩვენებელს 2,7%-ს აფიქსირებს

14 თავდაცვის ბიუჯეტი 21 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა

15 სირიის არმიამ ისლამური ხალიფატის საბოლოო განადგურების შესახებ გამოაცხადა

16 თეთრი სახლის ხარჯები შემცირდა 5 100 000 აშშ დოლარით, ტრამპს 110 თანამშრომლით ნაკლები ჰყავს შტაბში, ვიდრე ობამას

17 ტრამპი ითხოვს ნატოს წევრი სახელმწიფოებისგან, თავდაცვის ბიუჯეტი შეუსაბამონ ალიანსის სტანდარტებს, რასაც შემხვედრი ნაბიჯები მოჰყვა პარტნიორებისგან

18 ტრამპს ობამაზე 50%-ით მეტი შეხვედრა ჰქონდა კოლეგებთან

19 ინდექსი, რომელიც ამერიკელების შემოსავლების დონეებს აფიქსირებს ყველა დროის საუკეთესო მაჩვენებელზეა

რამდენდა შეინარჩუნებს ამ მაჩვენებლებს ქვეყნის ეკონომიკა, ამაზე რთულია საუბარი ჯერ, თუმცა ცნობილია ამერიკის საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება ტრამპის რეფორმების მიმართ. მარტში ჩატარებული მასშტაბური გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტთა 51% იწონებს, თუ როგორ წყვეტს აშშ-ს პრეზიდენტი ეკონომიკურ საკითხებს. გამოკითხულების 70%-მა კი განაცხადა, რომ აშშ-ს ეკონომიკა შესანიშნავ მდგომარეობაშია.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპონდენტების 48%-მა განაცხადა, რომ აშშ-ს ეკონომიკის პოზიტიური მდგომარეობა დონალდ ტრამპის და არა ბარაკ ობამას დამსახურებაა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ.,- „მსოფლიო ეკონომიკა“. თბილისი. 2008
2. სეხნიაშვილი ც. - ეკონომიკის ისტორია. თბილისი. 2000
3. [european.ge/miwodebis-ekonomikis-kraxi](http://european.ge/miwodebis-ekonomikis-kraxi) გადამოწმებულია  
28.05.2018



## ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში

(1969-2017 წწ.)

1969 - ტინბერგენი იან (ჰოლანდია), ფრიში რაგნარ (ნორვეგია), “დინამიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისათვის ეკონომიკური პროცესების ანალიზში”.

1970 - სამუელსონი პოლ (აშშ), “მეცნიერული შრომისთვის, რომელმაც განავითარა სტატისტიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია და შეიტანა წვლილი ანალიზის საერთო დონის ამაღლებაში ეკონომიკურ მეცნიერებაში”.

1971 - კუზნეცი საიმონ (აშშ), “ეკონომიკური ზრდის ემპირიულად დასაბუთებული გაგებისთვის, რამაც მიგვიყვანა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის, ისე განვითარების პროცესის ახალ, უფრო ღრმა გაგებამდე”.

1972 - ჰიკსი ჯონ (დიდი ბრიტანეთი), ეროუ კენეტ (აშშ), “ნოვატორული წვლილისთვის წონასწორობისა და კეთილდღეობის თეორიაში”.

1973 - ლეონტიევი ვასილ (აშშ), “სხვადასხვა საწარმოო პროცესებს შორის კავშირის შესწავლისთვის”.

1974 - მიურდალი გუნარ (შვედეთი), ჰაიეკი ფრიდრიხ (ავსტრია), “ინოვაციური შრომებისთვის ფულისა და ეკონომიკური რყევების თეორიაში, აგრეთვე ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მოვლენის ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზისთვის”.

1975 - კუპმანსი ტაილინგ (აშშ), კანტოროვიჩი ლეონიდ (რუსეთი), “რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი წვლილისთვის”.

1976 - ფრიდმენი მილტონ (აშშ), მიღწევებისთვის მოხმარების ანალიზის სფეროში, ფულის მიმოქცევის ისტორიისა და მონეტარული თეორიის დამუშავებისთვის, აგრეთვე სტაბილიზაციის პოლიტიკის სირთულის ჩვენებისთვის”.

1977 - მიდი ჯეიმს (დიდი ბრიტანეთი), ულინი ბერტილ (შვედეთი), “გზისგამკვლევითი წვლილისთვის საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიაში”.

1978 - საიმონი ჰერბერტ (აშშ), “ეკონომიკურ ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ნოვატორული გამოკვლევებისთვის”.

1979 - შულცი თეოდორ (აშშ) ლუისი არტურ (აშშ), “ეკონომიკური განვითარების ნოვატორული გამოკვლევებისთვის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართ”.

1980 - კლეინი ლოურენ (აშშ), “ეკონომიკური მოდელების შექმნისა და მათი გამოყენებისთვის ციკლური რყევებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზში”.

1981 - ტობინი ჯეიმს (აშშ), “ფინანსური ბაზრების მდგომარეობის, ანალიზისა და მათი გავლენისთვის გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკაზე გასავლლების, უმუშევრობის, წარმოებისა და ფასების სფეროში”.

1982 - სტიგლერი ჯორჯ (აშშ), “სამრეწველო სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების შედეგების და მიზეზების სფეროში ნოვატორული იდეებისთვის”.

1983 - დებრე ჟერარ (აშშ), “იმ წვლილისთვის, რომელიც მან შეიტანა ეკონომიკაში საერთო წონასწორობის თეორიისა და იმ პირობების განმარტებისთვის, რომლის დროსაც საერთო წონასწორობა არსებობს ზოგიერთ აბსტრაქციულ ეკონომიკაში”.

1984 - სტოუნი რიჩარდ (დიდი ბრიტანეთი), “ეროვნული ანგარიშების სისტემების შემუშავებაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისა და ემპირიული ეკონომიკური ანალიზის საფუძვლების არსებითი სრულ-ყოფისთვის”.

1985 - მოდილიანი ფრანკო (აშშ), “დაგროვებისა და ფინანსური ბაზრების დინამიკის პიონერული გამოკვლევებისთვის”.

1986 - ბიუკენენი ჯეიმს (აშშ), “საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის გან-ვითარებისთვის და ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების საკონტრაქტო (სახელშეკრულებო) და კონსტიტუციური საფუძვლების გამოკვლევისთვის”.

1987 - სოლოუ რობერტ (აშშ), “ეკონომიკური ზრდის თეორიაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისა და ეკონომიკის განვითარებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლის ანალიზისთვის”.

1988 - ალე მორის (საფრანგეთი), “ბაზრებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების თეორიაში პიონერული წვლილისთვის”.

1989 - ჰაველმო ტრიუვე (ნორვეგია), “წვლილისთვის ზოგადი წონასწორობის თეორიისა და იმ პირობების დამუშავებისთვის, რომელთა დროს ზოგადი წონასწორობა ხორციელდება ზოგიერთ აბსტრაქტულ ეკონომიკაში”.

1990 - მარკოვიცი ჰარი (აშშ), შარპი უილიამ (აშშ), მერტონი მილერ (აშშ), “ფინანსური ეკონომიკური თეორიის განვითარებისთვის”.

1991 - კოუზი რონალდ (დიდი ბრიტანეთი), “ინსტიტუციური სტრუქტურებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის საოპერაციო დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების მნიშვნელობის აღმოჩენისა და ახსნისთვის”.

1992 - ბეკერი ჰარი (აშშ), “ადამიანური ქცევის და სოციალურ ურთიერთობათა პრობლემების ანალიზისთვის ეკონომიკის პოზიციიდან”.

1993 - ნორთი დუგლას (აშშ), ფოგელი რობერტ (აშშ), “ისტორიული პროცესების შესწავლის ახალი ეკონომიკური მეთოდების გამოყენებისთვის”.

1994 - ზელტენი რაინჰარდ (გერმანია), ნემი ჯონ (აშშ), ჰარშანი ჯონ (აშშ), “პრიორიტეტული წვლილისთვის არაკოოპერატიული თამაშების ანალიზისთვის”.

1995 - ლუკასი რობერტ (აშშ), “რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზის განვითარებისა და გამოყენებისთვის, აგრეთვე წვლილისთვის მაკროეკონომიკურ ანალიზში და ეკონომიკური პოლიტიკის გაგების გაღრმავებაში.”

1996 - ვიკრი უილიამ (აშშ), მირლისი ჯეიმს (დიდი ბრიტანეთი), “ფუნდამენტური წვლილისთვის სტიმულირების ეკონომიკურ თეორიაში ასიმეტრიული ინფორმაციის დროს”.

1997 - მერტონი რობერტ (აშშ), სკოულზი მაირონ (აშშ), “წარმოების ღირებულების განსაზღვრის ახალი მეთოდებისთვის”.

1998 - სენი ამარტია (ინდოეთი), “მოსახლეობის კეთილდღეობის შესახებ ეკონომიკური აზრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის”.

1999 - მანდელი რობერტ ა. (აშშ), “განსხვავებული გაცვლითი კურსების რეჟიმების პირობებში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის და ოპტიმალური სავალუტო ზონების ანალიზისთვის”.

2000 - ჰეკმანი ჯეიმს (აშშ), “შერჩევითი მოდელების ანალიზის თეორიისა და მეთოდების შემუშავებისთვის”; მაკფადენი დენიელ (აშშ), “დისკრეტული არჩევანის თეორიისა და ანალიზის მეთოდების შემუშავებისთვის”.

2001 - აკერლოფი ჯორჯ (აშშ), სტიგლიცი ჯოზეფ (აშშ), სპენსი მაიკლ (აშშ), “ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში ბაზრების ანალიზისთვის”.

2002 - კანემანი დანიელ (აშშ), “ეკონომიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური კვლევის კომპლექსური გაგებისთვის, განსაკუთრებით გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში”; სმიტი ვერნონ (აშშ), “ლაბორატორიული ექსპერიმენტების, როგორც ემპირიული ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტის შექმნისთვის, განსაკუთრებით ალტერნატიული საბაზრო მექანიზმების შესწავლისას”.

2003 - გრანჯერი კლივ (დიდი ბრიტანეთი), ენგლი რობერტ (აშშ), “ეკონომიკური დინამიკური მწკრივების ანალიზის მეთოდებისთვის ჩვეულებრივი ტრენდების პირობებში”.

2004 - კიდლენდი ფინდ (ნორვეგია), ე. პრესკოტი ედუარდ ს. (აშშ), “მაკროეკონომიკურ დინამიკაში შეტანილი წვლილისთვის: ეკონომიკური პოლიტიკის დროში განსაზღვრულობა და წარმოების ციკლის მამოძრავებელი ძალა”.

2005 - აუმენი რობერტ (ისრაელი), შელინგი თომას (აშშ), “კონფლიქტებისა და კოოპერაციის გაგების გაღრმავებისთვის თამაშთა თეორიის ანალიზის მეშვეობით”.

2006 - ფელჰსი ედმუნდ (აშშ), “მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ინტერტემპორალური კომპრომისების ანალიზისთვის”.

2007 - მესკინი ერიკ (აშშ), გურვიჩი ლეონიდ (აშშ), მაიერსონი როჯერ (აშშ), “ოპტიმალური მექანიზმების თეორიის შემუშავებისთვის”.

2008 - კრუგმანი პოლ (აშშ), “ვაჭრობის სტრუქტურისა და ეკონომიკური აქტივობის განლაგების ანალიზისთვის”.

2009 - ოსტრომი ელინორ (აშშ), უილიამსონი ოლივერ (აშშ), “ეკონომიკური ორგანიზაციების სფეროს კვლევისთვის”.

2010 - დაიმონდი პიტერ (აშშ), მორტენსენი დეილ (აშშ), პისარიდესი კრისტოფერ (დიდი ბრიტანეთი, კვიპროსი), “ძიების მეთოდებით ბაზრის კვლევისთვის”.

2011 - სარჯენტი ტომას (აშშ), სიმსი კრისტოფერ (აშშ), “მაკროეკონომიკაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ემპირიული კვლევისთვის”.

2012 - როტი ელვინ (აშშ), შეპლი ლოდ (აშშ), „განაწილების თეორიის შემუშავებისა და საბაზრო დაგეგმვაში მისი პრაქტიკული გამოყენებისთვის“.

2013 - ჰანსენი ლარს პეტერ (აშშ), შილერი პობერტ (აშშ), „აქტივებზე ფასების ცვლილების ემპირიული ანალიზისთვის“.


2014 - ტიროლი ჟან (საფრანგეთი), „საბაზრო ძალაუფლებისა და მისი რეგულირების ანალიზისთვის“.

2015 - დიტონი ენგუს სტიუარტ (დიდი ბრიტანეთი, აშშ), „მოხმარების, სიღარიბის და კეთილდღეობის ანალიზისთვის“.

2016 - ფარტი ოლივერ (დიდი ბრიტანეთი, აშშ), ჰოლმსტრიომი ბენგტ (ფინეთი), „კონტრაქტების თეორიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“.

2017 - ტეილერ რიჩარდი (აშშ), „ქცევითი ეკონომიკის განვითარებისთვის“.

.....



საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელი - ვალერი მოსიაშვილი

მთავარი რედაქტორი - დავით ჩახვაშვილი

საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტი - მეგი ზანგურაშვილი  
და ხატია ჩუგუაშვილი

მთავარი რედაქტორის ასისტენტები - ალექსანდრე მენაბდე, გიორგი  
მეგრელიძე და ვალერი მარაქველიძე

ყდაზე გამოსახულია ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა 12-ში მდებარე პრემიუმ კლასის მრავალფუნქციური (ბიზნეს-ცენტრი, სასტუმრო, საკონფერენციო დარბაზი, საცხოვრებელი და სხვ.) კომპლექსი King David (ფოტო: <http://kdr.ge>).